შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქართველოს სალიზინგო კომპანია“

(საიდენტიფიკაციო კოდი 204972155)

ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი

<u>მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:</u>

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში **„პროსპექტი“**) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტითურთ) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არც ერთ სხვა პირს არ გაუგზავნის ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გაასაჯაროვებს მას.

წინამდებარე პროსპექტი შესაძლოა შეივსოს დამატებითი ინფორმაციით კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდელობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, არც განთავსების აგენტი, ობლიგაციონერთა წარმომადგენელი, ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი, რეგისტრატორი, კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩევლები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისათვის, განთავსების აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად ემიტენტისათვის, იგი არ წარმოადგენს არც ერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევს არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან

დაკავშირებით. შესაბამისად, იგი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეათავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს სს „გალტ ენდ თაგარტს" (შემდგომში **„განთავსების აგენტი"**) და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას" (შემდგომში **„კომპანია"** ან **„ემიტენტი"**), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S" რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) ან (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს ან ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია	ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის
საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ	№ 834 22.09.2014 წ.
« 02 » სექტემბერი 2014 წ.	ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო
--	№ **GE2700603246**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქართველოს სალიზინგო კომპანია“

(საიდენტიფიკაციო კოდი 204972155)

ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი

10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, წლიური 8.75%-ის საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები. განაღდების (დაფარვის) ვადა – გამოშვებიდან და განთავსებიდან 3 წლის შემდეგ. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი. ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი).

ზოგადი ინფორმაცია ემისიის პროსპექტისა და შეთავაზების შესახებ

ობლიგაციების ემისიის ეს პროსპექტი („პროსპექტი“) მომზადებულია შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ **(„კომპანია“ ან „ემიტენტი“)** მიერ, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაარსებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2001 წლის 29 ოქტომბერს საიდენტიფიკაციო კოდით 204972155, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, ტატიშვილის ქ. N3/5.

წინამდებარე პროსპექტი შეეხება კომპანიის 10,000 (ათი ათასი) ცალი კუპონიანი ობლიგაციის (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ვალდებულება) ემისიას. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არის 1,000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი; საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) წლიური 8.75% ნომინალური ღირებულებიდან. საბოლოო საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) დადგინდა ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) (იხ. „*ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა*“ - გვ. 55). ობლიგაციებზე პროცენტი დაირიცხება ობლიგაციების გამოშვების დღიდან მათი განაღდების/გამოსყიდვის თარიღამდე. დარიცხული პროცენტის გადახდა მოხდება ნახევარწლიურად პროსპექტში, „*შეთავაზების ძირითად პირობებში*“ (გვ. 1) მითითებულ თარიღებში. პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2015 წლის 22 მარტს. ობლიგაციების დაფარვა (განაღდება) მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის გზით მოხდება 2017 წლის 22 სექტემბერს. ამასთან, კომპანიას გააჩნია უფლება ნებისმიერ დროს მოახდინოს ობლიგაციების ვადამდელი გამოსყიდვა სრულად, მათი ძირითადი თანხით, გამოსყიდვის დროისთვის დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუკი საქართველოს საგადასახადო სისტემაში მოხდება გარკვეული ცვლილებები (იხ. პროსპექტის თავის „*ობლიგაციების გამოშვების პირობები*“, ქვეპუნქტი 7(ბ) – „*გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით*“).

ობლიგაციის საჯარო შეთავაზება და განთავსება მოხდება ემიტენტის და განთავსების აგენტის მიერ. პროსპექტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ამ ემისიით გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების განაღდების და შესაბამისი ვალდებულებების დაფარვამდე.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

ობლიგაციების განთავსების შემდგომ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 ოქტომბრისა, ემიტენტი მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში და ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკის ფაქტორების შესახებ იხილეთ პროსპექტის ნაწილი - „*რისკის ფაქტორები*“. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე / ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები.

ეს პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე. აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ. შემთავაზებლის ობლიგაციები არ დარეგისტრირებულა და არ დარეგისტრირდება ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. მათ შორის, ობლიგაციები არ არის და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის (ან აშშ-ს სხვა ნორმატიული აქტის) შესაბამისად და აღნიშნული აქტით დადგენილი კონკრეტული გამონაკლისების გარდა, არ შეიძლება ობლიგაციების გაყიდვა, ყიდვის შეთავაზება ან მიწოდება აშშ-ში.

დამატებით, ემიტენტს არ გაუცია უფლებამოსილება ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შესახებ გაერთიანებულ სამეფოში 1995 წლის ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დებულებების (ან გაერთიანებული სამეფოს სხვა ნორმატიული აქტის) ფარგლებში. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში, ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის მიყიდვა, შეიძლება კანონით იყოს აკრძალულია ან შეზღუდული და შესაბამისად არ შეიძლება წინამდებარე პროსპექტი გამოყენებული იქნეს ამგვარი იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შეთავაზებისათვის. კომპანიისა და განთავსების აგენტის მიერ მოითხოვება, რომ ის პირები, რომელთა მფლობელობაშიც წინამდებარე პროსპექტი აღმოჩნდება, თავად გაერკვნენ ამგვარ აკრძალვებსა და ასეთი შეზღუდვებში და დაიცვან ისინი.

საბოლოო პროსპექტის მომზადდება და ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისთვის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. საბოლოო პროსპექტი ხელმისაწვდომი გახდება და გამოქვეყნდება კომპანიის ვებ-გვერდზე.

კომპანია პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინადებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩევლებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი *„რისკის ფაქტორები“*. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. კონკრეტულად, ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა გააჩნდეს:

(i) საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;

(ii) შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;

(iii) საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;

(iv) ობლიგაციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;

(v) შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

სარჩევი

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები vi

ფინანსური და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა vii

შეთავაზების ძირითადი პირობები 1

რისკის ფაქტორები 5

ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების გამოყენება 16

კაპიტალიზაცია და დავალიანება 17

შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია 18

ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 20

საქმიანობის აღწერა 34

სალიზინგო საქმიანობის რეგულირება საქართველოში 38

ლიზინგის პოლიტიკა და პროცედურები 42

რისკის მართვა 45

მენეჯმენტი და თანამშრომლები 49

გარიგებები აქციონერებისა და დაკავშირებული პირების მონაწილეობით 53

ობლიგაციების გამოშვების პირობები 55

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში 75

ზოგადი ინფორმაცია 75

ემიტენტის, განთავსების აგენტის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის, რეგისტრატორისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია 76

დანართი - კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება (2013 წ) – (64 ფურცელი)

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი გარკვეული განცხადებები შეიძლება მიჩნეული იქნეს მომავალზე ორიენტირებულად. ასეთებია, მაგალითად, კომპანიის გეგმები, მოლოდინი, პროგნოზები, ორიენტირები, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, სამომავლო ღონისძიებები, შემოსავლები, კაპიტალური ხარჯები, დაფინანსების საჭიროებები, გეგმები და განზრახვები სხვა ბიზნესების ან სხვა კომპანიების შეძენასთან დაკავშირებით, კონკურენტული უპირატესობა და სისუსტეები, კომპანიის ფინანსურ პოზიციასთან დაკავშირებული გეგმები ან მიზნები, სამომავლო საქმიანობა, განვითარება და ბიზნესის სტრატეგია, ქვეყნის ეკონომიკაში და ცალკეულ დარგებში, ასევე პოლიტიკურ და საკანონმდებლო გარემოში კომპანიის მიერ დანახული სამომავლო ტენდენციები და სხვა ინფორმაცია - გარდა ისტორიულისა. მომავალზე ორიენტირებული განაცხადები წინამდებარე პროსპექტის რამოდენიმე თავშია წარმოდგენილი. მათ შორისაა, ინფორმაცია მოცემული შემდეგ თავებში: *„რისკის ფაქტორები“*, *„ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების გამოყენება“*, *„საქმიანობის აღწერა“*, *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“* და *„რისკის მართვა“*.

ისეთი სიტყვები, როგორიცაა: მიგვაჩნია, ველით, ვვარაუდობთ, გათვლილი გვაქვს, პოტენციურად, მოსალოდნელი, განზრახული, წინასწარ გათვლილი, პროგნოზირებული, შესაძლოა, უნდა, შეიძლება, ვგეგმავთ, ვუმიზნებთ, გვსურს და სხვა მსგავსი გამონათქვამები გათვლილია მომავალზე ორიენტირებული განცხადებების იდენტიფიკაციისათვის, თუმცა ეს გამონათქვამები ან განცხადებები არ არის ამომწურავი.

თავისი ბუნებით, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მოიცავს არსებით რისკებს და გაურკვევლობებს - როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში. არსებობს იმის რისკიც, რომ წინასწარი გათვლები, პროგნოზები და სხვა სახის მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მიღწეული/შესრულებული ვერ იქნება. ეს რისკები, გაურკვევლობები და სხვა ფაქტორები ბევრ სხვა საკითხთან ერთად გულისხმობს იმათ, რომლებიც მითითებულია თავში *„რისკის ფაქტორები“*, ისევე, როგორც პროსპექტის სხვა ნაწილებში. ინვესტორებმა უნდა გააცნობიერონ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლოა არსებითად განსხვავებული შედეგები მოიტანოს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებში გამოთქმულ გეგმებთან, ორიენტირებთან, მოლოდინთან, ვარაუდთან და განზრახვებთან შედარებით.

შესაბამისად, ინვესტორები არასათანადოდ არ უნდა დაეყრდნონ მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს და გულდასმით უნდა გაიაზრონ ზემოანიშნული და სხვა გაურკვევლობები ან მოვლენები, განსაკუთრებით ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო გარემო, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მომავალზე ორიენტირებული განცხადებები აქტუალურია მათი დაწერის თარიღისთვის. კომპანია არ კისრულობს ვალდებულებას მათ განახლებაზე, ან გადასინჯვაზე (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების ან სხვა საკითხების კვალობაზე), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შესაბამისი კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. კომპანია არ აცხადებს და არ იძლევა გარანტიას, რომ ამგვარი მომავალზე ორიენტირებული განცხადებებით მოსალოდნელი შედეგი მიღწეული იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს განცხადებები ბევრ შესაძლო სცენართაგან ერთ-ერთია და არ შეიძლება გაგებული იქნეს როგორც მოვლენათა განვითარების ყველაზე სავარაუდო ან სტანდარტული სცენარი. ეს გამაფრთხილებელი განცხადებები შეეხება მომავალზე ორიენტირებულ ყველა განცხადებას, რომელიც კომპანიის ან მისი სახელით მოქმედი პირის, ასევე წინამდებარე პროსპექტში გათვალისწინებული მესამე მხარის მიერ კეთდება პროგნოზის სახით.

ფინანსური და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა

ფინანსური ინფორმაცია

კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის: 2010, 2011, 2012 და 2013 წწ. (შემდგომში „**აუდირებული ფინანსური ანგარიშგება**“) მოყვანილია წინამდებარე პროსპექტში. ისინი შედგენილია საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ (შემდგომში „**საბჭო**“) დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში „**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**“), რომელიც მოიცავს საბჭოსა და მისი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ გამოშვებულ ყველა იმ საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტსა და ინტერპრეტაციას, რომელიც რელევანტურია კომპანიის საქმიანობისათვის. აუდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის დამოუკიდებელი აუდიტორების „იუაი საქართველოს“ (EY Georgia) მიერ შემოწმდა (შემდგომში „**აუდიტორ(ებ)ი**“) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში „**აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები**“). გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ცალსახად არის სხვაგვარად მითითებული, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია გამომდინარეობს წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან.

წინამდებარე პროსპექტში ცალკეული თანხები მითითებულია დამრგვალების პრინციპით.

ბაზრის, დარგის და ეკონომიკური ინფორმაცია

წინამდებარე პროსპექტში გამოსაყენებლად კომპანიამ ბაზრის მონაცემები მოიპოვა შიდა კვლევებიდან, დარგში მდგომარეობის ამსახველი წყაროებიდან და პროსპექტის მომზადებისას ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციიდან. ბაზარზე მდგომარეობის ამსახველი და გაცვლითი კურსის შესახებ წინამდებარე პროსპექტის მონაცემების ძირითადად წყაროებს წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის საინვესტიციო ბანკი და მსოფლიო ბანკი. საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კომპანიამ მონაცემები მოიპოვა ძირითადად საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან (შემდგომში „**საქსტატი**“) და საქართველოს მთავრობისგან. კომპანია პასუხისმგებლობას კისრულობს მესამე მხარისგან მოპოვებული ინფორმაციის სწორ წარმოჩენაზე და რამდენადაც კომპანია აცნობიერებს და შეუძლია ამ მესამე პირების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მტკიცება, არცერთი იმგვარი ფაქტი არ ყოფილა გამოტოვებული, რასაც შეეძლო მცდარი ან უზუსტო გაეხდა ამგვარი ინფორმაცია.

ზოგადი ინფორმაცია

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალსახად სხვაგვარად არის მითითებული, წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი ინფორმაცია სრულად (ისტორიული ფინანსური ინფორმაციის ჩათვლით) კომპანიის მონაცემებია.

განმარტებულ ტერმინებს გააჩნიათ ის მნიშვნელობა, რაც პროსპექტის „*ტერმინებისა და განმარტებების*“ თავშია მითითებული.

ვალუტა და გაცვლითი კურსი

წინამდებარე პროსპექტში ნებისმიერი მითითება „ლარზე“ არის მითითება საქართველოს კანონიერ ფულად ერთეულზე, ყველა მითითება „დოლარზე“ არის მითითება ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერ ფულად ერთეულზე, ხოლო ნებისმიერი მითითება ევროზე არის მითითება ევროპის თანამეგობრობის საერთაშორისო შეთანხმებით (შესაბამისი შესწორებებით) განსაზღვრული ევროპის ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მესამე ეტაპის დასაწყისისთვის შემოღებულ ფულად ერთეულზე.

მკითხველისთვის კომფორტის შესაქმნელად, წინამდებარე პროსპექტში ლარებში ნომინირებული თანხების ექვივალენტური ოდენობებია მითითებული აშშ დოლარებში იმ გაცვლითი კურსით, რომელიც ოპერაციის დროისთვის ან საანგარიშო პერიოდში იყოს განსაზღვრული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ის შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტიური გაცვლითი კურსისგან ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილი სხვა ფინანსური ინფორმაციისგან. ამ გაცვლითი კურსის მითითება არ მიუთითებს იმაზე, რომ ლარში ნომინირებული თანხები ფაქტიურად ამდენია აშშ დოლარებში, ან რომ ეს თანხები კონვერტირებული იქნა აშშ დოლარებში რაიმე კონკრეტული გაცვლითი კურსით ან საერთოდ იქნა კონვერტირებული.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მითითებულ წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ლარის მაღალი, დაბალი, საშუალო და პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსი აშშ დოლართან, თითოეულ შემთხვევაში ლარის შეძენისათვის აშშ დოლარით.

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის ბოლო
	(ლარი აშშ დოლართან მიმართებით)			
2013	1.738	1.635	1.663	1.736
2012	1.675	1.619	1.651	1.657
2011	1.811	1.639	1.686	1.670
2010	1.888	1.693	1.783	1.773

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მითითებულ თვეებში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ლარის მაღალი, დაბალი, საშუალო და პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსი აშშ დოლართან, თითოეულ შემთხვევაში ლარის შეძენისათვის აშშ დოლარით.

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის ბოლო
	(ლარი აშშ დოლართან მიმართებით)			
2014 წლის აგვისტო (26.08 ჩათვლით)................	1.739	1.724	1.729	1.725
2014 წლის ივლისი	1.770	1.742	1.760	1.742
2014 წლის ივნისი..	1.773	1.756	1.769	1.769
2014 წლის მაისი..	1.774	1.752	1.763	1.772
2014 წლის აპრილი	1.771	1.746	1.755	1.771
2014 წლის მარტი	1.755	1.727	1.741	1.748

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შეთავაზების ძირითადი პირობები

შეთავაზების ძირითადი პირობები აღწერს იმ პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ხდება ობლიგაციების ემისია, შეთავაზება და განთავსება. ამასთან ძირითადი პირობები არ ასახავს ობლიგაციების სრულ პირობებს, რომლებიც უფრო დეტალურად მოცემულია წინამდებარე პროსპექტის სხვა თავებში, მათ შორის, იხილეთ თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

შეთავაზება..	10,000,000 აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2017 წლის 22 სექტემბერი
ემიტენტი...	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (ს/ნ 204972155), დაფუძნებული 2001 წლის 29 ოქტომბერს
ინსტრუმენტი..	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი)
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება........	1,000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი
ობლიგაციების რაოდენობა................................	10,000 (ათი ათასი) ცალი
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	10,000,000 (ათი მილიონ) აშშ დოლარი
საპროცენტო სარგებელი (კუპონი)....................	წლიური 8.75% ნომინალური ღირებულებიდან, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. საბოლოო საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) დადგინდა ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building) (იხ. *„ობლიგაციების გამოშვების პირობების“* მე-2 თავი - *„ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა“* - გვ. 55) და აისახა საბოლოო პროსპექტში.
გამოშვების ფასი...	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
ობლიგაციების გამოშვების და განთავსების თარიღი..	ობლიგაციები გამოშვებული და განთავსებული იქნება 2014 წლის 22 სექტემბერს
ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღი	ობლიგაციების განაღდება (დაფარვა), ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვა მოხდება 2017 წლის 22 სექტემბერს
განთავსების აგენტი..	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ 211359206)
ობლიგაციონერების წარმომადგენელი	შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ (ს/ნ 204484628)
ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი	სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ 204378869)
რეგისტრატორი...	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ 205156374)

სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა..	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების და განთავსების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება ყოველი წლის 22 სექტემბერს და 22 მარტს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2015 წლის 22 მარტს
ობლიგაციების კლასი და სტატუსი..................	ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ობლიგაციებს ექნებათ კომპანიის ყველა სხვა არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან მიმართებაში
ობლიგაციების ფორმა..	ობლიგაციები გამოშვებულ იქნება არამატერიალიზებული, რეგისტრირებული ფორმით. ობლიგაციებზე საკუთრების უფლება დასტურდება რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების რეესტრში და ნომინალური მფლობელების რეესტრებში (როგორც ეს განიმარტება *„ობლიგაციების გამოშვების პირობებში“*) ჩანაწერებით და ობლიგაციების გადაცემა შესაძლებელის განხორციელდეს მხოლოდ შესაბამის რეესტრში ცვლილების შეტანის გზით
ვადამდე გამოსყიდვა...	კომპანიას უფლება აქვს განაღდების თარიღამდე მოახდინოს ობლიგაციების გამოსყიდვა მეორად ბაზარზე. ამასთან, გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოში საგადასახადო/დაბეგვრის რეჟიმის გარკვეული ცვლილებების შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს ობლიგაციონერებისადმი ნებისმიერ დროს მიწოდებული შეტყობინებით განაღდების თარიღამდე გამოისყიდოს ობლიგაციები მთლიანად (მაგრამ არა ნაწილობრივ), გადაუხდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდით (იხ. პროსპექტის თავის *„ობლიგაციების გამოშვების პირობები“*, ქვეპუნქტი 7(ბ) – *„გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით“*)
აქტივების განკარგვაზე შეზღუდვა და სხვა დათქმები..	ობლიგაციების პირობების შესაბამისად, ემიტენტს დაწესებული აქვს შეზღუდვები აქტივების უზრუნველყოფით დატვირთვასთან ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებით, გარდა ნებადართული გარიგებებისა. ემიტენტი აგრეთვე ექვემდებარება სხვა შეზღუდვებს საქმიანობაზე, აქტივების გასხვისებასა და ფინანსებზე (იხ. *„ობლიგაციების გამოშვების პირობები“*, პირობა - 5, *„დათქმები“*).
დეფოლტი	თუ წარმოიქმნება „დეფოლტის შემთხვევა“ ობლიგაციონერების წარმომადგენელს (და გარკვეულ შემთხვევებში ობლიგაციონერ(ებ)ს და/ან ნომინალურ მფლობელებს) შეუძლია ემიტენტისათვის შეტყობინების გაგზავნით მოითხოვოს ობლიგაციებზე ძირითადი თანხის 100%-ისა და დარიცხული პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადახდა სრული ოდენობით (იხ. *„ობლიგაციების გამოშვების პირობები“*, პირობა - 10, *„დეფოლტის შემთხვევები“*)

წყაროსთან დაკავებული გადასახადები	კომპანიის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციებთან დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის ყველა გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდის წყაროსთან გადასახადების გამოკლებით/დაკავებით. იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი, თავისი შეხედულებისამებრ, გადაწყვეტს, რომ პროცენტის რომელიმე გადახდაზე კანონის მიხედვით ვრცელდება შეღავათი, მაშინ ემიტენტი არ მოახდენს შესაბამისი გადასახადის დაკავებას და ობლიგაციონერები ისარგებლებენ ამგვარი შეღავათით და მიიღებენ თანხას სრულად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების გარეშე
ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება.....................	ემიტენტის მიერ ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავლები გამოყენებული იქნება კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის იმგვარად, რაც შესაძლებლობას მისცემს მას განავრცოს თავისი ოპერაციები იმ სექტორებში, რომელთაც გააჩნიათ ლიზინგის მაღალი პოტენციალი, მაგრამ შედარებით დაბალი ათვისება, კერძოდ, სამკურნალო/სამედიცინო-ესთეტიკური, სასოფლო-სამეურნეო და სასტუმრო სექტორებში (იხ. „*ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების გამოყენება*“)
სავაჭროდ დაშვება და ლისტინგი	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 ოქტომბრისა, მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები ..	ობლიგაციების შეთავაზება და გაყიდვა მოხდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში
მარეგულირებელი კანონმდელობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	ობლიგაციებთან დაკავშირებული დავები უნდა მოგვარდეს საქართველოს სასამართლოებში მიმართვის გზით, პროსპექტით განსაზღვრული წესით
რისკის ფაქტორები	ობლიგაციების სავარაუდო შემძენებმა გულდასმით უნდა გაანალიზონ წინამდებარე პროსპექტში და განსაკუთრებით „*რისკის ფაქტორების*“ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების შესახებ
ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“, საიდენტიფიკაციო კოდი 204972155, მის: საქართველო, თბილისი 0179, ტატიშვილის ქ. N3/5, ტელ: (995 32) 244-4388; ელ-ფოსტა: tgobejishvili@glc.ge
განთავსების აგენტის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. N7, ტელ: (995 32) 2444-681; ელ-ფოსტა: ikirtava@bgcap.ge
ობლიგაციონერების წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ (ს/ნ 204484628) საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28. ტელ: (995 32) 2207-407; ელ-ფოსტა: eprem@nplaw.ge

რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი" – (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ.№11; ტელ.: (995 32) 2251-560; ელ.-ფოსტა: info@usr.ge
ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსსნ)	მიენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბოლოო პროსპექტის წარდგენის შემდეგ

რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა გულდასმით და სრულად უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. მასში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა შემძენებმა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალდაბანდების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინონ მითითებული რისკები ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. ნებისმიერი ქვემოთ აღწერილი რისკი შეიძლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერირების შედეგებზე. თუ ნებისმიერი აღწერილი რისკი მატერიალიზებული იქნება, ამან შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. ამასთან, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მითითებული რისკის ფაქტორები ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან ასოცირებულ ძირითად რისკებად მიაჩნია, შესაძლოა არსებობდეს სხვა რისკი ან არაპროგნოზირებადი გარემოება, რასაც კომპანია ამ ეტაპზე უმნიშვნელოდ მიიჩნევს, ან რისი არსებობაც კომპანიისათვის უცნობია. ნებისმიერ მსგავს რისკს ან არაპროგნოზირებად გარემოებას შესაძლოა ჰქონდეს იგივე უარყოფითი ეფექტი. შესაბამისად, კომპანია არ მიიჩნევს, რომ ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკები ამომწურავია.

მაკროეკონომიკური და საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკები

რთულ გლობალურ ეკონომიკურ პირობებს საზიანო გავლენა ჰქონდა და შეიძლება კვლავ ჰქონდეს კომპანიაზე

როგორც უფრო დეტალურად ქვემოთ არის აღწერილი, კომპანია საქმიანობს საქართველოში, სადაც არის მისი მომხმარებლების და აქტივების უმეტესობა. მიუხედავად ამისა, კომპანიის საქმიანობასა და მუშაობაზე გავლენას ახდენს გლობალური მაკროეკონომიკური და საბაზრო პირობები. 2008 წელს გლობალური ეკონომიკა შევიდა ბოლო 80 წლის ყველაზე მძიმე დაღმასვლის ფაზაში, სადაც ფინანსური მომსახურების ბიზნესი უპრეცედენტო სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ლიკვიდური სახსრების ნაკლებობა, დაფინანსების შეზღუდული შესაძლებლობები, კაპიტალზე ზეწოლა, აქტივების ხარისხის გაუარესება და ფასების მნიშვნელოვანი ცვალებადობა მთელი რიგი აქტივების კლასებზე ფინანსურ დაწესებულებებს მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ აყენებდა. ბევრი განვითარებული ეკონომიკა რეცესიის რეჟიმში გადავიდა და ზრდა შენელდა ბევრ განვითარებად ქვეყანაში – მათ შორის საქართველოში.

ფინანსურ კრიზისს თან ახლდა ბევრი უარყოფითი შედეგი, მათ შორის ფინანსური დაწესებულებებისადმი ნდობის დაკარგვა, გაზრდილი სავალუტო რყევები, კონტრაჰენტთან დაკავშირებული რისკის მატება და სისტემური მარცხის რისკი. ეს გარემოებები იწვევდა ფინანსური ბაზრების მუშაობის შეფერხებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და განაპირობებდა სირთულეებს საერთაშორისო საბანკო სისტემაში ლიკვიდურობისა და დაფინანსების კუთხით. კაპიტალზე წვდომა, საკრედიტო ბაზრები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ლიკვიდურობის სხვა ფორმები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ფინანსურმა კრიზისმა ასევე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია გლობალურად ბევრი ფინანსური ინსტიტუტის აქტივების ღირებულებასა და კაპიტალზე.

2013 წლის მეორე ნახევრიდან გლობალური აქტივობის გაძლიერების და 2014–2015 წლებში პერსპექტივების გაუმჯობესების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორება გლობალურად კვლავ მყიფეა. დაღმასვლის რისკი კვლავ არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში ძირითადი საფრთხე ევრო ზონიდან მომდინარეობს, სადაც დაბალმა ინფლაციამ და სასესხო ვალდებულებებმა შესაძლოა კიდევ უფრო შეამციროს ეკონომიკური ზრდა. განვითარებად ბაზრებზე ხდება ადაპტაცია გარე დაფინანსების მოპოვების უფრო რთულ პირობებთან, რაც საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ ზრდას. ძირითადი რეგიონული რისკი მომდინარეობს რუსეთში შენელებული ეკონომიკური განვითარების ტემპიდან, რაც საზიანოდ იმოქმედებს საქართველოდან ექსპერტზე და ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის ფულად გზავნილებზე. რადგან ეკონომიკური ზრდის ეს რისკები კვლავ დომინირებს, გლობალურმა ეკონომიკამ და საქართველომ შეიძლება ბაზარზე რყევები და შემასუსტებელი გარე ფაქტორების ზემოქმედება განიცადოს. ამ მოვლენებმა შექმნეს არასახარბიელო გარემო გლობალურად და საქართველოში. მათ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიაზე.

რეგიონულმა დაძაბულობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიაზე

საქართველოზე, რომელსაც ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, შესაძლოა გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა დაძაბულობამ საზღვრებს შიგნით და მის გარეთ. კერძოდ, დამოუკიდებლობის

აღდგენის დღიდან საქართველოს მიმდინარე კონფლიქტი აქვს აფხაზეთთან, ცხინვალის რეგიონთან და რუსეთთან. აღნიშნული კონფლიქტები იწვევს პერიოდულ ძალისმიერ დაპირისპირებას და სამშვიდობო შეთანხმებ(ებ)ის დარღვევას. უახლოეს წარსულში – 2008 წლის აგვისტოში მოხდა ცხინვალის რეგიონთან არსებული კონფლიქტის ესკალაცია, როდესაც საქართველოს სამხედრო ძალები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ შეიარაღებულ დაჯგუფებებსა და რუსეთის ჯარს, რომელმაც საერთაშორისო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა („**2008 წლის კონფლიქტი**"). მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა საფრანგეთის შუამავლობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლითაც რუსეთის ჯარი იმ თვის ბოლოს უნდა გასულიყო საქართველოს ტერიტორიიდან, რუსეთის ჯარი კვლავ განაგრძობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას და დაძაბულობა გრძელდება. რუსეთს გაცხადებული აქვს, რომ მას ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოება (რაც მოიცავს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს) ანტაგონისტურ სვლად მიაჩნია. ამასთანავე, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის კონტექსტში („**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება**"), რაც მოიცავს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასაც" („**თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება**") და გულისხმობს თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს ევროპასთან. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება" საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებას მისცემს იმ პირობით, რომ საქართველო თავისი სამართლებრივი, სასამართლო და ეკონომიკური სისტემის გარკვეულ ელემენტებს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველო შეძლებს აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილებას და მოახერხებს ევროკავშირთან ინტეგრირების სარგებლის სრულად მიღებას.

საქართველოს ეკონომიკაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულმა კონფლიქტმა. უკრაინის კრიზისი დაიწყო 2013 წლის ბოლოს და კვლავ გრძელდება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დააწესეს სანქციები კრემლის ბევრი თანამდებობის პირისა და რუსეთის წინააღმდეგ, რამდენიმე რუსული ბანკისა და კომპანიის ჩათვლით. უკრაინის პოლიტიკურ არასტაბილურობას, ასევე რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტის გახანგრძლივებას, სანქციების გამო რუსეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან შემცირებას ან გაურკვევლობას და/ან რეგიონალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომ გაუარესებას შესაძლოა ნეგატიური გავლენა ჰქონდეს საქართველოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ზრდაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მეზობლებს – აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობები კვლავ დაძაბულია და დროდადრო ადგილი აქვს ძალისმიერ დაპირისპირებას. ბოლო დროს ამგვარმა შემთხვევებმა იმატა.

ამასთან, დასავლეთის მთავრობებთან და ინსტიტუციებთან საქართველოს ურთიერთობის მკვეთრ შეცვლას ეროვნული უსაფრთხოების, დასავლეთის ენერგომატარებლებით მომარაგების პროცესში მისი როლის, საქართველოსათვის გამოყოფილი დახმარების და ქართველი მეწარმეების მიერ მსოფლიო საექსპორტო ბაზრებზე შესვლის კუთხით შესაძლოა ნეგატიური გავლენა ჰქონდეს საქართველოს სტაბილურობაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

ვინაიდან კომპანია საქმიანობს მხოლოდ საქართველოში, მისი წარმატება დამოკიდებულია საქართველოზე გავლენის მქონე გარკვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორებზე, რაც მის კონტროლს არ ექვემდებარება

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური ფაქტორები, მაგ. მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსი, ასევე უმუშევრობა, ფიზიკური პირების შემოსავლები და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის მოგება/ზარალზე, მარჟებსა და კომპანიის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნადობაზე. რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საქართველოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს ტურიზმს, სატრანზიტო მომსახურებას, სოფლის მეურნეობას, სამთო–მომპოვებელ საქმიანობას, მეტალურგიას და შხამ–ქიმიკატების წარმოებას. „საქსტატის" მონაცემებზე დაყრდნობით, ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელს 6.2%–ით გაიზარდა, მაშინ როცა 2013 წელს ზრდა გაცილებით მცირე იყო და 3.2%-ს შეადგენდა, ვინაიდან არჩევნების შემდგომ პერიოდში პოლიტიკურმა გაურკვევლობამ იმოქმედა მომხმარებლებისა და ინვესტორების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, ასევე სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების განხორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის მე–4 კვარტალში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დაიწყო, მომხმარებელთა და ინვესტორთა რწმენა კვლავ სუსტია და სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების განხორციელება კვლავ ჩამორჩება დაგეგმილ გრაფიკს (2014 წლის 1–ელი კვარტლის გეგმა 78.6%–ით შესრულდა). შესაბამისად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება მძლავრი ზრდა.

საქართველოს ბაზარზე რყევებმა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტების ლიკვიდურობაზე, საქმიანობასა ან ფინანსურ მდგომარეობაზე. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება. ამგვარ გარემოში მომხმარებელთა მიერ ხარჯვა შეიძლება შემცირდეს. ნებისმიერმა ამ გარემოებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობამ ან ზრდის არარსებობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე და, თავის მხრივ, კომპანიაზე

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, ზოგადად არ არსებობს ბაზარი საქართველოს გარეთ მისი გაცვლისათვის. საქართველოში არის ლარის კონვერტაციის ბაზარი, თუმცა მისი მასშტაბები შეზღუდულია. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2013 წელს აშშ დოლარსა და ევროზე ლარის კონვერტაციის სავაჭრო ბრუნვამ (საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის გამოკლებით) 27.7 მილიარდი აშშ დოლარი და 9.8 მილიარდი ევრო შეადგინა. ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მთლიანი სავალუტო რეზერვები 2.49 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. თუმცა საქართველოს მთავრობის მტკიცებით, ეს რეზერვები საკმარისი იქნება მოკლევადიან პერიოდში ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სავალუტო ბაზარზე ზრდის არქონამ შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ეკონომიკის განვითარება, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორატიული კლიენტების საქმიანობაზე და, თავის მხრივ, კომპანიაზე.

ამასთან, სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის არქონამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. მნიშვნელოვანი არასტაბილურობა შეიმჩნეოდა აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლით კურსთან მიმართებით 1998 წლის აგვისტოში რუსეთში განვითარებული ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, ასევე 2013 წლის ბოლოს, რაც გამოწვეული იყო გაზრდილი სამთავრობო ხარჯებით და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკით (რის ფარგლებშიც, აშშ-ს ცენტრალურმა ბანკმა შეისყიდა სამთავრობო ან სხვა ფასიანი ქაღალდები ბაზრიდან საპროცენტო განაკვეთების შემცირების და ფულადი სახსრების მიწოდების გაზრდის მიზნით). ლარი ზოგადად გამყარდა აშშ დოლარის და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალუტების მიმართ 2001–დან 2008 წლამდე პერიოდში, მაგრამ შემდეგ მოხდა მისი გაუფასურება აშშ დოლარისა და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალუტების მიმართ 2011 წლის თებერვლამდე, როდესაც მან კვლავ დაიწყო გამყარება. 2008 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარი 16.1%–ით გააუფასურა. ეს ინიციატივა გათვლილი იყო ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენის შემსუბუქებაზე. ლარი ზოგადად სტაბილური იყო 2012 წელს და 2013 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო ბანკის შერბილების პოლიტიკამ და საქართველოს მთავრობის გაზრდილმა ხარჯებმა ლარი 6.6%–ით გააუფასურა აშშ დოლარის მიმართ 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის იანვრამდე. საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის უნარი გავლენა იქონიონ ლარის გაცვლითი კურსის ნებისმიერ ცვალებადობაზე დამოკიდებული იქნება გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის შესაძლებლობაზე კონტროლს დაუქვემდებარონ ინფლაცია, ასევე უცხოური სავალუტო რეზერვების ხელმისაწვდომობაზე, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და სხვა მყარი ვალუტის შემოდინებაზე. აღნიშნული ფაქტორების გაკონტროლების უუნარობამ ან ლარის შემდგომმა მნიშვნელოვანმა გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. „საქსტატის“ გათვლების თანახმად, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის სამომხმარებლო ფასების ინდექსით გაზომილი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი საქართველოში 2.4% იყო 2013 წელს, -1.4% – 2012 წელს, ხოლო 2.0% – 2011 წელს. ინფლაცია მზარდი იყო 2014 წლის დასაწყისში. მისი მაჩვენებელი 3.5% იყო 2014 წლის მარტის ბოლოსთვის, თუმცა 2.8%–მდე შემცირდა 2014 წლის ივლისის ბოლოს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, ინფლაცია მატებას დაიწყებს 2014 წლის მეორე ნახევრიდან. მაღალმა და მდგრადმა ინფლაციამ შეიძლება ბაზარზე არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებლის მსყიდველუნარიანობის შემცირება და მომხმარებელთა რწმენის შერყევა გამოიწვიოს. ნებისმიერმა ამგვარმა შედეგმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომხმარებლების ბიზნესზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიაზე

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველომ განიცადა არსებითი პოლიტიკური ტრანსფორმაცია ფედერალურ სოციალისტური რესპუბლიკის წევრი სახელმწიფოდან დამოუკიდებელ

სუვერენულ დემოკრატიად. 2003 წლის ნოემბრის მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მიხეილ სააკაშვილი იყო ქვეყნის პრეზიდენტი 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის 17 ნოემბრამდე. 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და ადგილების უმრავლესობა (54.97%) მოიპოვა იმ დროს ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართული ოცნება“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბიძინა ივანიშვილი, ხოლო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ აღიარა დამარცხება და შესაბამისად, საქართველოში ძალაუფლების გადაცემა მოხდა კონკურენტული და საყოველთაოდ აღიარებული არჩევნების შედეგად. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილი არჩეულ იქნა პრემიერ-მინისტრად საქართველოს პარლამენტის მიერ. 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტად არჩეულ იქნა გიორგი მარგველაშვილი, მმართველი კოალიციის, „ქართული ოცნების“ კანდიდატი. წინასწარ გაკეთებული განცხადებების შესაბამისად, 2013 წლის ნოემბერში ივანიშვილი გადადგა და მის შემცვლელად დასახელდა ირაკლი ღარიბაშვილი, ივანიშვილის ახლო მოკავშირე და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, რომელიც დამტკიცებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 20 ნოემბერს.

კოალიცია „ქართული ოცნება“ ზოგადად მიიჩნევა ბიზნესისა და ინვესტორების მიმართ კეთილგანწყობილ პოლიტიკურ ძალად და დღემდე რჩება იმ მთავარი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის გამტარებლად, რაც ემსახურება ქართული ეკონომიკის ლიბერალიზაციას. თუმცა, იმავდროულად, საქრთველოს პარლამენტში განხილული ბევრი საკანონმდებლო ინიციატივა იქცა კრიტიკის ობიექტად ბიზნეს საზოგადოებაში, სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებაზე დაწესებული მორატორიუმის ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ შეიმუშავა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებისაკენ ორიენტირებული პოლოტიკა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მთავრობის მიმდინარე პოლიტიკური ან ეკონომიკური რეფორმები გაგრძელდება იმავე ტემპით ან საერთოდ გაგრძელდება. საქართველო დგას რამდენიმე გამოწვევის წინაშე, რუსეთთან გაუმჯობესების გზაზე მყოფი, მაგრამ კვლავ დაძაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური / პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე, რასაც არსებითად ნეგატიური გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და/ან პერსპექტივაზე.

კომპანიის სალიზინგო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს საკუთარი პორტფელის ხარისხის შენარჩუნება

რამდენიმე ფაქტორმა შეიძლება გააუარესოს პორტფელის ხარისხი:

- კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს მისი პორტფელის ეფექტური მართვა შიდა კონტროლის პრობლემების და/ან საბაზრო პირობების ცვლილებების გამო, რაც გამოიწვევს დაგვიანებულ გადახდებსა და პრობლემური ვალების ზრდას;
- ხელმძღვანელობამ შეიძლება შეასუსტოს სტანდარტული პირობები რათა უკეთესი ფინანსური შედეგები მიიღოს. ამას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს პასუხისმგებლობის გაზრდა;
- კომპანიის მომხმარებლებმა შეიძლება ვერ დაფარონ სალიზინგო კონტრაქტებით განსაზღვრული კრედიტები და დეფოლტის შემთხვევაში უზრუნველყოფა შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ლიზინგის მიმღების დავალიანების ამოსაღებად;
- გარე ფაქტორებმა, როგორიცაა ზოგადად საბაზრო პირობების შეცვლა, შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა ლიზინგის პროდუქტებზე და ამდენად, გამოიწვიოს პორტფელის ხარისხის გაუარესება.

სალიზინგო აქტივების ღირებულება შეიძლება შემცირდეს

სალიზინგო აქტივების ღირებულება შეიძლება შემცირდეს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ნორმების ცვლილებების, ლიკვიდურობის შემცირების, საბაზრო პირობების ცვალებადობის და მოძველებული ტექნოლოგიების გამო. შესაძლოა ყველა ამ ფაქტორმა იქონიოს გავლენა უზრუნველყოფის ღირებულებაზე იმდენად, რომ იგი იყოს დარჩენილ სალიზინგო საზღაურზე ნაკლები. ასევე, შეფასებისას დაშვებულმა შეცდომამ შესაძლოა გამოიწვიოს უზრუნველყოფის არაადექვატურობა, რადგან აქტივი შესაძლოა არ იყოს შეფასებული საბაზრო პირობებით და/ან ლიზინგის ვადა შესაძლოა არ შეესატყვისებოდეს აქტივის კატეგორიას/ტიპს.

სავალუტო კურსის ცვალებადობა გავლენას ახდენდა და შეიძლება მომავალშიც იმოქმედოს კომპანიაზე

გაცვლითი კურსის ცვლილება უშუალოდ ახდენს გავლენას კომპანიის სუფთა შემოსავლებზე ვინაიდან კომპანიაში ლიზინგის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფიქსირებული შემოსავლები

დივერსიფიცირებულია სამ განსხვავებულ ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო), ხოლო კომპანიის მიერ გასასტუმრებელი კრედიტები დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

კომპანია შეიძლება დადგეს ლიკვიდურობის რისკის წინაშე

კომპანიის პროფილური საქმიანობა საჭიროებს მნიშვნელოვანი ოდენობის საბრუნავ სახსრებს მანქანა–დანადგარებისა და აპარატურის შესყიდვების დასაფინანსებლად. გონივრულ ფასად დაფინანსების წყაროებზე იოლ წვდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებისა და გაფართოებისთვის. შესაბამისად, ლიკვიდურობა კომპანიის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ლიკვიდურობის არქონა შეიძლება გულისხმობდეს ლიზინგის პორტფელის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად, ასევე დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ხარჯებისათვის კომპანიაში საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობას, რამაც შეიძლება კომპანიის სალიზინგო პორტფელის და რენტაბელობის შემცირება გამოიწვიოს.

კომპანია ექვემდებარება ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ საოპერაციო რისკს

- *მხოლოდ ერთ მომხმარებელთან ურთიერთობა* – კომპანიამ შესაძლოა გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად (ლიზინგის მიმღებებს შორის კავშირების შესახებ ინფორმაციის არქონის გამო) აქტივები ლიზინგით გასცეს ერთი აქციონრის მფლობელობაში არსებული კომპანიების ჯგუფზე,
- *კლიენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები* – კლიენტებს ან მის აქციონერებს შესაძლოა ცუდი საკრედიტო ისტორია ჰქონდეთ, დაგვიანებული გადახდებითა და დაუფარავი ვალდებულებებით. მათ შესაძლოა პრობლემები ჰქონდეთ საქართველოს შემოსავლების სამსახურთანაც, რაც მნიშვნელოვან რისკს ქმნის მათი კრედიტუნარიანობისათვის.
- *აქტივების შეფასების შესახებ ინფორმაციის უტყუარობა* – მიუხედავად იმისა, რომ კომპანია უმეტესად ურთიერთობს შემდგარ მეწარმეებთან, მაინც არსებობს შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს აქტივების ლიზინგით მიღება სურთ ნაკლებად ცნობილი მწარმოებლებისგან, რომლებიც ბაზარს დაბალ ფასად სთავაზობენ თავის პროდუქციას. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ხდება აქტივების ობიექტური/რეალისტური შეფასება,
- *კონტრაქტორების რისკი* - კონტრაქტორებმა შესაძლოა მიიღონ ავანსი და არ მიაწოდონ აქტივები კომპანიას.
- *იურიდიული/პროცედურული რისკი* –კომპანიის თანამშრომლებმა შესაძლოა შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას, კლიენტისთვის აქტივის გადაცემისას და სხვ.
- *მომხმარებელთა თაღლითური ქცევის რისკი* – მომხმარებელმა შესაძლოა შეცვალოს ფინანსური ანგარიშები და წარმოუდგინოს კომპანიას მონაცემები, რომელიც შეიცავს მცდარ ინფორმაციას მომხმარებლის მასშტაბების, ზომის და შესაძლებლობების შესახებ.
- *თანამშრომლების თაღლითური ქცევის რისკი* – თანამშრომელმა პირადი სარგებლის მიღების მიზნით შესაძლოა მოისურვოს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია და ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც სხვა შემთხვევაში არ დამტკიცდებოდა. თანამშრომელს შესაძლოა პირადი ინტერესი ამოძრავებდეს ლიზინგის აქტივის ნამდვილი ღირებულების არასწორ ასახვაში.
- *აქტივების დაზიანების რისკი* – ლიზინგის აქტივი შესაძლოა დაზიანდეს მომხმარებლის დაუდევრობით ან სხვა გარე ფაქტორების გამო, როგორიცაა სტიქიური მოვლენა ან უბედური შემთხვევა.
- *მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის რისკი* – საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები არ რეგულირდება დამოუკიდებელი ან სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს მიერ. ამიტომ, შესაძლოა არსებობდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან აქციონრებისა და კრედიტორების ინტერესების საწინააღმდეგოდ ქმედების რისკი.
- *ძირითადი პერსონალის რისკი* - კომპანია დამოკიდებულია მის ძირითად თანამშრომლებსა და კვალიფიციურ პერსონალზე. შესაბამისად,მნიშვნელოვანი თანამშრომლის მიერ ორგანიზაციის დატოვებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მუშაობაზე, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც. კომპანიის ძირითადი და გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლები არიან აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი და უფროსი იურისტი.

კომპანიას ჰყავს კონკურენტები

საქართველოს სალიზინგო სექტორში რამდენიმე კომპანია საქმიანობს, თუმცა კომპანიის მთავარი კონკურენტია „თიბისი ლიზინგი“, რადგან სხვა კომპანიები გაცილებით უფრო მცირე ზომისაა. კონკურენციასთან დაკავშირებული რისკებია:

- კონკურენტი პირველი შედის ბაზარზე ახალი პროდუქტით;
- კონკურენტი იყენებს დემპინგურ სტრატეგიას მისი სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად;
- კონკურენტი იყენებს გაფართოების აგრესიულ სტრატეგიას და ამით აზიანებს კომპანიის პორტფელის ხარისხს, რაც საბოლოო ჯამში აზიანებს დარგის რეპუტაციას.

თუ მომავალში კომპანია ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები ან თუ მისი სახელი ასოცირებული იქნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა საზიანო გავლენა იქონიოს კომპანიაზე

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ყოველმხრივ ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას და დანერგილი აქვს „იცოდე ვინ არის შენი მომხმარებელი" სტანდარტები (ე.წ. KYC), აკმაყოფილებს კანონის ყველა მოთხოვნას და ამით გამორიცხავს მის გამოყენებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ინსტრუმენტად, მაინც არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეს ზომები აბსოლუტურად ეფექტური აღმოჩნდება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეძლებს დროულად დააკმაყოფილოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგების მოთხოვნა ან ასოცირებული აღმოჩნდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე. ამასთან, ამგვარ ქმედებებში მონაწილეობა შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს ყველა შესატყვისი სანქციითა და ჯარიმით.

კომპანიას შესაძლოა დაეკისროს საგადასახადო სანქციები

2014 წლის 19 მაისიდან საგადასახადო ორგანო - „საქართველოს შემოსავლების სამსახური" ახორციელებს კომპანიის საგადასახადო შემოწმებას (2009 წლის 1 ივნისიდან 2014 წლის 1 აპრილამდე პერიოდზე). 2014 წლის 17 ივლისს შემოწმება შეჩერდა განუსაზღვრელი ვადით. თუმცა კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია სრულად იცავს საგადასახადო კანონმდებლობას, საგადასახადო ორგანომ შესაძლოა განსხვავებული პოზიცია დაიკავოს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას. შედეგად, კომპანიას შესაძლოა მოუხდეს დეკლარაციების დაკორექტირება ან დაეკისროს საგადასახადო სანქციები.

განვითარებად ბაზრებთან დაკავშირებული სხვა რისკები

საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების ჩათვლით, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიას

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს იმ ადექვატურ სამართლებრივ სისტემას, რაც საჭიროა საბაზრო ეკონომიკის ჯეროვანი ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, საქართველოში რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული კანონი მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა. ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა ახალია და ქვეყნის იურიდიული სისტემის სწრაფი განვითარება კანონების ხარისხსა და აღსრულებადობას ეჭქვეშ აყენებს, რაც ქმნის გაურკვევლობას და შეუსაბამობას პრაქტიკაში მათი გამოყენებისას.

ამასთან, საქართველოს სასამართლო სისტემას არ ყავს საკმარისი კადრები და მასში მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში მოსამართლეები და სასამართლოები ზოგადად ნაკლებად გამოცდილნი არიან ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში. სასამართლო გადაწყვეტილებათა უმრავლესობა არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და მათი აღსრულება შეიძლება პრაქტიკაში სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკასა და კომპანიის კორპორატიული მომხმარებლების ბიზნესზე, რაც, თავის მხრივ, საზიანოდ იმოქმედებს კომპანიაზე.

ლიზინგის ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის სამომავლო ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე

წარსულში საქართველოს მთავრობამ გააცნობიერა სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესების საჭიროება, რათა მომხდარიყო მათი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. ამან შესაძლოა გამოიწვიოს სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ცვლილება, აქამდე არარსებული სამართლებრივი ბარიერების დაწესების (როგორიცაა ლიცენზირება, საპროცენტო სარგებლის ზღვრული ნორმა, კაპიტალის ადექვატურობა ან სხვა მოთხოვნები) ჩათვლით. უფრო მეტიც, რეგულაციების, ფისკალური თუ სხვა პოლიტიკის ცვლილებები არაპროგნოზირებადია და ხშირად მნიშვნელოვანი დრო გადის ცვლილებების გამოცხადებასა და შესაბამისი ცვლილებების დეტალების განსაჯაროებას შორის. ამასთან, ნებისმიერი მსგავსი ცვლილება არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს და შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მუშაობაზე. ახალ რეგულაციებთან შეგუებამ შესაძლოა შეზღუდოს კომპანიის

მომგებიანობა და ზრდა. ცვლილებები შესაძლოა ზღუდავდეს სალიზინგო კომპანიებს ბაზარზე ახალი პროდუქციის შემოტანაში, აკისრებდეს დამატებით საგადასახადო ტვირთს, უკარგავდეს პოტენციურ კლიენტებს სალიზინგო მომსახურების მიღების ინტერესს ან მიაყენოს სალიზინგო მომსახურებას, როგორც დარგს, არაპროგნოზირებადი ზიანი.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან ჯარიმების დარიცხვა. საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა შესაძლოა შეიცვალოს.

თუ შევადარებთ უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის რაც არსებობს და აღნიშნული ასახვას ჰპოვებს რეგულაციების ბუნდოვან იმპლემენტაციასა ან პრაქტიკის არარსებობაში. უფრო მეტიც, საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება, რამაც შესაძლოა კომპანიას და ზოგადად მის საქმიანობას უჩვეულო სირთულეები შეუქმნას. არსებობს სხვადასხვა ნორმების განსხვავებული ინტერპრეტაცია თვითონ სამთავრობო დაწესებულებებს შორის, საგადასახადო ორგანოების ჩათვლით და ეს ქმნის ბუნდოვანებას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. შესაბამისად, შესაძლოა სათანადო ორგანოებმა დაიკავონ განსხვავებული პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამან შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების გაზრდა ან ჯარიმების დარიცხვა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მიერ 2011 წლის ივლისში გამოცემული და 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ეკონომიკური თავისუფლების აქტის თანახმად – გარკვეული გამონაკლისებით – რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო ქვეყანაში ახალი საყოველთაო გადასახადის შემოსაღებად ან არსებული განაკვეთების გასაზრდელად, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და მთავრობის შემადგენლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ არსებული საგადასახადო კანონმდებლობა და გამონაკლისები მომავალში არ შეიცვლება, მთავრობის შეცვლის შედეგად განხორციელებული ცვლილებების ჩათვლით. სხვა მრავალ ფაქტორს შორის, ამგვარი ცვლილებები შეიძლება გულისხმობდეს საგადასახადო სფეროში ახალი ადმინისტრაციული მარეგულირებელი ნორმების დანერგვას ან არსებული პრეფერენციების გაუქმებას, რაც შეიძლება კომპანიას ან მის მომხმარებლებს უკავშირდებოდეს. საგადასახადო კანონმდებლობასა ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე კაპიტალდაბანდებას, როგორიცაა საქართველო

განვითარებადი ბაზრები შესაძლოა იყოს ძალიან ცვალებადი, შეზღუდული ლიკვიდურობის ან მცირე საექსპორტო ბაზის მქონე და შედარებით ხშირად იცვლება მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული და მარეგულირებელი გარემო. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები სწრაფად იცვლება და განსაკუთრებით დაუცველია საბაზრო პირობების და ეკონომიკური რეცესიის წინაშე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ამასთან, საერთაშორისო ინვესტორთა რეაქცია განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყანასა თუ რეგიონში განვითარებული ერთი რომელიმე მოვლენისადმი ხშირად ჯაჭვური ხასიათისაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ხდება მთელი რეგიონის ან ინვესტიციების კლასის უარყოფა ინვესტორების მხრიდან. თუ ამგვარი ჯაჭვური რეაქცია განვითარდება, საქართველოზე შეიძლება საზიანო გავლენა იქონიოს განვითარებადი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში განვითარებულმა უარყოფითმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველოზე წარსულშიც ჰქონია საზიანო გავლენა მსგავსი ჯაჭვური რეაქციის გარე ფაქტორებს, მაგალითად, ჯერ 1998 წელს რუსეთში განვითარებული და უფრო შემდგომი პერიოდის გლობალური ფინანსური კრიზისი. ამჟამად რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულმა დაძაბულობამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოზე. ამდენად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ქვეყანა არ მოექცევა მსგავსი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ მომავალში.

ფინანსური ან პოლიტიკური არასტაბილურობა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებითად უარყოფით გავლენას ახდენს მათ კაპიტალის ბაზრებზე და, ზოგადად ეკონომიკაზე, ვინაიდან ინვესტორებს თავიანთი ფული გადააქვთ უფრო განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნებში, რომლებიც ითვლება უფრო სტაბილურად ფინანსური და პოლიტიკური არასტაბილურობის დროს. ეს რისკის ფაქტორები შეიძლება დამძიმდეს საქართველოს შესახებ არასრული, არასანდო ან არარსებული ეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემებით, ამ ემისიის პროსპექტში მითითებული ინფორმაციის ჩათვლით.

ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს და ამგვარი ცვლილება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ან მოსალოდნელი საოპერაციო შედეგების, კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების არსებული ან მოსალოდნელი ცვლილებების, ბიზნესის არსახარბიელო განვითარების, კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელი გარემოს ცვლილების, ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილების, ობლიგაციების დიდი ოდენობით გაყიდვის ან მოსალოდნელი გაყიდვის, ასევე კომპანიის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორების (საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობების ჩათვლით) მიმართ საპასუხო რეაქციას. ამასთან, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ განიცადა მნიშვნელოვანი რყევები. თუ მომავალში იგივე განმეორდება, ამან შეიძლება კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და შედეგების მიუხედავად, უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოსა ან უცხოეთში განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან მათ საზიანო ეფექტი არ ექნება ლიკვიდურობაზე ან ობლიგაციების ფასზე ან ეკონომიკური და საბაზრო პირობები არ განიცდის რაიმე სხვა ნეგატიურ ზემოქმედებას. თუ ობლიგაციები ივაჭრება მათი პირველადი გამოშვების შემდეგ, შესაძლოა ისინი გაიყიდოს დისკონტირებულ ან პირველად ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას

ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიის ვალდებულებები წარმოადგენს მის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისათვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილდება ნებისმიერი უზრუნველყოფილი კრედიტორის შემდგომ. კომპანიის უნარი დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციებზე, საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათი რეგისტრაციის ჩათვლით

ობლიგაციების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო განჩინება, კანონმდებლობაში ცვლილება ან ადმინიტრაციული პრაქტიკა წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

კომპანიას სურს მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას, რათა ობლიგაციები დარეგისტრირდეს და სავაჭროდ დაიშვას საქართველოს საფონდო ბირჟაზე. 2013 წელს საქართველოს პარლამენტი განიხილავდა გარკვეულ ცვლილებებს კანონმდებლობაში, რასაც შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა ობლიგაციების რეგისტრაციასა და საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე ამგვარი რეგისტრაციისა და დაშვების მომავალში შენარჩუნებაზე. მიუხედავას იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებები ფართო კრიტიკის საგნად იქცა და არ იქნა მიღებული, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების რეგისტრაციასა და სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე ობლიგაციების სავაჭრო ბაზარზე.

ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა აშშ დოლარისგან განსხვავებულ ფულად ერთეულშია გამოსახული, შეიძლება მოსალოდნელზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირი თანხა ან ნულოვანი საპროცენტო შემოსავალი ან ძირითადი თანხა მიიღონ, რაც გამოწვეული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობით ან გაცვლითი კურსის კონტროლის ცვლილებით

კომპანია ობლიგაციაზე ძირითად თანხასა და პროცენტს გადაიხდის აშშ დოლარში. ეს გარკვეულ რისკს ქმნის ვალუტის კონვერტაციისას თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად განსხვავებულ ვალუტაშია ნომინირებული (**„ინვესტორის ვალუტა“**). ეს გულისხმობს გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების რისკს (მათ შორის აშშ დოლარის გაუფასურების ან ინვესტორის ვალუტის გადაფასების შედეგად წარმოქმილ ცვლილებებს) და იმის საშიშროებას, რომ ხელისუფლებამ კომპანიის ან ინვესტორის ვალუტის იურისდიქციაში შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს გაცვლითი კურსის კონტროლი. ინვესტორის ვალუტის

ღირებულების აფასება აშშ დოლართან მიმართებით შეამცირებს (i) ინვესტორის ვალუტას ობლიგაციის მოგების ექვივალენტური ოდენობით, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ძირითადი თანხის ინვესტორის ვალუტის ექვივალენტურ ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ექვივალენტურად ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

მთავრობამ და ფულად–საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანომ შეიძლება დააწესოს (ისევე, როგორც ზოგიერთს გაუკეთებია წარსულში) გაცვლითი კურსის კონტროლი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირი თანხა, რასაც ელოდნენ ობლიგაციებიდან ან მიიღონ ნულოვანი საპროცენტო სარგებელი ან ძირი თანხა.

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩევლებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ს 1993წ. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (**„აშშ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“**) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია (გარდა გამონაკლისი შემთხვევების ან ოპერაციებით, რომლებიც არ რეგულირდება აშშ-ს კანონმდებლობით) არ ექვემდებარება აშშ ფასიანი ქაღალდების კანონსა და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანინმდებლობას. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის პროცედურებს, ობლიგაციონერების წარმომადგენელსა და შესაბამის შემთხვევებში - ობლიგაციების ნომინალურ მფლობელებს

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ გადასახდელებს გადაუხდის ობლიგაციონერებს და ობლიგაციების ნომინალურ მფლობელებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რეგისტრატორის მიერ წარმოებულ რეესტრში (ობლიგაციების პირობებში განსაზღვრული თარიღისათვის). ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს რეგისტრატორის და შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელის პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას რეესტრის მონაცემების სიზუსტესა ან ობლიგაციების ბენეფიციარების მიერ თანხის მიღებაზე.

ობლიგაციების პირობები მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ობლიგაციონერების წარმომადგენელს მოუწევს ქმედებების განხორციელება ობლიგაციონერების სახელით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციონერების წარმომადგენლის პასუხისმგებლობა დაზღვეულია და/ან წინასწარ არის ანაზღაურებული და/ან უზრუნველყოფილია კომპანიისათვის მისაღები ფორმით. ობლიგაციონერების წარმომადგენელს შესაძლოა არ შეეძლოს გარკვეული ქმედებების განხორციელება და შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში ობლიგაციონერების წარმომადგენელი ვერ განახორციელებს აღნიშნულ ქმედებას მიუხედავად პასუხისმგებლობის დაზღვევის და/ან წინასწარი ანაზღაურეების და/ან უზრუნველყოფისა. მსგავს შემთხვევებში ობლიგაციონერებს ან ნომინალურ მფლობელებს პირდაპირ მოუწევთ შესაბამისი ქმედების განხორციელება.

მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილულ იქნას ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენენ ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ.

ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციები ივაჭრება მათი პირველადი გამოშვების შემდეგ, ისინი შესაძლოა ივაჭრებოდეს დისკონტირებულ ფასად, რაც დამოკიდებული იქნება არსებულ საპროცენტო განაკვეთზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა რისკები

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო. შესაბამისად, დაექვემდებარება დამატებით რეგულაციებსა და ანგარიშგების ვალდებულებას

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია გახდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით (**„ფასიანი ქაღალდების კანონი"**) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმო. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს იმ გარიგებებისათვის, სადაც ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოების წევრები და მისი წილის/აქციების 20%-ზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები განიხილება „დაინტერესებულ პირად" (ეს შემთხვევები განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების კანონით). აღნიშნული კანონის თანახმად, დაინტერესებულ პირთან დაკავშირებული გარიგება უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა საერთო კრების მიერ. ტრანზაქციები, რომელთა ღირებულება აღემატება საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს, უნდა დამტკიცდეს საერთო კრების მიერ. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის (იხ. *„სალიზინგო საქმიანობის რეგულირება საქართველოში - ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები"*). შესაბამისად, ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანიის პარტნიორთა კრება დაამტკიცებს დაინტერესებულ პირებთან გარიგებებს, გარდა მისი 100%-იან პარტნიორთან - „საქართველოს ბანკთან" დადებული გარიგებებისა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება.

ახლახანს მიღებულმა ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიაზე.

2014 წლის მარტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში (**„კონკურენციის კანონი"**). დაწესდა ბევრი შეზღუდვა ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციაზე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე, სახელმწიფო დახმარებაზე და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მანამდე არ არსებობდა ზოგადი გამოყენების მქონე კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები (გარდა გარკვეული დარგებისა, როგორიცაა საბანკო და კომუნიკაციების სექტორი). კონკურენციის კანონის საფუძველზე 2014 წლის აპრილში დაფუძნდა

კონკურენციის სააგენტო. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია მონიტორინგი გაუწიოს კერძო პირების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვას და აქვს ბევრი უფლებამოსილება, კონკურენციის კანონის დარღვევისათვის სანქციების დაკისრების ჩათვლით. დაგეგმილია, რომ უახლოეს მომავალში კონკურენციის სააგენტომ უნდა მიიღოს ბევრი კანონქვემდებარე აქტი კონკურენციის კანონის საფუძველზე. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სიახლე და ამგვარი რეგულაციების აღსრულების არაპროგნოზირებადობა შესაძლოა იქცეს დამატებით ტვირთად კომპანიისათვის და უარყოფითად იმოქმედოს მის გაფართოების გეგმებზე.

ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების გამოყენება

ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან კომპანიის მიერ მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება კომპანიის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის. სახელდობრ, კომპანია გეგმავს ხსენებული სახსრები გამოიყენოს შემდეგი ინიციატივების განსახორციელებლად:

1) კომპანია აპირებს აგრესიული ექსპანსია განახორციელოს ლიზინგის მაღალი პოტენციალის, მაგრამ შედარებით დაბალი ათვისების მქონე სექტორებში:

- **სამკურნალო/ესთეტიკური მედიცინის სექტორი:** კომპანიის აქცენტირება მომდევნო 2 წლის განმავლობაში ძირითადად მოხდება სამკურნალო/ესთეტიკური მედიცინის აპარატურა–დანადგარებზე. ორიენტირად მოიაზრება ამ სეგმენტში პორტფელის გასამმაგება. 2013 წლის ბოლოსთვის კომპანიის პორტფელი ამ სეგმენტში 2.3 მილიონ ლარს შეადგენდა. სწორი მარკეტინგული პოზიციონირების და დაფინანსების მიმზიდველი პირობების არსებობის შემთხვევაში, არსებობს იმის ალბათობა, რომ ამ სწრაფად მზარდ ბაზარზე კომპანიის წილი გაფართოვდეს. ამ სეგმენტში მოცულობითი ახალი საბაზრო წილის მისაღებად კომპანია აპირებს თავის მომხმარებლებს სამკურნალო/ესთეტიკური მედიცინის აპარატურა–დანადგარებისთვის შესთავაზოს შემდეგი პირობები:
  - საუკეთესო ფინანსური ისტორიის მქონე 31 სამიზნე კომპანიას არ დაუწესდება წინასწარი გადასახადი;
  - რიგითი კლიენტებისთვის დაწესდება წინასწარი გადასახადი 15%–ის ოდენობით (წინასწარი გადასახადი იქნება 10% თუ მომწოდებელი კისრულობს გამოსყიდვის ვალდებულებას),
  - ვადიანობა: 3–5 წელი
  - საპროცენტო განაკვეთი: 13.0%–დან.

- **აგრარული სექტორი:** კომპანია ასევე აპირებს გაფართოვდეს სასოფლო–სამეურნეო მანქანა–დანადგარების ბაზარზე. კომპანიამ უკვე გაზარდა თავისი წილი ამ სექტორში 2013 წელს 28%-იდან 31.9 პროცენტს, რაც ფულად გამოხატულებაში შეადგენს 2.6 მილიონ ლარს. 2014 წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 4.3 მილიონ ლარამდე გაიზარდა (სექტორში საერთო პორტფელის 43.3%). საქართველოს მთავრობამ რამდენიმე მასტიმულირებელი სქემა დანერგა აგრარულ სექტორში ინვესტიციებისთვის, რაც გულისხმობს მთავრობის მიერ სუბსიდირებულ კრედიტებს.

- **სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი:** ბოლო 11–12 წლის განმავლობაში სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი ორციფრიანი მაჩვენებლით იზრდებოდა. ამ სფეროში იგეგმება/განიხილება ბევრი ახალი ინვესტიცია. სასტუმროებისა და რესტორნების აპარატურა–დანადგარების ლიზინგი, რაც აპრობირებული პრაქტიკაა განვითარებულ ქვეყნებში, ნაკლებად იყო ათვისებული საქართველოში. თუმცა ეს ტენდენცია უკვე იწყებს ცვლილებას და სწორი მასტიმულირებელი მექანიზმებით სექტორი მოსალოდნელია სწრაფად გაიზარდოს. კომპანია აპირებს წამყვანი როლი დაიკავოს ამ სექტორში.

2) კომპანია შეინარჩუნებს სამშენებლო და სატრანსპორტო ბაზრებზე დაკავებულ წილს, რაც სტაბილურად მზარდია და თავის მხრივ საჭიროებს ამ სექტორში პორტფელის გაფართოვებას.

3) კომპანიის მიერ ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული სახსრები გამოყენებული იქნება კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის იმგვარად, რაც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას განავრცოს თავისი ოპერაციები მაქსიმალურად ეფექტურად ახალ სალიზინგო სექტორებში.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალიზაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ინფორმაცია ეფუძნება 2013 წლის ფინანსური უწყისებს. ეს ცხრილი განხილულ უნდა იყოს მომდევნო თავებში წარმოდგენილ ინფორმაციასთან ერთად (იხ. თავები - *„შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია“* და *„ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“*). გასათვალისწინებელია ასევე 2013 წლის ფინანსური უწყისები, შენიშვნებითა და კომენტარებით. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტში.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ლარი	აშშ დოლარი
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხა	23,912,452	13,772,074
სულ კრედიტები	**23,912,452**	**13,772,074**
საწესდებო კაპიტალი	3,180,000	1,831,481
დამატებით შემოტანილი კაპიტალი	2,546,141	1,466,418
გაუნაწილებელი მოგება	2,370,178	1,365,074
სულ კაპიტალი	**8,096,319**	**4,662,972**

შერჩეული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია

კომპანიის ქვემოთწარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია 2010 წლის 31 დეკემბრის, 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამოკრეფილია კონსოლიდირებული ფინანსური უწყისებიდან. მათი გათვალისწინება უნდა მოხდეს ინფორმაციის მითითებულ წყაროსთან ერთად და მთლიანობაში. გასათვალისწინებელია ასევე დაკავშირებული შენიშვნები და კომენტარები. ყოველივე ეს წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტში.

ინვესტორები უნდა აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ კომპანიის ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ თავებში: „ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ", „2012 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქმიანობის შედეგები". ეს ინფორმაცია ამოკრეფილი იქნა 2013 წლის ფინანსური უწყისებიდან. 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიურ შედეგებთან შესადარებლად თავში: „ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ" კომპანიის ფინანსური მონაცემები ამოღებულია 2012 წლის ფინანსური უწყისებიდან.

პოტენციური ინვესტორები უნდა გაეცნონ შერჩეულ ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციას „რისკის ფაქტორების", „კაპიტალიზაციისა და დავალიანების", „ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ" და „კომპანიის საქმიანობის აღწერის" თავებში მითითებულ ინფორმაციასთან ერთად. კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები, დაკავშირებული შენიშვნებითა და კომენტარებით წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტში.

ქვემოთხსენებული ფინანსური უწყისები არ არის კორექტირებული და ამდენად მოიცავს ინფორმაციას კომპანიის მიერ 2011 წელს განხორციელებული ერთჯერადი მსხვილი პროექტის (თვითმფრინავის ლიზინგი) შესახებ. კორექტირებული ფინანსური მონაცემების გასაცნობად იხილეთ თავი: „ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ".

საბალანსო უწყისი, ლარი

	2013	2012	2011	2010
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი	740,599	351,959	1,238,330	276,611
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	0	2,660,651	0	1,817,126
მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან	23,145,142	21,846,555	59,479,064	9,149,982
სალიზინგო აქტივები	3,431,960	44,054,774	1,545,652	1,414,618
გადახდილი ავანსები	3,753,474	758,822	975,849	1,934,773
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	0	175,438	558,874	794,570
გადავადებული საგადასახადო აქტივები	417,586	201,896	384,116	191,095
საინვესტიციო აქტივები	2,687,037	2,699,551	2,653,551	2,667,000
სხვა აქტივები	538,441	342,676	691,290	496,478
სულ აქტივები	**34,714,239**	**73,092,322**	**67,526,726**	**18,742,253**
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხები	23,912,452	63,950,804	59,136,303	12,258,110
კლიენტებიდან წინასწარ მიღებული თანხები	2,004,737	542,157	518,805	767,163
დღგ და სხვა საგადასახადო ვალდებულებები	79,283	422,088	492,393	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	171,887	0	0	0
სხვა ვალდებულებები	449,561	489,447	307,303	331,663
სულ ვალდებულებები	**26,617,920**	**65,404,496**	**60,454,804**	**13,356,936**
საწესდებო კაპიტალი	3,180,000	3,180,000	3,180,000	3,180,000
კაპიტალში დამატებით შემოტანილი თანხა	2,546,141	2,546,141	2,546,141	2,546,141
გაუნაწილებელი მოგება	2,370,178	1,961,685	1,345,781	-340,824
სულ საკუთარი კაპიტალი	**8,096,319**	**7,687,826**	**7,071,922**	**5,385,317**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**34,714,239**	**73,092,322**	**67,526,726**	**18,742,253**

მოგება ზარალის უწყისი, ლარი

	2013	2012	2011	2010
საპროცენტო შემოსავლები				
ლიზინგიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები	4,721,208	7,334,543	4,554,281	2,099,951
საპროცენტო ხარჯები				
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გაწეული საპროცენტო ხარჯები	-4,060,801	-5,124,745	-3,353,243	-936,130
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**660,407**	**2,209,798**	**1,201,038**	**1,163,821**
ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გაუფასურება	-325,324	-2,857,998	-136,646	-87,656
წმინდა საპროცენტო (ხარჯი)/შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გაუფასურების გამოკლების შემდეგ	**335,083**	**-648,200**	**1,064,392**	**1,076,165**
საჯარიმო შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების ვადაგადაცილებისთვის	1,019,247	488,928	262,936	298,531
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო აქტივებიდან	168,766	153,097	231,296	298,824
საინვესტიციო აქტივების გადაფასებიდან გამოწვეული წმინდა ზარალი	-12,514	0	-13,449	306,880
უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან გამოწვეული წმინდა ზარალი	-110,363	-128,922	439,599	-17,923
სხვა შემოსავალი	1,239,313	2,754,308	990,168	182,261
სულ საოპერაციო შემოსავალი	**2,639,532**	**2,619,211**	**2,974,942**	**2,144,738**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1,386,392	-1,120,384	-580,739	-433,450
შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები	-588,579	-543,212	-496,005	-497,056
სალიზინგო აქტივების გაუფასურება	-124,434	-61,415	-168,751	-358,965
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	**-2,099,405**	**-1,725,011**	**-1,245,495**	**-1,289,471**
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	**540,127**	**894,200**	**1,729,447**	**855,267**
მოგების გადასახადი	-131,634	-278,296	-42,842	-399,909
წმინდა მოგება	**408,493**	**615,904**	**1,686,605**	**455,358**
სხვა განსაკუთრებული შემოსავლები	0	0	0	0
წმინდა მოგება სხვა განსაკუთრებული შემოსავლების გათვალისწინებით	**408,493**	**615,904**	**1,686,605**	**455,358**

ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ

ქვემოთ მოყვანილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე კომპანიის საქმიანობის შედეგების განხილვა და ანალიზი ძირითადად 2013 წელს მოიცავს. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდებში ამოკრეფილია და/ან გამომდინარეობს ფინანსური უწყისებიდან. ეს თავი წაკითხული უნდა იქნეს ფინანსურ უწყისებთან და წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ სხვა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ქვემოთ და პროსპექტის სხვა თავებში მოყვანილ განხილვებსა და ანალიზში გამოყენებული გარკვეული ინფორმაცია მოიცავს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს. ამგვარი განაცხადებები ექვემდებარება რისკს, გაურკვევლობებს და სხვა ფაქტორებს, რამაც შეიძლება ფაქტიურად გამოიწვიოს გამოთქმულ ან ნაგულისხმევ მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შედეგები. იხილეთ თავები „რისკის ფაქტორები“ და „მომავალზე ორიენტირებული განცხადებები“.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მქონე ფაქტორები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსურ უწყისებზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორების განხილვა.

მაკროეკონომიკური მდგომარეობა

10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6 პროცენტით იზრდებოდა წელიწადში 2008 წლის კონფლიქტისა და გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა სტიმულირებული იყო ბევრ სფეროში განხორციელებული ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმებით: კორუფციის აღმოფხვრა, სამთავრობო ბიუროკრატიის შემცირება და ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა, საგადასახადო რეჟიმის გამარტივება, ინვესტიციებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა. საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორი კარგი ტემპით იზრდებოდა, სოფლის მეურნეობის გამოკლებით, რომელიც ძალიან დაზარალდა 2006 წელს რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შედეგად.

არჩევნების საშუალებით 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაბარების შედეგად შესაძლებელი გახდა პოლიტიკური სტაბილურობის იმიჯის გაძლიერება. მმართველი პარტია – „ქართული ოცნების კოალიცია“ ახლა უკვე მეორე წელია ხელისუფლებაშია. მან გამოხატა ბიზნესის მხარდამჭერი გარემოს მშენებლობის გაგრძელების სურვილი და ფაქტიურად წამოიწყო რამდენიმე პროგრამა ადგილობრივი მეწარმეობის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორში.

საქართველოს ეკონომიკური ზრდა რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული. ესენია: ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიას ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ) და მისი მომხმარებლები დასავლეთში, რაც ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკური მომსახურების მნიშვნელობას ხაზს უსვამს. ტურიზმი ერთერთი ყველაზე წარმატებული სფეროა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფენომენალური ზრდის მხრივ (წელიწადში საშუალოდ 34%). ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა 18–ჯერ გაიზარდა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და 300 ათასიდან 5.4 მილიონს მიაღწია. საქართველოს ეკონომიკა კარგ პოზიციაზე იმყოფება ასევე იმ ნიშნით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ოდენობების შემოდინება მოხდეს ჰიდროელექტროენერგიის სექტორში. ეკონომიკური ზრდის დაჩქარების დამატებითი შესაძლებლობები გაჩნდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით 2014 წლის 27 ივნისს, რაც თავის თავში გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების აქტი, რომელიც 2014 წლის იანვარში ამოქმედდა, სამთავრობო ხარჯებს ზღუდავს მთლიანი შიდა პროდუქტის 30 პროცენტამდე, ხოლო საბიუჯეტო დეფიციტს – მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტამდე და სამთავრობო ვალს – მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტამდე. ახალი გადასახადების შემოღებისთვის ისევე როგორც არსებული გადასახადების განაკვეთის გასაზრდელად რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო. ამით უზრუნველყოფილია ბიზნესისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შენარჩუნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიიჩნევა, რომ საქართველოს ერთერთი ყველაზე კეთილგანწყობილი საგადასახადო რეჟიმი გააჩნია მსოფლიოში: მხოლოდ ექვსი გადასახადი, მათ შორის მოგების გადასახადი (15%) და საშემოსავლო გადასახადი (20%).

საქართველოს ლიზინგის ბაზარი და მისი პოტენციალი

საქართველოს ლიზინგის სექტორი შედარებით ახალგაზრდაა. ის დასაბამს მხოლოდ 2001 წლიდან იღებს. სექტორის მთლიანი აქტივები 43.4 მილიონი აშშ დოლარია, რაც 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.3%-ს შეადგენდა. კომპანია პირველი მოთამაშე იყო ბაზარზე 2001 წელს. ის „თბილუნივერსალ ბანკმა“ დაარსა. 2005 წელს კომპანიის

100% „საქართველოს ბანკის“ მფლობელობაში გადავიდა ორი ბანკის შერწყმის შედეგად. ბაზარზე სხვა მსხვილ მოთამაშეებს შორისაა „თიბისი ლიზინგი“ და „ალიანს გრუფ ლიზინგი“. მათი რეგისტრაცია შესაბამისად 2003 და 2006 წლებში განხორციელდა. სამივე კომპანია დომინირებს საქართველოს ლიზინგის ბაზარზე და მათი საბაზრო წილი 2013 წელს შემდეგნაირად გადანაწილდა 61% („თიბისი ლიზინგი“), 36% (კომპანია) და 3% („ალიანს გრუფ ლიზინგი). ლიზინგის დიდი ნაწილი (95%) არის ფინანსური ტიპის.

სექტორის განვითარება წინა წლებში ფერხდებოდა მთავრობის დაუხვეწავი მარეგულირებელი ნორმების გამო, რაც არ შეესაბამებოდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. 2011 წლის ნოემბერში სალიზინგო კომპანიების, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, საერთაშორისო ექსპერტებისა და საქართველოს სამთავრობო უწყებების, მათ შორის ფინანსთა სამინისტროს, მონაწილეობით ქვეყნის პარლამენტმა ახალი კანონი გამოსცა, რომელიც საერთაშორისო მარეგულირებელ ნორმებს შეესაბამებოდა. კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (დამოუკიდებელი სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია სათაო დაწესებულებით ქ. რომში, რომელიც აქცენტირებულია თავის წევრ ქვეყნებში კერძო და კომერციული სამართლის ჰარმონიზაციაზე) პრინციპების შესაბამისად.

ადრინდელი კანონმდებლობით სალიზინგო კომპანიებს არ შეეძლოთ ამორტიზაციის 100 პროცენტის გამოყენება, მაშინ როდესაც სხვა სექტორებში მოქმედ კომპანიებს ამის საშუალება ჰქონდათ. ამჟამად არსებული კანონმდებლობით ლიზინგის სფეროში ამორტიზაციის 100 პროცენტის გამოყენებაზე შეზღუდვა გაუქმებულია. ძველი კანონმდებლობით სალიზინგო კომპანიებს არც პრობლემური სალიზინგო პროდუქტების დარეზერვება შეეძლოთ და ამდენად მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი მაღალი იყო. ამჟამად სალიზინგო კომპანიებს შეუძლიათ 60 დღით ვადაგადაცილებული ლიზინგის ღირებულების 80%-ის ჩამოწერა. ახალი კანონმდებლობით გამარტივდა გადასახადების ადმინისტრირება და შემცირდა საგადასახადო წნეხი. საგადასახადო კოდექსის არსებული რედაქცია ასევე იძლევა მოგების გადასახადის ეფექტური გამოთვლის შესაძლებლობას ლიზინგის სუბიექტების მიერ. ამასთანავე, პერიოდული სალიზინგო გადახდები (პროცენტი და ძირითადი თანხა) უკვე ხარჯად მიიჩნევა საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისთვის. ყოველივე ეს კომპანიას აძლევს მოგების გადასახადის ტვირთის შემსუბუქების საშუალებას. დღგ-ს გადახდა ხდება პერიოდულად, ლიზინგის გადახდების პროპორციულად.

საკანონმდებლო ცვლილებების და საქართველოს ეკონომიკური ზრდის შედეგად საქართველოს ლიზინგის ბაზარი სულ უფრო მიმზიდველი ხდება ახალი მოთამაშეებისთვის. ახლახანს საერთაშორისო კომპანია „მოგო“ შემოვიდა ქვეყნის ბაზარზე. ჩვენი აზრით, აღნიშნული მეტყველებს სეგმენტის მიმზიდველობაზე.

საქართველოს ლიზინგის სექტორი ბოლო წლებში დაუბრუნდა ძლიერი ზრდის ტემპს, მას შემდეგ რაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი განიცადა 2008 წლის მოვლენების შედეგად, რის შემდეგაც კომპანიის პორტფელი 33.6%–ით შემცირდა 2009 წელს.

დიაგრამა 1: ლიზინგის ბაზრის განვითარება, მილიონი აშშ დოლარი (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



შენიშვნა: წარმოდგენილ დიაგრამაზე ნაჩვენებია მხოლოდ კორპორატიული პორტფელი. საცალო ბაზრის პორტფელი დიაგრამაზე ნაჩვენები არ არის.
წყარო: კომპანიის მონაცემები (ეფუძნება წამყვან სალიზინგო კომპანიებს შორის გაცვლილ ინფორმაციას)

დიაგრამა 2: ლიზინგის ბაზრის განვითარება, მილიონი აშშ დოლარი



შენიშვნა: წარმოდგენილ დიაგრამაზე ნაჩვენებია მხოლოდ კორპორატიული პორტფელი. საცალო ბაზრის პორტფელი დიაგრამაზე ნაჩვენები არ არის.
წყარო: კომპანიის მონაცემები (ეფუძნება წამყვან სალიზინგო კომპანიებს შორის გაცვლილ ინფორმაციას)

2010 წლის გამოკლებით, „თიბისი ლიზინგს“ ყველაზე დიდი წილი ჰქონდა ბაზარზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2014 წლის პირველ კვარტალში მისი საბაზრო წილი იყო 62%. მას მოჰყვება კომპანია 35%–ით და „ალიანს გრუფ ლიზინგი“ 3%–ით.

დიაგრამა 3: მთლიანი სალიზინგო პორტფელის წილი, 3 ძირითადი კომპანია



წყარო: კომპანიის მონაცემები

მიუხედავად იმისა, რომ „თიბისი ლიზინგს“ ყველაზე მსხვილი პორტფელი გააჩნია, „კომპანიას“ თანმიმდევრულად ჰქონდა უფრო მაღალი მოგება გადასახადების გადახდამდე და სჯობნის კონკურენტებს მოგებისა და ლიზინგის პორტფელის თანაფარდობით.

დიაგრამა 4: კვარტალური მოგება გადასახადების გადახდამდე, მილიონი ლარი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 5: გადასახადების გადახდამდე მოგების შეფარდება სალიზინგო პორტფელთან (პროცენტი)



წყარო: კომპანიის მონაცემები

ტრანსპორტი, მშენებლობა, სამედიცინო და სოფლის მეურნეობის სექტორები უმსხვილესია. კონკურენტებთან და დარგთან შედარებით, კომპანიის პორტფელი მეტად ორიენტირებულია ტრანსპორტის, მომსახურების, მშენებლობისა და სოფლის–მეურნეობის აპარატურა–დანადგარების სფეროში. თუმცა, „თიბისი ლიზინგი“ და „ალიანს გრუფ ლიზინგი“ უფრო ძლიერ არიან წარმოდგენილნი სამედიცინო სფეროში, შესაბამისად – 18% და 16% წილით ლიზინგის პორტფელის ჭრილში.

დიაგრამა 6: ლიზინგის ბაზრის პორტფელი სექტორების მიხედვით 2013 წელს



წყარო: კომპანიის მონაცემები

ბანკების მფლობელობაში არსებული სალიზინგო კომპანიები როგორც გლობალურად, ისე საქართველოს ბაზარზეც დომინირებენ. ასეთი კავშირი იმით არის მოსახერხებელი, რომ სალიზინგო კომპანიებს ბანკის მომხმარებელთა ბაზასთან წვდომა გააჩნიათ და მისი ძლიერი ფინანსური მდგომარეობით სარგებლობენ. სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სალიზინგო კომპანიების რეგულირებას არ ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი. მათთვის არ არსებობს მინიმალური კაპიტალური მოთხოვნები, თუმცა სამ წამყვან კომპანიათაგან ორი არაპირდაპირ რეგულირდება ბანკების საშუალებით, რადგან ადგილობრივი კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიები არიან.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები განიცადა, შეამცირა კორუფციის დონე, გაამარტივა საგადასახადო და საბაჟო პროცედურები და გააუმჯობესა საჯარო მომსახურება. საქართველომ ასევე შეამცირა გადასახადების რაოდენობა 2004 წელს არსებული 21-დან მხოლოდ 6-მდე. ყოველივე ამის შედეგად, მსოფლიო ბანკის რეიტინგში ბიზნესის მარტივად კეთების მიხედვით საქართველომ მე–8 ადგილი დაიკავა.

ეკონომიკური რეფორმების შედეგად რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ გამოიწვია დიდი რაოდენობით ახალი ბიზნეს წამოწყებები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების სახით.

დიაგრამა 7: აქტიური ბიზნეს კომპანიების რაოდენობა



წყარო: „საქსტატი“

დიაგრამა 8: ბიზნეს კომპანიების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2012 წ.



წყარო: „საქსტატი“

კომპანია დარწმუნებულია საქართველოში ლიზინგის სექტორის განვითარების პერსპექტივებში. ქვეყანაში ბიზნეს კომპანიების უმეტესობა ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში საქმიანობენ. 2001 წლიდან თითქმის გაორმაგდა რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა,

რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ძლიერი ზრდით იყო განპირობებული. ლიზინგის პროდუქტებზე მოთხოვნის ძირითადი მამოძრავებელია მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. მათ განაპირობეს გასული ათწლეულის განმავლობაში ბრუნვის 6.5–ჯერ ზრდა რის შედეგადაც ნომინალურმა ბრუნვამ 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2013 წელს. ამასთანავე, ძირითად საშუალებებში წლიური კაპიტალდაბანდება მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ 14.4%–ით გაიზარდა 2006–2012 წლების განმავლობაში და 357 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 9: მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: „საქსტატი“

დიაგრამა 10: მცირე და საშუალო საწარმოების მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდება ძირითად საშუალებებში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: „საქსტატი“

მცირე და საშუალო საწარმოები პროდუქციასთან შედარებით მოსახლეობის დისპროპორციულად დიდ წილს იყენებენ. 2014 წლის პირველ კვარტალში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებული იყო ქვეყნის მთლიანი შრომითი რესურსის 38.0%, თუმცა შედარებით შეზღუდული იყო ბრუნვისა და პროდუქციის წილი – შესაბამისად 16.2% და 16.6%. ეს შეუსაბამობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა ბოლო 10 წლის განმავლობაში 28 პროცენტული პუნქტიდან 22 პროცენტულ პუნქტამდე 2014 წლის პირველ კვარტალში. ეს სხვაობა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მოქმედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ძნელად მისაღებია ახალი ტექნოლოგიები, არადა ამით შესაძლებელი იქნებოდა შრომის ეფექტურობის გაზრდა და ლიზინგის დარგის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა.

დიაგრამა 11: მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში, წარმოებასა და დასაქმებაში (სულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, ასევე მსხვილი საწარმოები)



წყარო: „საქსტატი“

დიაგრამა 12: პოტენციური ლიზინგის პროდუქციის იმპორტი, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: „საქსტატი“

საქართველოში ლიზინგზე მოთხოვნა შედარებით სუსტია, ძირითადად იმის გამო, რომ პოტენციური მომხმარებლები ვერ აცნობიერებენ ლიზინგის დაბეგვრას და კაპიტალურ სარგებელს. ზოგადად, მცირე და საშუალო

ბიზნესი საუკეთესო კანდიდატები არიან ლიზინგისთვის, რადგან ის იძლევა აქტივების დაუფლების საშუალებას საბრუნავი საშუალებების დაზოგვის პირობებში.

მცირა და საშუალო ზომის საწარმოების საერთო მოთხოვნაა დაახლოებით 1.88 მილიარდი აშშ დოლარია, რაც 2012 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 15.9%–ის ან 2012 წლის ბოლოსთვის ქვეყნის ყველა ფინანსური დაწესებულების მიერ გაცემული კრედიტების 47.5%–ის ექვივალენტურია. აღნიშნული გაანგარიშება წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. მაშინაც კი, როდესაც ვივარაუდებთ, რომ კრედიტებზე მოთხოვნის მხოლოდ 50% ლიზინგზე მოდის, ლიზინგის პოტენციური ბაზარი მაინც 20–ჯერ აღემატება არსებულ დონეს. ეს გათვლა ასევე დასტურდება საქართველოში 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივად (0.28%) ლიზინგის მოცულობის შედარებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მსგავსი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივად ლიზინგის საშუალო მოცულობასთან 2012 წელს (1.67%). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის მისაღწევად საქართველოს ლიზინგის პორტფელი მინიმუმ 6–ჯერ უნდა გაიზარდოს. უფრო მეტიც, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნის – ლატვიის დონის (მთლიანი შიდა პროდუქტის 3.25%) მისაღწევად საქართველოს ლიზინგის პორტფელი 12–ჯერ უნდა გაიზარდოს.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისადმი კრედიტების ბაზრის სავარაუდო ზომა

A	მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რაოდენობა	48,100[1]
B	კრედიტებზე მოთხოვნის საშუალო ზომა, აშშ დოლარი	82,106[2]
C	კრედიტების საჭიროების მქონე საწაროების %	47.5%[3]
	სულ მოთხოვნა (A * B * C), მილიონობით აშშ დოლარი	**1,875.9**

1 „საქსტატი“
2 BFC ადგილობრივი კრედიტორების კვლევა; გამოყენებულია ევრო/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი 1.286
3 მსოფლიო ბანკის საწარმოების კვლევა
წყარო: ევროპის საინვესტიციო ბანკი

ზემოთხსენებული მიზეზების გამო ვვარაუდობთ, რომ ლიზინგის სექტორი ძლიერი ტემპით გაიზრდება მომდევნო 2-5 წლის განმავლობაში და უფრო მეტი მცირე და საშუალო ბიზნესი, კრედიტებთან შედარებით, ლიზინგს მიანიჭებს უპირატესობას. თუმცა, ეს ტენდენცია სავარაუდოდ გაზრდის კონკურენციას და შედეგად იქონიებს როგორც მარჟების შემცირებას, ასევე საპროცენტო განაკვეთების დაწევას. მეორეს მხრივ, ახალი პროდუქტებისთვის დაბალხარჯიან დაფინანსებაზე წვდომა და ლიზინგის ვარიანტებზე გაზრდილი საზოგადოებრივი შემეცნება კიდევ უფრო მეტად დაუჭერს მხარს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ყოველივე ეს იმავდროულად კონკურენტულ უპირატესობას მიანიჭებს სალიზინგო კომპანიებს. რაც შეეხება დარგებს, მიგვაჩნია, რომ ვაჭრობა, მშენებლობა, მომსახურება და ტურიზმი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იქნება. ასევე ოპტიმისტურად ვართ განწყობილი იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის სექტორების დაფინანსების გაფართოებული პროგრამები საბოლოო ჯამში სასურველ შედეგს მოიტანს, რაც ლიზინგის სექტორში მოთხოვნასაც გაზრდის.

კომპანიის მიმოხილვა

კომპანია პირველი მოთამაშე იყო საქართველოს ლიზინგის ბაზარზე. მან კლიენტებს დაფინანსების ალტერნატივად შესთავაზა ლიზინგის მომსახურება. „კომპანიაში“ დასაქმებულია 18 ადამიანი და დედაქალაქიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით სთავაზობს კლიენტებს მომსახურებას. კომპანიის ძირითადი მომხმარებლები არიან მცირე და საშუალო ბიზნესი. კომპანია მრავალფეროვან პროდუქტებს სთავაზობს მომხმარებლებს ბიზნესის ძირითად სეგმენტებში, რომლებიც სტრუქტურულად დაყოფილია ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგად (ძირითადად ფინანსურ ლიზინგად), რაც მოიცავს შემდეგს: ავტო ლიზინგი, ექსპრეს ლიზინგი, სამკურნალო და ესთეტიკური მედიცინის აპარატურა–დანადგარების ლიზინგი, რესტორნების მანქანა–დანადგარების ლიზინგი და უკულიზინგი, სხვ. კომპანიის პროდუქტები მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებლის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ის იყო პირველი კომპანია, რომელმაც დივერსიფიცირებული პროდუქტები სხვადასხვა ვადებით (საშუალოდ 3, 5 და 7 წლები) შესთავაზა ბაზარს 2008 წელს. კომპანიას უმსხვილესი კაპიტალი გააჩნია და ამიტომ შეუძლია კლიენტებს უფრო დიდი მოცულობის (500 000 აშშ დოლარზე ზემოთ) ლიზინგი გაუფორმოს ვიდრე ბაზრის სხვა მოთამაშეებმა.

კომპანიის ტიპიური სტრუქტურა ეფუძნება ყოველთვიური გადახდების მეთოდს, 20%–იანი წინსწრებით გადახდის პირობით, ხოლო ვადიანობა მაქსიმუმ ხუთ წელს მოიცავს. დარგში 20 პროცენტიანი საავანსო გადახდები აფერხებს ლიზინგის სექტორის სწრაფ განვითარებას, რადგან მეორადი აქტივების ბაზარი ძალიან განვითარებული არ არის

ქვეყანაში. ლიზინგის უფრო განვითარებულ ბაზრებზე მოხსნილია წინსწრებით გადახდის ვალდებულება აპარატურის და მანქანა–დანადგარების ღირებულების 100 პროცენტის დაფინანსების სტანდარტიზაციის გზით.

ერთჯერადი შემთხვევა 2011-2013 წლებში

ქვემოთ აღწერილი პროექტი, პროსპექტში მოხსენებულია, როგორც **„ერთჯერადი შემთხვევა“**:

2011 წლის ივნისში კომპანიამ განახორციელა თვითმფრინავის ლიზინგის პროექტი ერთ-ერთი კლიენტისათვის („პროექტი“). პროექტი სტრუქტურირებული იყო 96 თვეზე და უნდა დასრულებულიყო 2019 წლის მაისში. პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენდა 30,289,075 აშშ დოლარს. აღნიშნული პროექტის მიზნებისათვის კომპანიამ სს „საქართველოს ბანკისგან“ მიიღო სესხი 30,105,683 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის ვადა ასევე შეადგენდა 96 თვეს.

2012 წლის ოქტომბერში მოიჯარემ შეწყვიტა გადახდების განხორციელება. შედეგად, 2012 წლის დეკემბერში კომპანიამ გააუქმა ლიზინგის ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაუქმების მომენტში თვითმფრინავის დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებითმა ღირებულებამ შეადგინა 25,750,000 აშშ დოლარი. ამ დროისთვის მოიჯარის დავალიანება შეადგენდა 27,355,994 აშშ დოლარს. კომპანიის პროცედურების შესაბამისად, კომპანიამ მოახდინა ზარალის აღიარება. ამავე დროს სს „საქართველოს ბანკმა“ თავზე აიღო პასუხისმგებლობა მოეხდინა კომპანიისათვის მიცემული სესხის შემცირება აღიარებული ზარალის თანხის (2,660,651 ლარი) ოდენობით.

2013 წელს კომპანიამ გასწია თვითმფრინავთან დაკავშირებული ხარჯები (თვითმფრინავის შემოწმება, დაზღვევა, პილოტების მომზადება, და სხვ.) ჯამში 459,606 ლარის (დაახლოებით 276,400 აშშ დოლარის) ოდენობით. ამავე 2013 წლის განმავლობაში სს „საქართველოს ბანკის“ სესხზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 1,997,132 ლარი (დაახლოებით 1,200,900 აშშ დოლარი),

2013 წლის ივლისში სს „საქართველოს ბანკმა“ მოახდინა თვითმფრინავის დასაკუთრება. სს „საქართველოს ბანკმა“ გარდა ზემოთ-აღნიშნული 2,660,651 ლარისა კომპანიას აპატია დამატებით 1,009,233 ლარის ოდენობით ვალი (ჯამურად ნაპატიებმა თანხამ შეადგინა 3,669,884 ლარი). ჯამურად კომპანიამ ამ ერთჯერადი შემთხვევის შედეგად მიიღო ზარალი 1,477,505 ლარის ოდენობით (459,606 ლარი ხარჯი და სს საქართველო ბანკისადმი ვალი 987,899 ლარი).

კომპანიის პორტფელი

სამშენებლო, სატრანსპორტო, სამედიცინო და სოფლის მეურნეობის სექტორები უმსხვილესია ლიზინგისთვის. კონკურენტებთან და სექტორთან შედარებით, კომპანიის პორტფელი უფრო მეტადაა ორიენტირებული ტრანსპორტის, მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებზე, თუმცა აპირებს პორტფელის დივერსიფიცირებას სამედიცინო, კვების მრეწველობისა და სასმელების წარმოების სფეროში აპარატურისა და მანქანა–დანადგარების ლიზინგში ახალი პროდუქტებისა და უფრო მიმზიდველი პირობების შეთავაზებით.

დიაგრამა 13: კომპანიის პორტფელის სტრუქტურა, 2014 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 14: კომპანიის პორტფელის სტრუქტურა აქტივების სახეების მიხედვით, 2014 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით



წყარო: კომპანიის მონაცემები

საბალანსო უწყისი, ლარი[1]

	2013 ფაქტიური	2013 კორექტირებული	2012 ფაქტიური	2012 კორექტირებული	2011 ფაქტიური	2011 კორექტირებული	201
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი	740,599	*740,599*	351,959	*351,959*	1,238,330	*1,238,330*	276,611
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	0	*0*	2,660,651	*0*	0	*0*	1,817,126
მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან	23,145,142	*23,145,142*	21,846,555	*21,846,555*	59,479,064	*11,686,770*	9,149,982
სალიზინგო აქტივები	3,431,960	*3,431,960*	44,054,774	*1,394,749*	1,545,652	*1,545,652*	1,414,618
გადახდილი ავანსები	3,753,474	*3,753,474*	758,822	*758,822*	975,849	*975,849*	1,934,773
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	0	*0*	175,438	*175,438*	558,874	*558,874*	794,570
გადავადებული საგადასახადო აქტივები	417,586	*417,586*	201,896	*201,896*	384,116	*384,116*	191,095
საინვესტიციო აქტივები	2,687,037	*2,687,037*	2,699,551	*2,699,551*	2,653,551	*2,653,551*	2,667,000
სხვა აქტივები	538,441	*538,441*	342,676	*342,676*	691,290	*691,290*	496,478
სულ აქტივები	**34,714,239**	***34,714,239***	**73,092,322**	***27,771,646***	**67,526,726**	***19,734,432***	**18,742,253**
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხები	23,912,452	*22,679,615*	63,950,804	*18,777,141*	59,136,303	*11,344,118*	12,258,110
კლიენტებიდან წინასწარ მიღებული თანხები	2,004,737	*2,004,737*	542,157	*542,157*	518,805	*518,805*	767,163
დღგ და სხვა საგადასახადო ვალდებულებები	79,283	*79,283*	422,088	*272,617*	492,393	*492,393*	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	171,887	*171,887*	0	*0*	0	*0*	0
სხვა ვალდებულებები	449,561	*449,561*	489,447	*489,447*	307,303	*307,303*	331,663
სულ ვალდებულებები	**26,617,920**	***25,385,083***	**65,404,496**	***20,081,362***	**60,454,804**	***12,662,619***	**13,356,936**
საწესდებო კაპიტალი	3,180,000	*3,180,000*	3,180,000	*3,180,000*	3,180,000	*3,180,000*	3,180,000
კაპიტალში დამატებით შემოტანილი თანხა	2,546,141	*2,546,141*	2,546,141	*2,546,141*	2,546,141	*2,546,141*	2,546,141
გაუნაწილებელი მოგება	2,370,178	*3,603,015*	1,961,685	*1,964,143*	1,345,781	*1,345,672*	-340,824
სულ საკუთარი კაპიტალი	**8,096,319**	***9,329,156***	**7,687,826**	***7,690,284***	**7,071,922**	***7,071,813***	**5,385,317**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**34,714,239**	***34,714,239***	**73,092,322**	***27,771,646***	**67,526,726**	***19,734,432***	**18,742,253**

მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან შეადგენდა მთლიანი აქტივების 67%–ს 2013 წელს. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიზინგის პორტფელის 24% ლიზინგის 5 უმსხვილეს კლიენტზე იყო გადანაწილებული, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 5.6 მილიონი ლარი იყო, მაშინ როდესაც მათგან მიღებული შემოსავალი მთელი ფინანსური ლიზინგიდან მიღებული შემოსავლების 12%–ს შეადგენდა (0.7 მილიონი ლარი). ამასთანავე, ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გარდა (2013 წელს მთლიანი აქტივების 67%), სხვა მნიშვნელოვანი აქტივების კატეგორიებია: სალიზინგო აქტივები (10%), გადახდილი ავანსები (11%) და საინვესტიციო აქტივები (8%).

[1] 2011, 2012 და 2013 წლებისთვის კორექტირებული თანხები წარმოადგენს კომპანიის საქმიანობას ერთჯერადი შემთხვევის ეფექტის გამოკლებით (იხ.- იხ. გვ. 26).

დიაგრამა 15: აქტივების სტრუქტურა, მილიონი ლარი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 16: აქტივების სტრუქტურა, მილიონი ლარი (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 17: კაპიტალისა და ვალდებულებების სტრუქტურა, მილიონი ლარი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 18: კაპიტალისა და ვალდებულებების სტრუქტურა, მილიონი ლარი (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



წყარო: კომპანიის მონაცემები

სალიზინგო აქტივები განკუთვნილია ლიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში გასაყიდად ან ხელახალი ლიზინგისთვის (ფინანსური ან საოპერაციო). 2011 წელს მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან მოიცავდა ერთ მსხვილ სალიზინგო ხელშეკრულებას (2011 წელს პორტფელის 80% და კონტრაქტის გაწყვეტის თარიღისთვის 2012 წლის ბოლოს პორტფელის 67%), რომლის ნომინალური გამოხატულება 45 მილიონი ლარი იყო. კომპანიამ ხსენებული სალიზინგო ხელშეკრულება 2012 წელს გაწყვიტა და დაეუფლა აქტივს (თვითმფრინავს) 43 მილიონი ლარის ღირებულებით. 2012 წლის ბოლოს აქტივის დაუფლების მომენტისთვის კომპანიამ აღიარა 2 მილიონი ლარის ოდენობის გაუფასურების ხარჯი. 2013 წელს აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებული სესხი ჩამოწერილი იქნა („საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხის" 69%–იანი შემცირება).

გადახდილი ავანსები: სალიზინგო კომპანიებისთვის დამახასიათებელია, რომ წინსწრებით გადახდები გულისხმობს აპარატურა–დანადგარების მომწოდებლებისადმი საავანსო გადახდებს აქტიური ლიზინგის მიმართ, იმ მანქანა–დანადგარებზე, რაც უკვე გადმოგზავნილია, თუმცა ჯერ მომხმარებლისადმი მიწოდებული არ არის და ამიტომ ჯერ არ არის აღიარებული პორტფელში.

საინვესტიციო აქტივები გულისხმობს ქონებას, რომელიც კომპანიამ მიაქირავა მშობელ კომპანიას.

საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხა გულისხმობს განახლებად საკრედიტო დაფინანსების მექანიზმს მშობელი კომპანიისგან – „საქართველოს ბანკისგან“ და სესხებს WBC–გან (OPIC–თან შეთანხმების ფარგლებში), რომელთა სრული მოცულობა 2013 წელს შეადგენდა 23.9 მილიონ ლარს (მთლიანი ვალდებულებების 90%). კომპანიას გააჩნია დავალიანება WBC–ის წინაშე 6.4 მილიონი ლარის ოდენობით (მთლიანი კრედიტების 27%) რომლის დაფარვის ვადა 2017 და 2020 წლებში სრულდება. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმატებით ასრულებდა WBC–ის წინაშე ნაკისრ ყველა ვალდებულებას. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ აღებული სესხების ჩამონათვალი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გადასახდელი სესხები

ბანკი	ვალუტა	გაცემის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	თანხა უცხოურ ვალუტაში	თანხა ლარებში	დარიცხული %, უცხოურ ვალუტაში	დარიცხული % ლარი
საქართველოს ბანკი*	აშშ დოლარი	3/9/2011	11.00%	2020	2,772,000	4,813,024	5,012	8,703
საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	11/16/2012	10.50%	5/15/2016	904,189	1,569,943	1,561	2,710
საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	4/23/2013	8.12%	4/5/2018	715,568	1,242,441	4,164	7,231
საქართველოს ბანკი*	აშშ დოლარი	3/03/2010	11.00%	2020	2,248,212	3,903,571	4,065	7,059
WBC	აშშ დოლარი	5/29/2007	7.08%	3/25/2017	1,985,012	3,446,576	1,059	1,839
WBC	აშშ დოლარი	9/16/2013	9.02%	6/20/2020	1,726,722	2,998,107	2,964	5,146
საქართველოს ბანკი*	ევრო	3/30/2010	11.00%	2020	1,649,742	3,941,399	2,983	7,127
საქართველოს ბანკი*	ევრო	9/30/2010	11.00%	2020	425,000	1,015,368	128	306
საქართველოს ბანკი	ევრო	5/28/2012	7.00%	2/11/2015	239,250	571,592	0	0
საქართველოს ბანკი	ევრო	11/12/2012	7.00%	6/12/2014	155,000	370,311	0	0

* განახლებადი

სესხის დაფარვის განრიგი (არ მოიცავს განახლებად კრედიტებს), აშშ დოლარი

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
საქართველოს ბანკი	317,736	606,084	375,666	174,079	82,186	0	0	**1,555,751**
WBC	448,810	1,267,634	1,605,255	1,051,537	857,019	818,874	395,159	**6,444,287**
სულ	**766,546**	**1,873,718**	**1,980,921**	**1,225,616**	**939,205**	**818,874**	**395,159**	**8,000,039**

მომხმარებლების წინსწრებით გადახდები – მოიცავს გადახდებს ლიზინგის სუბიექტების მიერ სალიზინგო ხელშეკრულებების ფარგლებში აქტიურ სალიზინგო პროდუქტებზე, რომლებიც დამუშავებულია, თუმცა აპარატურა–დანადგარები ჯერ არ არის მიწოდებული მომხმარებლებისათვის.

მოგება ზარალის უწყისი, ლარი

	2013 ფაქტიური	2013 კორექტირებული	2012 ფაქტიური	2012 კორექტირებული	2011 ფაქტიური	2011 კორექტირებული	2010
საპროცენტო შემოსავლები							
ლიზინგიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები	4,721,208	4,721,208	7,334,543	3,736,275	4,554,281	2,392,159	2,099,951
საპროცენტო ხარჯები							
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გაწეული საპროცენტო ხარჯები	-4,060,801	-2,063,669	-5,124,745	-1,523,457	-3,353,243	-1,191,249	-936,130
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**660,407**	**2,657,539**	**2,209,798**	**2,212,819**	**1,201,038**	**1,200,910**	**1,163,821**
ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გაუფასურება	-325,324	-325,324	-2,857,998	-495,782	-136,646	-136,646	-87,656
წმინდა საპროცენტო (ხარჯი)/შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გაუფასურების გამოკლების შემდეგ	**335,083**	**2,332,215**	**-648,200**	**1,717,036**	**1,064,392**	**1,064,264**	**1,076,165**
საჯარიმო შემოსავალი ფინანსური ლიზინგის მოთხოვნების ვადაგადაცილებისთვის	1,019,247	1,019,247	488,928	488,928	262,936	262,936	298,531
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო აქტივებიდან	168,766	168,766	153,097	153,097	231,296	231,296	298,824
საინვესტიციო აქტივების გადაფასებიდან გამოწვეული წმინდა ზარალი	-12,514	-12,514	0	0	-13,449	-13,449	306,880
უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან გამოწვეული წმინდა ზარალი	-110,363	-110,363	-128,922	-128,922	439,599	439,599	-17,923
სხვა შემოსავლები	1,239,313	230,080	2,754,308	93,657	990,168	990,168	182,261
სულ საოპერაციო შემოსავალი	**2,639,532**	**3,627,431**	**2,619,211**	**2,323,796**	**2,974,942**	**2,974,814**	**2,144,738**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1,386,392	-926,786	-1,120,384	-821,949	-580,739	-580,739	-433,450
შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები	-588,579	-588,579	-543,212	-543,212	-496,005	-496,005	-497,056
სალიზინგო აქტივების გაუფასურება	-124,434	-124,434	-61,415	-61,415	-168,751	-168,751	-358,965
მთლიანი საოპერაციო ხარჯი	**-2,099,405**	**-1,639,799**	**-1,725,011**	**-1,426,576**	**-1,245,495**	**-1,245,495**	**-1,289,471**
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	**540,127**	**1,987,632**	**894,200**	**897,220**	**1,729,447**	**1,729,319**	**855,267**
მოგების გადასახადი	-131,634	-348,760	-278,296	-278,749	-42,842	-42,823	-399,909
წმინდა მოგება	**408,493**	**1,638,872**	**615,904**	**618,471**	**1,686,605**	**1,686,496**	**455,358**
სხვა განსაკუთრებული შემოსავლები	0	0	0	0	0	0	0
წმინდა მოგება სხვა განსაკუთრებული შემოსავლების გათვალისწინებით	**408,493**	**1,638,872**	**615,904**	**618,471**	**1,686,605**	**1,686,496**	**455,358**

კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყაროა ფინანსური ლიზინგიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები. 2013 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა კომპანიის მთლიანი შემოსავლების 66%–ს, საჯარიმო შემოსავალი ფინანსური ლიზინგის მოთხოვნების ვადაგადაცილებისთვის - 14%-ს ხოლო სხვა შემოსავლები (იჯარა, სარგებელი, საკომისიო, სხვ.) დანარჩენ - 20%-ს.

დიაგრამა 19: საპროცენტო ხარჯი/შემოსავალი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 20: საპროცენტო ხარჯი/შემოსავალი (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 21: შემოსავლების სტრუქტურა, მილიონი ლარი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 22: შემოსავლების სტრუქტურა, მილიონი ლარი (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



წყარო: კომპანიის მონაცემები

საჯარიმო შემოსავალი ფინანსური ლიზინგის მოთხოვნების ვადაგადაცილებისთვის 2013 წელს 1.0 მილიონ ლარს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის საოპერაციო მოგების მარჟა 2013 წელს 20.5%–მდე დაეცა 13.6 პროცენტული პუნქტით, რაც მხოლოდ ერთჯერადი საოპერაციო ხარჯით იყო გამოწვეული, „ერთჯერად შემთხვევასთან“ (იხ. გვ. 26)დაკავშირებული საოპერაციო ხარჯის გამოკლებით, საოპერაციო მოგების მარჟა გაიზარდა 16.2 პროცენტული პუნქტით 54.8%–მდე. წმინდა მოგების მარჟაც დაეცა 2013 წელს 15.5%–მდე წინა წელს არსებული 23.5%–დან, ხოლო „ერთჯერადი შემთხვევის“ გამოკლებით წმინდა მოგების მარჟა 2012 წელს არსებული 27%–დან გაიზარდა 45%–მდე 2013 წელს.

დიაგრამა 23: მომგებიანობა, მილიონი ლარი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 24: მომგებიანობა, მილიონი ლარი (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 25: მომგებიანობის მარჟები



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 26: მომგებიანობის მარჟები (ერთჯერადი შემთხვევის გათვალისწინების გარეშე - იხ. გვ. 26)



წყარო: კომპანიის მონაცემები

კომპანია ინარჩუნებს ლიზინგის პორტფელის დარეზერვების პოლიტიკას წლიურად დაახლოებით 2-3%–ის დონეზე. პოლიტიკით გამიჯნულია პორტფელის კოლექტიური მიდგომა (საშუალო ისტორიული ჩამოწერის განაკვეთები) და ინდივიდუალური ჩამოწერის მიდგომა. 60 დღის ვადაგადაცილების შემთხვევაში ლიზინგის დარეზერვება შემდეგნაირად ხდება: აქტივი ფასდება სავარაუდო ფასის მხოლოდ 60%–ით 6 თვის ვადაში, რომელიც დისკონტირდება მიმდინარე პერიოდისთვის, ხოლო სხვაობა მიმდინარე ღირებულებასა და დისკონტირებულ ღირებულებას შორის (თუ მიმდინარე ღირებულება უფრო მაღალია) აღიარდება გაუფასურების ხარჯად. როდესაც მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულზე ნაკლებია, შეფასების ღირებულება არ აღიარდება და მიმდინარე ღირებულება ნარჩუნდება. 30–60 დღის ვადაგადაცილებისას ლიზინგი ექვემდებარება ცალკეული დარეზერვების მიდგომას, რაც შეიძლება განხორციელდეს კოლექტიური განაკვეთით ან როგორც ზემოთ იქნა მითითებული.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება ყოველწლიურად ხდება დამოუკიდებელი, სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ, რომელიც კომპანიის აუდიტორისთვისაა (ამჟამად „იუაი საქართველო“) მისაღები. კომპანია აღიარებს გაუფასურების ხარჯს თუ აქტივის მიმდინარე ღირებულება აღემატება მის სამართლიან ღირებულებას. თუ ხსენებული სამართლიანი ღირებულება აღემატება მიმდინარეს, სხვაობის აღიარება არ ხდება მოგებად და აქტივის აღრიცხვა ხდება აღნიშნულ ორს შორის უმცირესი ღირებულებით.

დიაგრამა 27: დარეზერვება და აქტივის გადმოფორმება პორტფელის პროცენტულად



შენიშვნა: დიაგრამაში არ არის გათვალისწინებული ერთჯერადი შემთხვევა - იხ. გვ. 26)

წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 28: პორტფელი ვადიანობის მიხედვით, წლის %



წყარო: კომპანიის მონაცემები

კომპანიის მიერ აქტივების დასაკუთრების განაკვეთი პორტფელთან მიმართებაში 2012 წელს არსებული 4.4%–დან გაიზარდა 17.9%–მდე 2013 წელს. სუსტმა ეკონომიკურმა ზრდამ 2013 წელს და ხელისუფლების ცვლილებამ უარყოფითი გავლენა იქონია პორტფელზე და კომპანიამ გაამკაცრა აქტივის დასაკუთრების პოლიტიკა.

დიაგრამა 29: კვარტალური მოგება კომპანიის მიერ გადასახადების გადახდამდე, მილიონი ლარი



წყარო: კომპანიის მონაცემები

დიაგრამა 30: გადასახადების გადახდამდე მოგების შეფარდება სალიზინგო პორტფელთან (პროცენტი)



წყარო: კომპანიის მონაცემები

საქმიანობის აღწერა

კომპანია 2001 წელს დაარსა „თბილუნივერსალ ბანკმა“. ის პირველი მოთამაშე იყო ბაზარზე, რომელიც ლიზინგის მომსახურებას სთავაზობდა მომხმარებლებს ალტერნატიული დაფინანსების სახით. 2005 წელს ორი ბანკის შერწყმის შედეგად კომპანია გახდა „საქართველოს ბანკთან“ აფილირებული. კომპანიას ამჟამად 18 თანამშრომელი ჰყავს დედაქალაქში მდებარე სათაო დაწესებულებაში. მისი კლიენტურის ბაზა ძირითადად შედგება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისგან, ასევე რამდენიმე მსხვილი მომხმარებლისგან. კომპანიის პროდუქტები გამიზნულია სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კომპანია პირველი იყო ბაზარზე, რომელმაც საშუალო ვადიანობად 3, 5 და 7 წელი განსაზღვრა თავისი პროდუქტებისთვის. მან პროდუქტების ჩამონათვალიც გააფართოვა და ეს ყველაფერი 2008 წელს მოხდა.

კომპანიის საეტაპო მოვლენები



კომპანიის ხელმძღვანელობა დიდი გამოცდილების მქონეა ფინანსური მომსახურების სფეროში და ლიზინგის სექტორში. გენერალური დირექტორი თინათინ გობეჯიშვილია. მას ფინანსურ სექტორში მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს და ეს თანამდებობა 2008 წლის აპრილიდან უკავია. ფინანსური დირექტორი ნატა მელიწკაურია. მან მთავარ ბუღალტრად 2004 წელს დაიწყო კომპანიაში მუშაობა და 15 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში.

კომპანიის სტანტარტული შეთავაზება პროდუქტების მიხედვით

კომპანიის პროდუქტები	ლიზინგის ოდენობა (აშშ დოლარი)	თანადაფინანსება	ლიზინგის ვადა	გათვალისწინებული განაკვეთი	სხვა მოთხოვნები	შენიშვნები და კომენტარები
ფინანსური ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	•დაზღვევა • რენტაბელობის მინიმუმ 6 თვე •ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტები	• ერთერთი ყველაზე გავრცელებული დაფინანსების ინსტრუმენტი მთელს მსოფლიოში
ექსპრეს ლიზინგი	მაქსიმუმ 100,000 (პროექტის	მინიმუმ 30%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% –	• ექსკლუზიური შეთავაზება	• დაფინანსება ერთი დღის ვადაში

	ხარჯის 70%)			7.5%	„საქართველოს ბანკის“ კლიენტებისთვის • დაზღვევა • ერთწლიანი საკრედიტო ისტორია „საქართველოს ბანკში“ • საჭირო არ არის ფინანსური მონაცემების წარმოდგენა	
საავტომობილო ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	
საავტომობილო ლიზინგი შემოწმების გარეშე (აქტივის შეძენა მხოლოდ პარტნიორი საავტომობილო სახლებიდან [1)]	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 35%	მაქსიმუმ 3 წელი	0% – 6%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის • შესაძლებელია ახალი ბიზნეს წამოწყების დაფინანსება
საავტომობილო ლიზინგი შემოწმების გარეშე	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 40%	მაქსიმუმ 3 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის • შესაძლებელია ახალი ბიზნეს წამოწყების დაფინანსება
საავტომობილო ლიზინგი ნარჩენი ღირებულებით [2]	მინიმუმ 10,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	• შესაძლებელია ლიზინგის განახლება და ძველი მანქანის გამოცვლა ახლით • კლიენტებს აძლევს ყოველვიური სალიზინგო გადახდების შემცირების საშუალებას
სამშენებლო მანქანა–დანადგარების ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	

სამშენებლო მანქანა–დანადგარების ლიზინგი შემოწმების გარეშე (აქტივების შეძენა მხოლოდ პარტნიორი საავტომობილო სახლებიდან [1])	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 35%	მაქსიმუმ 3 წელი	0% – 6%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის • შესაძლებელია ახალი ბიზნეს წამოწყების დაფინანსება
სამშენებლო მანქანა–დანადგარების ლიზინგი შემოწმების გარეშე	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 40%	მაქსიმუმ 3 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის • შესაძლებელია ახალი ბიზნეს წამოწყების დაფინანსება
სამკურნალო მედიცინის აპარატურის ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 15%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	
სამკურნალო მედიცინის აპარატურის ლიზინგი შემოწმების გარეშე	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 25%	მაქსიმუმ 4 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის • შესაძლებელია ახალი ბიზნეს წამოწყების დაფინანსება
ესთეტიკური მედიცინის აპარატურის ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	
ესთეტიკური მედიცინის აპარატურის ლიზინგი ახალ ბიზნეს წამოწყებებზე	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 40%	მაქსიმუმ 3 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა	
ესთეტიკური მედიცინის აპარატურის ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 35%	მაქსიმუმ 3 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის

შემოწმების გარეშე						
რესტორნების, საცხობების და სასტუმროების მანქანა–დანადგარების ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	
რესტორნების, საცზობებისა და სასტუმროების მანქანა–დანადგარების ლიზინგი შემოწმების გარეშე	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 45%	მაქსიმუმ 3 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში	• ფინანსური მონაცემების და ისტორიის შემოწმება საჭირო არ არის • შესაძლებელია ახალი ბიზნეს წამოწყების დაფინანსება
რეალიზაცია და უკუ–ლიზინგი	მინიმუმ 5,000	მინიმუმ 20%	მაქსიმუმ 5 წელი	4.5% – 7.5%	• დაზღვევა • რენტაბელობა მინიმუმ 6 თვის განმავლობაში • ფინანსური უწყისები და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია	• კლიენტებს საშუალებას აძლევს თანხები გამოათავისუფლონ აქტივიდან სამომავლო გაფართოებისთვის
საოპერაციო ლიზინგი	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	• ქონების მხოლოდ გამოყენების უფლების გასხვისება • ლიზინგის სუბიექტი ქონებას უბრუნებს სალიზინგო კომპანიას სალიზინგო პერიოდის დასრულებისას	• მიჩნეულია საოპერაციო ხარჯად • საბალანსო უწყისში არ ტარდება აქტივი ან ვალდებულება

1 თუ შეძენილია პარტნიორი საავტომობილო სახლებიდან („ტოიოტა“, „ჰიუნდაი“, „იბერია ბიზნეს ჯგუფი“, „თეგეტა მოტორსი“) გათვალისწინებული შემდეგი განაკვეთი: 0% - 6%

2 ლიზინგის ხელშეკრულების დასრულების მომენტისთვის, „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ განსაზღვრავს ავტომობილის ნარჩენ ღირებულებას და კლიენტს სთავაზობს გამოისყიდოს ან განაახლოს აქტივის ლიზინგი. ყველა სხვა შემთხვევაში ქონება რჩება „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ საკუთრებაში. აქტივის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება ლიზინგის პერიოდის შესაბამისად: 2 წელი – 50%; 3 წელი – 25%; 4 წელი – 15%; 5 წელი – 10%

სალიზინგო საქმიანობის რეგულირება საქართველოში

მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის განვითარების ეტაპები

1997 წლის 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი („**სამოქალაქო კოდექსი**") იყო პირველი სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებდა სალიზინგო საქმიანობას საქართველოში. მოგვიანებით, 2002 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ". ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსთან ერთად („**საგადასახადო კოდექსი**") 2011 წლამდე არეგულირებდა ლიზინგის ინდუსტრიას საქართველოში.

სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა არახელსაყრელი და დისკრიმინაციული საგადასახადო რეჟიმისა და კანონმდებლობაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების გამო. სალიზინგო კომპანიები მოკლებულები იყვნენ შესაძლებლობას, კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, ჩამოეწერათ უიმედო სესხები, ამორტიზაციის 100%-იანი დარიცხვის წესი არ ვრცელდებოდა სალიზინგო კომპანიებზე და ასევე მოგების გადასახადის გამოანგარიშების პრინციპები ძველ კანონმდებლობაში იყო ბუნდოვანი.

2011 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) მხარდაჭერითა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობით, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ", ცვლილებები შეტანილ იქნა საგადასახადო კოდექსში და არსებითი ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კოდექსში, კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) მიერ შემუშავებული და საერთაშორისოდ აღიარებულ სალიზინგო სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია რომში და რომლის მიზანია კერძო და კომერციული სამართლის ჰარმონიზაცია ქვეყნებს შორის.

ახალმა საკანონმდებლო ბაზამ (1) სალიზინგო კომპანიებს შეუქმნა მეტი მოტივაცია ქონების ლიზინგით გაცემისათვის, ლიზინგის მიმღებებისათვის მოქნილი საგადასახადო რეგულირებისა და გამარტივებული საგადასახადო პროცედურების დაწესებით და (2) შეამცირა მოქმედი გადასახადის განაკვეთები როგორც ლიზინგის გამცემების, ასევე ლიზინგის მიმღებებისათვის, სალიზინგო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წესებში ცვლილებების შეტანის გზით.

ახალმა საგადასახადო კანონმდებლობამ გაამარტივა გადასახადების ადმინისტრირება და შეამცირა საგადასახადო ტვირთი სალიზინგო კომპანიებისათვის. ცვლილებების განხორციელებამდე სალიზინგო კომპანიები ვერ ახორციელებდნენ ამორტიზაციის 100% -იან დარიცხვას, მაშინ როდესაც სხვა სექტორში მოქმედ კომპანიებს შეეძლოთ აღნიშნულის განხორციელება. შესაბამისად, სალიზინგო საქმიანობაში ამორტიზაციის 100%-იან დარიცხვასთან დაკავშირებით შეზღუდვა აღარ არსებობს. ძველი კანონმდებლობით, სალიზინგო კომპანიებს არ შეეძლოთ დაერეგულირებინათ ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები, ამიტომ კომპანიებს ერიცხებოდათ მაღალი მოგების გადასახადი. არსებული რეგულირებით, სალიზინგო კომპანიებს შეუძლიათ გამოქვითონ ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების ღირებულების 80%, თუ ვადა გადაცილება 60 დღეზე მეტია. დამატებით, პერიოდულად გადასახდელი ლიზინგის თანხა (ძირითადი თანხა და პროცენტი) ჩაითვლება ხარჯში საგადასახადო მიზნებისათვის, რაც შესაძლებლობას აძლევს ლიზინგის მიმღებს შეამციროს საგადასახადო ტვირთი მოგებაზე. ახალი კოდექსი შესაძლებლობას აძლევს ლიზინგის გამცემებს ლიზინგით გაცემულ ქონებაზე მოახდინონ ქონების გადასახადის ეფექტურად გამოანგარიშება. დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდევინება ხორციელდება ლიზინგის გადასახადის პროპორციულად.

სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ძირითადი მახასიათებლები

სალიზინგო საქმიანობა და სალიზინგო კომპანიები არ ექვემდებარებიან სავალდებულო ლიცენზირებას ან რეგისტრაციას. სალიზინგო ინდუსტრიას არ ჰყავს სპეციალური მარეგულირებელი ორგანო, ასევე არ არსებობს კაპიტალის ადეკვატურობის ან სხვა მსგავსი მოთხოვნა, რომელიც ვრცელდება სალიზინგო კომპანიებზე. თუმცა, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე ვრცელდება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის რეგულაციები, სალიზინგო კომპანიებზე ზედამხედველობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი სააგენტო და შესაბამისად სალიზინგო კომპანიები ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წინაშე (იხ. ქვემოთ – *„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ რეგულაციები და მონიტორინგის მოთხოვნები"*).

საქართველოში ლიზინგის სექტორში ინვესტიციების განხორციელებისათვის არ არსებობს არც სამართლებრივი და რეგულირების ბარიერები. საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს მინიმალურ ან მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს სალიზინგო საქმიანობისათვის. ასევე არ არის დადგენილი სხვა სავალდებულო მოთხოვნები ლიზინგით აღებული ქონების თანადაფინანსებისათვის ლიზინგის გამცემის ან მიმღებისათვის.

სალიზინგო საქმიანობის ძირითად ასპექტებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი. მაგალითად: მხარეთა ვალდებულებები, ზიანის ანაზღაურების საკითხი, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები და ა.შ. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სალიზინგო საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები არის შემდეგი: ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცემს ქონებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღებს აქვს ვალდებულება გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება, ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია. ფული, ფასიანი ქაღალდები ან წილი კომპანიაში არ შეიძლება იყოს ლიზინგის ობიექტი. საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, მხოლოდ ამორტიზაციას დაქვემდებარებული ქონება შეიძლება იყოს ლიზინგის ობიექტი, ხოლო სალიზინგო კომპანია განმარტებულია როგორც საწარმო, რომლის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი მისი ერთობლივი შემოსავლის არანაკლებ 70%-ია.

სამოქალაქო კოდექსი აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს და შეზღუდვებს ლიზინგის ხელშეკრულების ცვლილებებსა და შეწყვეტასთან დაკავშირებით. ლიზინგის გამცემი ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუთმოს ლიზინგის მიმღებს თავისი უფლებები, რომლებიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას. ნებისმიერი ცვლილება ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ლიზინგის ხელშეკრულებაში უნდა შეთანხმდეს ლიზინგის მიმღებთან და ასევე ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება, შეთანხმდეს მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლაზე, შეწყვეტაზე ან მოშლაზე ლიზინგის გამცემის თანხმობის გარეშე. ლიზინგის გამცემს შეუძლია მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს. ამასთან, ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება, ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის უფლება მას გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ვეღარ ახორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის რეგულაციები და მონიტორინგის ვალდებულებები

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მიღებულ იქნა 2004 წლის 1 იანვარს. ამ კანონის მიღებით გაძლიერდა კონტროლი ფულადი სახსრების მიმოქცევაზე საქართველოს ტერიტორიაზე და შემოღებულ იქნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ფინანსური მონიტორინგის სამსახური („მონიტორინგის სამსახური“), უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ და ტერორიზმთან ბრძოლისათვის გატარებული ფინანსური ღონისძიებების მონიტორინგისა და ზედამხედველობისათვის, ასევე ბრძანებების გამოცემის მეშვეობით პრევენციული ღონისძიებებისა და ანგარიშგების ვალდებულებების დაწესებისათვის. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის საფუძველზე, მონიტორინგის სამსახურის უფროსის მიერ 2013 წლის 5 სექტემბერს მიღებულ იქნა ბრძანება #2 „სალიზინგო კომპანიების მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის შესახებ“ (**„მონიტორინგის ბრძანება“**). ზემოაღნიშნული კანონი და მონიტორინგის ბრძანება განსაზღვრავს სალიზინგო კომპანიებზე ფინანსური მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნებს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის აღკვეთის მიზნით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ზედამხედველობას სალიზინგო კომპანიებზე, მათი საქმიანობის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონთან შესაბამისობის დასადგენად. თუ ფინანსთა სამინისტრო დაადგენს წინააღმდეგობას კანონთან ან მონიტორინგის ბრძანებასთან, ის ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს ზედამხედველობის სააგენტოს და დააკისროს კომპანიას შესაბამისი სანქციები. თუ სააგენტო მიიღებს ანგარიშს გარიგების შესახებ, რომელიც მისი აზრით დაკავშირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან, ანგარიში უნდა გადაეგზავნოს პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებს.

სალიზინგო კომპანიები ვალდებულნი არიან აწარმოონ მონიტორინგი იმ ტრანზაქციებზე, რომელთა ღირებულება აღემატება 30,000 ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში და ასევე „საეჭვო ტრანზაქციებზე“, რომელთა განმარტება მოცემულია შესაბამის რეგულაციებში. დამატებით, სალიზინგო კომპანიების მიერ მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება არსებობს შემდეგ ტრანზაქციებზე: (ა) ნებისმიერი ტრანზაქცია რომელზეც

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი დაკავშირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა ან ტერორიზმის დაფინანსებასთან და (ბ) ნებისმიერი ტრანზაქცია იმ პირთა მონაწილეობით, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ საეჭვო ზონებში.

იმ ტრანზაქციებისა და პირების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც დაკაშირებულნი არიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან, სალიზინგო კომპანიები ვალდებულნი არიან შეიმუშავონ შიდა კონტროლის მექანიზმები, მათ შორის შიდა რეგულაციები და გამოყონ შესაბამისი თანამშრომელი ან შექმნან სპეციალური სამსახური, რომელიც განახორციელებს მონიტორინგის სააგენტოსათვის მისაწოდებელი ინფორმაციის დამუშავებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცესის ზედამხედველობას.

ანტიმონოპოლიური რეგულაციები

სალიზინგო კომპანიები ექვემდებარებიან კონკურენციის სააგენტოს ზედამხედველობას, რომელიც შეიქმნა 2014 წლის აპრილში, კონკურენციის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე. კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო კომპანიების საქმიანობის შესაბამისობის მონიტორინგს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან და გააჩნია მრავალი უფლებამოსილება, მათ შორის კონკურენციის კანონის დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების უფლება.

ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები

ანგარიშის წარდგენის ვალდებულება

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია ხდება „ანგარიშვალდებული საწარმო“ ფასიანი ქაღალდების კანონის მიზნებისათვის. ანგარიშვალდებული საწარმო განმარტებულია როგორც კომპანია, რომლის აქციები განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

ფასიანი ქაღალდების კანონი აწესებს ანგარიშების წარდგენის ვალდებულებას ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის. კერძოდ, წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები უნდა წარედგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და რეგისტრირებულ მფლობელებს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა ხდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, ანგარიშები უნდა წარედგინოს შესაბამისად საფონდო ბირჟას. საქართველოს საფონდო ბირჟა უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოებისგან.

დაკავშირებულ/დაინტერესებულ პირებთან დადებული გარიგებების დამტკიცება

ფასიანი ქაღალდების კანონი არეგულირებს დაკავშირებულ პირებთან დადებულ გარიგებებს და აწესებს სხვადასხვა თანხმობის მოპოვებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის. აღნიშნული მოთხოვნები, როგორც ქვემოთ მოცემულია, არ ვრცელდება ტრანზაქციებზე, რომლებიც დადებულია (ა) კომპანიასა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს შორის და (ბ) კომპანიასა და 100% წილის მფლობელ პარტნიორს შორის.

თუ ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ დადებულ იქნება გარიგება და ამ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრს ან ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელ აქციონერს (ან მასთან დაკავშირებულ პირს) (ა) ექნება ხელშეკრულების მეორე მხარესთან რაიმე სახის კავშირი (მაგ. იქნება ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერი ან მმართველი ორგანოს წევრი) ან (ბ) მიიღებს რაიმე სახის სარგებელს, ასეთი პირი ჩაითვლება „დაინტერესებულ პირად“ ფასიანი ქაღალდების კანონის მიზნებისათვის. ზოგადი წესის მიხედვით, დაინტერესებული პირი ვალდებულია შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს და გარიგების ღირებულების გათვალისწინებით, პარტნიორთა საერთო კრებას, მისი ინტერესის შესახებ დასადებ გარიგებაში. სავალდებულოა რომ სამეთვალყურეო საბჭომ ან პარტნიორთა საერთო კრებამ (კომპეტენციის შესაბამისად) დაამტკიცოს ტრანზაქცია. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია წარუდგინოს დაინტერესებულ პირთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ბანკს და ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია ამ ტრანზაქციების შესახებ (მათ შორის 100%-იან შვილობილ საწარმოსა და 100% წილის მფლობელ პარტნიორთან დადებული გარიგებების შესახებ).

თუ ტრანზაქცია დადებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევით, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ან მისი პარტნიორი (ან პარტნიორთა ჯგუფი) რომელიც ფლობს კომპანიის კაპიტალის 5%-ს ან მეტს ანგარიშვალდებულ საწარმოში, უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დაინტერესებული პირისგან და ამ ტრანზაქციიდან მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოს მიადგა ზიანი დაინტერესებულ პირთან გარიგების დადების შედეგად და რომ არა

დაინტერესებული პირი, გარიგება დაიდება უკეთესი პირობებით. გარიგების ბათილობის მოთხოვნა შესაძლებელია გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომაპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორთა კრება ვალდებული იქნება დაამტკიცოს დაინტერესებულ პირთან დადებული გარიგება საჯარო შეთავაზების შემდეგ, გარდა მისი 100% წილის მფლობელთან - საქართველოს ბანკთან დადებული გარიგებებისა.

მოთხოვნათა რიგითობა გაკოტრების საქმის წარმოებისას

კომპანიის გაკოტრების საქმის წარმოებისას, კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება შემდეგი რიგითობით:

1) საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური;

2) გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;

3) მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

4) ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

5) არაუზრუნველყოფილი საგადასახადო დავალიანებები;

6) ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა; და

7) დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

<u>ლიზინგის პოლიტიკა და პროცედურები</u>

კომპანიას პროცედურები აქვს დამტკიცებული პროექტების განხილვისთვის, შესრულებისთვის, მონიტორინგისთვის, დარეზერვებისთვის, ვადაგადაცილების საკითხებზე მუშაობისა და ქონების გადმოფორმებისთვის. ეს პროცედურები გაწერილია კომპანიის მიერ დამტკიცებულ შიდა დოკუმენტებში.

პროექტების დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურები შემუშავებულია მომხმარებლებისთვის უკეთესი მომსახურების შესათავაზებლად, თავად მომსახურების სტანდარტიზაციისთვის და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად. ეს პროცედურა გულისხმობს შიდა და საზედამხედველო მეთვალყურეობას, რამდენიმე სპეციალიზირებული შრის გამოყენებას შეცდომებისა და/ან თაღლითური ქცევის გამოსავლენად.

პროექტის დამტკიცების პროცედურა



პროექტის მონიტორინგის პროცედურა ორ კომპონენტს მოიცავს: ლიზინგის სუბიექტის *ფინანსური მონიტორინგი*, რაც გამოიყენება შერჩევით, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიას აწუხებს ლიზინგის სუბიექტის ფინანსური სტაბილურობა. ფინანსური მონიტორინგი ხორციელდება ლიზინგის ხელმძღვანელის მიერ. *ტექნიკური მონიტორინგი* უზრუნველყოფს აქტივის ჯეროვან შენახვას და აქტივის მოპყრობის პირობების შესაბამისად მის გამოყენებას. ლიზინგის ახალ აქტივზე მონიტორინგი ხორციელდება პირველი 12-18 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივზე მონიტორინგი 6 თვეში ან წელიწადში ერთხელ წარმოებს აქტივის ტიპის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვს არაგეგმიურ მონიტორინგს. ჩვეულებრივ მონიტორინგს წინ უსწრებს შეტყობინებები და სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში სალიზინგო კომპანიის წარმომადგენელს გარანტირებული აქვს წვდომა აქტივთან. ტექნიკური მონიტორინგი ხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ტექნიკური ექსპერტის მიერ.

ვადაგადაცილებული პორტფელის მართვის პროცედურა განსაზღვრავს წესებს და ზომებს, რომლებიც გამოიყენება ვადაგადაცილებული გადახდების შემთხვევაში. მათში აქცენტი კეთდება დროულ ქმედებებზე და მჭიდრო

ურთიერთობაზე ლიზინგის სუბიექტთან, რათა მინიმუმამდე იქნეს შემცირებული ტექნიკური, ფინანსური და სასამართლო გარჩევის რისკი.



დარეზერვების პროცედურა

კომპანიას ორი მეთოდი გააჩნია დარეზერვებისთვის: სტანდარტული პორტფელის დარეზერვება და ინდივიდუალური დარეზერვება:

1) სტანდარტული კოლექტიური პორტფელის დარეზერვება ხორციელდება ყველა პროექტის შემთხვევაში და ის ეფუძნება 10 წლიანი ჩამოწერის მონაცემებს (ამჟამად აქტივების ღირებულების 1.76%–ის ოდენობით). სტანდარტული დარეზერვება გამოიყენება 30 დღემდე ვადაგადაცილებული გადახდების შემთხვევაში.

2) ინდივიდუალური დარეზერვება:

   - თუ ლიზინგის ხელშეკრულებით გადახდა 60 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულია:
     - კომპანია აფასებს აქტივს და მისი რეალიზაციის ღირებულებას 6 თვის შემდეგ (საწყისი ვარაუდი – აქტივის გაყიდვა მოხდება დაახლოებით 6 თვის შემდეგ),
     - კომპანია ითვლის აქტივის რეალიზაციის ამჟამინდელ ღირებულებას და ამ თანხის 60%ს ადარებს შესაბამისი პორტფელის ღირებულებას,
     - თუ ეს თანხა მიმდინარე ღირებულებაზე ნაკლებია, სხვაობა აღიარებული იქნება აქტივის ხარისხის გაუარესების ხარჯად,
     - თუ ეს თანხა მიმდინარე ღირებულებაზე მეტია, კოლექტიური ლიზინგის ფონდის მიდგომა გამოიყენება.
   - თუ ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში ვადაგადაცილება 30-60 დღეს აღემატება გამოიყენება კოლექტიური ლიზინგის ფონდის განაკვეთი ან ინდივიდუალური ლიზინგის განაკვეთი (ზემოთ განმარტებულის თანახმად).

აქტივის დასაკუთრების პროცედურა

აქტივის გადმოფორმება ხდება როდესაც ლიზინგის სუბიექტს აღარ ძალუძს გადახდების წარმოება და კომპანია გადაწყვეტს დაისაკუთროს აქტივი.


აქტივის ჩამოწერა
აქტივის ამოღების პროცესი
კლიენტი ნებაყოფლობით აბრუნებს აქტივს
სასამართლოს ჩარევა ხდება აუცილებელი
კომპანიის წარმომადგენელი წამოიღებს აქტივს კლიენტისგან
კომპანიის იურისტი ამზადებს საჭირო დოკუმენტების პაკეტს და აგზავნის სასამართლოში
3 დღეში კომპანია იღებს სასამართლო ნებართვას
კომპანია მიმართავს ერობნულ აღსრულების ბიუროს (ეაბ)
ეაბ დაუბრუნებს აქტივს კომპანიას

<u>რისკის მართვა</u>

რისკები	კომპანიაში რისკის მართვის მექანიზმები
კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს საკუთარი პორტფელის ხარისხის შენარჩუნება: რამდენიმე ფაქტორმა შეიძლება გააუარესოს პორტფელის ხარისხი: • კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს მისი პორტფელის ეფექტური მართვა შიდა კონტროლის პრობლემების და/ან საბაზრო პირობების ცვლილებების გამო, რაც გამოიწვევს დაგვიანებულ გადახდებსა და პრობლემური ვალების ზრდას. • ხელმძღვანელობამ შეიძლება შეასუსტოს სტანდარტული პირობები რათა უკეთესი ფინანსური შედეგები მიიღოს. ამას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს პასუხისმგებლობის გაზრდა. • კომპანიის მომხმარებლებმა შეიძლება ვერ დაფარონ სალიზინგო კონტრაქტებით განსაზღვრული კრედიტები და დეფოლტის შემთხვევაში უზრუნველყოფა შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ლიზინგის მიმღების დავალიანების ამოსაღებად;, • გარე ფაქტორებმა, როგორიცაა ზოგადად საბაზრო პირობების შეცვლა, შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა ლიზინგის პროდუქტებზე და ამდენად, გამოიწვიოს პორტფელის ხარისხის გაუარესება.	• კომპანიის საქმიანობის პოლიტიკა და პროცედურები (იხილეთ თავი „*სალიზინგო პოლიტიკა და პროცედურები*“) გამიზნულია იმისათვის, რომ კომპანიას შეეძლოს შიდა რისკების ეფექტური მართვა და თავიდან აიცილოს ცუდი მუშაობის დიდი ალბათობის მქონე კლიენტების დაფინანსება. • კონსტრუქციული მიდგომა დარეზერვებისადმი არ არის მხოლოდ შიდა პოლიტიკა, არამედ ვალდებულებაც, რომელიც WBC–ის წინაშე იკისრა კომპანიამ (OPIC–თან ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში). დარეზერვების მოთხოვნებში ნებისმიერი ცვლილება დაექვემდებარება აქციონერის (სს „საქართველოს ბანკის“) შიდა აუდიტის დეტალურ ანალიზს. • „საქართველოს ბანკის“ ჯგუფი ქვეყნის ეკონომიკას გულდასმით სწავლობს და აკვირდება. მას გააჩნია საკუთარი მაკროეკონომიკური კვლევის ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ გარე ფაქტორებზე გავლენას ვერ მოახდენს, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს იქონიოს დივერსიფიცირებული დარგობრივი პორტფელი და ამგვარად დაიცვას თავი უარყოფითი გარე ზემოქმედებისგან.
სალიზინგო აქტივების ღირებულება შეიძლება შემცირდეს: სალიზინგო აქტივების ღირებულება შეიძლება შემცირდეს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ნორმების ცვლილებების, ლიკვიდურობის შემცირების, საბაზრო პირობების ცვალებადობის და მოძველებული ტექნოლოგიების გამო. შესაძლოა ყველა ამ ფაქტორმა იქონიოს გავლენა უზრუნველყოფის ღირებულებაზე იმდენად, რომ იგი იყოს დარჩენილ სალიზინგო საზღაურზე ნაკლები. ასევე, შეფასებისას დაშვებულმა შეცდომამ შესაძლოა გამოიწვიოს უზრუნველყოფის არაადექვატურობა, რადგან აქტივი შესაძლოა არ იყოს შეფასებული საბაზრო პირობებით და/ან ლიზინგის ვადა შესაძლოა არ შეესატყვისებოდეს აქტივის კატეგორიას/ტიპს.	• კომპანიის კონსერვატული მიდგომა დარეზერვებისადმი ამ რისკებს ნაწილობრივ ანეიტრალებს. • სალიზინგო ასოციაციაში აქტიური მონაწილეობა კომპანიას საშუალებას აძლევს საკუთარი აზრი გამოთქვას საგადასახადო და სხვა მარეგულირებელ საკითხებზე, რადგან ასოციაცია მთავრობასთან მჭიდროდ თანამშრომლობს ლიზინგთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. • მკაცრი შიდა პროცედურები და პროცესები მინიმუმამდე ამცირებენ აქტივების შეფასებისა და ლიზინგის ვადებთან დაკავშირებულ რისკებს. • ზოგიერთი რისკი (მაგ. ტექნოლოგიური ცვლილებები) დარგის თანმხლები რისკია და სრულად განეიტრალებული ვერ იქნება.
სავალუტო კურსის ცვალებადობა გავლენას ახდენდა და შეიძლება მომავალშიც იმოქმედოს კომპანიაზე: გაცვლითი კურსის ცვლილება უშუალოდ ახდენს გავლენას კომპანიის სუფთა შემოსავლებზე ვინაიდან კომპანიაში ლიზინგის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფიქსი-რებული შემოსავლები დივერსიფიცირებულია სამ განსხვავებულ ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო), ხოლო კომპანიის მიერ გასასტუმრებელი კრედიტები დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.	კომპანია აქტიურად იყენებს გადაზღვევის არსებულ შესაძლებლობებს და სავალუტო რისკის გადაზღვევას ახდენს მისი მომსახურე ბანკის (სს „საქართველოს ბანკი“) საშუალებით.
კომპანია შეიძლება დადგეს ლიკვიდურობის რისკის წინაშე: კომპანიის პროფილური საქმიანობა საჭიროებს	კომპანია მინიმუმამდე ახდენს საკუთარი ლიკვიდურობის რისკის შემცირებას იმით, რომ მის

მნიშვნელოვანი ოდენობის საბრუნავ სახსრებს მანქანა–დანადგარებისა და აპარატურის შესყიდვების დასაფინანსებლად. გონივრულ ფასად დაფინანსების წყაროებზე იოლ წვდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებისა და გაფართოებისთვის. შესაბამისად, ლიკვიდურობა კომპანიის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ლიკვიდურობის არქონა შეიძლება გულისხმობდეს ლიზინგის პორტფელის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად, ასევე დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ხარჯებისათვის კომპანიაში საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობას, რამაც შეიძლება კომპანიის სალიზინგო პორტფელის და რენტაბელობის შემცირება გამოიწვიოს.	ხელთარსებულ, გამოუყენებელ საკრედიტო ხაზებს ინახავს ორივე მომსახურე ფინანსურ დაწესებულებაში (სს „საქართველოს ბანკი“ და WBC). ორივე კრედიტორს კომპანიისთვის დამტკიცებული აქვს საკრედიტო ხაზის ლიმიტი ლიზინგის ახალი პროექტების დასაფინანსებლად. 2014 წლის მე–2 კვარტლის მდგომარეობით, კომპანიისთვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზების ოდენობა 6.4 მილიონი აშშ დოლარია.
კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებში, ფისკალურ ან სხვა პოლიტიკაში სამომავლო ცვლილებები არაპროგნოზირებადია: საქართველოში სალიზინგო საქმიანობასთან დაკავშირებული წესებისა და სამთავრობო პოლიტიკის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მუშაობაზე. ცვლილებები შესაძლოა ზღუდავდეს სალიზინგო კომპანიებს ბაზარზე ახალი პროდუქციის შემოტანაში, აკისრებდეს დამატებით საგადასახადო ტვირთს, უკარგავდეს პოტენციურ კლიენტებს სალიზინგო მომსახურების მიღების ინტერესს ან მიაყენოს სალიზინგო მომსახურებას, როგორც დარგს, არაპროგნოზირებადი ზიანი.	2011 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები ლიზინგთან დაკავშირებული ცვლილები სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსებში. ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო და ყველა მსხვილი სალიზინგო კომპანია (კომპანიის ჩათვლით) ერთობლივად მუშაობდა რეფორმა-ზე, რათა საქართველოს კანონმდებლობა მიახლოვებოდა საერთაშორისო სტანდარტებს (UNIDROIT). რეფორმა საზოგადოდ მიიჩნევა წარმატებულად. მან განაპირობა დარგის სწრაფი ტემპით ზრდა (2.5–ჯერ 3 წლის განმავლობაში). სალიზინგო კომპანიებთან ერთად ქვეყნის მთავრობა აგრძელებს მუშაობას კანონმდებლობის დახვეწაზე და ამიტომ უახლოეს და საშუალოვადიან პერიოდში არ არის მოსალოდნელი საზიანო/უარყოფითი ცვლილება დარგის მარეგულირებელ ნორმებში.

კომპანია ექვემდებარება ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ საოპერაციო რისკს: • *მხოლოდ ერთ მომხმარებელთან ურთიერთობა* – კომპანიამ შესაძლოა გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად (ლიზინგის მიმღებებს შორის კავშირების შესახებ ინფორმაციის არქონის გამო) აქტივები ლიზინგით გასცეს ერთი აქციონრის მფლობელობაში არსებული კომპანიების ჯგუფზე, • *კლიენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები* – კომპანიას ან მის აქციონერებს შესაძლოა ცუდი საკრედიტო ისტორია ჰქონდეთ, დაგვიანებული გადახდებითა და დაუფარავი ვალდებულებებით. მათ შესაძლოა პრობლემები ჰქონდეთ საქართველოს შემოსავლების სამსახურთანაც, რაც მნიშვნელოვან რისკს ქმნის მათი კრედიტუნარიანობისათვის. • *აქტივების შეფასების შესახებ ინფორმაციის უტყუარობა* – მიუხედავად იმისა, რომ კომპანია უმეტესად ურთიერთობს შემდგარ მეწარმეებთან, მაინც არსებობს შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს აქტივების ლიზინგით მიღება სურთ ნაკლებად ცნობილი მწარმოებლებისგან, რომლებიც ბაზარს დაბალ ფასად სთავაზობენ თავის პროდუქციას. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ხდება აქტივების ობიექტური/რეალისტური შეფასება, • *კონტრაქტორების რისკი* - კონტრაქტორებმა შესაძლოა მიიღონ ავანსი და არ მიაწოდონ აქტივები კომპანიას. • *იურიდიული/პროცედურული რისკი* –კომპანიის თანამშრომლებმა შესაძლოა შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას, კლიენტისთვის აქტივის გადაცემისას და სხვ. • *მომხმარებელთა თაღლითური ქცევის რისკი* – მომხმარებელმა შესაძლოა შეცვალოს ფინანსური ანგარიშები და წარმოუდგინოს კომპანიას მონაცემები, რომელიც შეიცავს მცდარ ინფორმაციას მომხმარებლის მასშტაბების, ზომის და შესაძლებლობების შესახებ. • *თანამშრომლების თაღლითური ქცევის რისკი* – თანამშრომელმა პირადი სარგებლის მიღების მიზნით შესაძლოა მოისურვოს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია და ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც სხვა შემთხვევაში არ დამტკიცდებოდა. თანამშრომელს შესაძლოა პირადი ინტერესი ამოძრავებდეს ლიზინგის აქტივის ნამდვილი ღირებულების არასწორ ასახვაში. • *აქტივების დაზიანების რისკი* – ლიზინგის აქტივი შესაძლოა დაზიანდეს მომხმარებლის დაუდევრობით ან სხვა გარე ფაქტორების გამო, როგორიცაა სტიქიური მოვლენა ან უბედური შემთხვევა. • *მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის რისკი*	• კომპანიის კრედიტორის WBC (OPIC–თან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში) ერთერთი დათქმა აწესებს შეზღუდვას ერთ მომხმარებელთან გარიგებაზე. ამგვარი დათქმის მიხედვით, ერთ მომხმარებელთან გარიგების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს არის კომპანიის საკუთარი კაპიტალის 30%-ს. • კლიენტის მხრიდან ინტერესის გამოხატვის შემდეგ კომპანია უპირველესად სწვლობს განმცხადებლის (კლიენტის) აქციონერთა ისტორიას (საკრედიტო ისტორიის ჩათვლით). ეს ინფორმაცია შემდეგ გადამოწმდება არსებული კლიენტურის ბაზაში და დასტურდება ორი პოტენციური რისკი: ერთ კლიენტთან გარიგების ღირებულების ზღვარი და განმცხადებლის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. • კომპანიის შემფასებელი ახორციელებს აქტივის ღირებულების დამოუკიდებელ შეფასებას, რაშიც იყენებს წინა ოპერაციებს, შესადარ ობიექტებს, კამერალურ კვლევას და სხვა მეთოდებს. • კონტრაქტორების რისკის შესამცირებლად კომპანია უმთავრესად თანამშრომლობს შემდგარ მწარმოებლებთან; ხშირ შემთხვევაში ანგარიშსწორებისთვის კომპანია ასევე იყენებს აკრედიტივებს და აკონტროლებს წინსწრებით გადახდებს. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც კლიენტი ირჩევს უცნობ მწარმოებელს, კომპანია მუშაობს მასთან იმ პირობით, რომ კლიენტი საკუთარ თავზე იღებს აქტივის დაგვიანებული მოწოდების ან არმოწოდების რისკს. ასეთ შემთხვევებში წინსწრებით გადახდა არ ხორციელდება და უმთავრესად გამოიყენება რეალიზაციის ან უკუ–ლიზინგის მეთოდები. • კომპანიას ინვესტირებული აქვს დიდი დრო, ენერგია და ფული ერთის მხრივ პროცესის სტანდარტიზაციაში და მეორეს მხრივ კადრების განვითარებაში. კომპანია ერთადერთია ბაზარზე, რომელიც სპეციალიზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (Microsoft Dynamic NAV) იყენებს, რომელიც შეყვანილი სტანდარტული მონაცემების საფუძველზე ახდენს სალიზინგო კონტრაქტის გენერირებას. ზემოთხსენებული პროგრამა მოიცავს ლიზინგს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, საგადასახადო ბუღალტერიას და საკადრო რესურსების მართვის ფუნქციებს. • არსებობს რამდენიმე „საკონტროლო პუნქტი“ განსაზღვრული პირების მითითებით, რომლებიც იხილავენ კონტრაქტებს და უზრუნველყოფენ დამტკიცებულ პროცედურებთან შესაბამისობას. კლიენტების თაღლითური ქცევის რისკის

– საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები არ რეგულირდება დამოუკიდებელი ან სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს მიერ. ამიტომ, შესაძლოა არსებობდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან აქციონრებისა და კრედიტორების ინტერესების საწინააღმდეგოდ ქმედების რისკი.	გასანეიტრალებლად, მის მიერ მოწოდებული ფინანსური ინფორმაციის გადამოწმდება ხდება საქართველოს შემოსავლების სამსახურში, რადგან ყველა სამეწარმეო–ეკონომიკურ სუბიექტს მოეთხოვება ანგარიშგება შემოსავლების სამსახურის წინაშე. ასევე ხდება კლიენტების საბანკო ამონაწერების ანალიზი. • მკაცრი ფორმალური დამტკიცების პროცესი და კომპანიის პროცედურები, შიდა გადამოწმების ინსტრუმენტებთან ერთად, ახდენენ თანამშრომელთა რისკის შემცირებას. • კლიენტისათვის სალიზინგო აქტივის გამოსაყენებლად გადაცემამდე ხდება მისი დაზღვევა კომპანიაში აქტივის მიწოდების პირველივე დღეს. აქტივის მდგომარეობის ყოველწლიური მონიტორინგი კომპანიის მიერ ხორციელდება და როდესაც ამის საშუალება არსებობს – აქტივის შეძენა ხდება მწარმოებლის გარანტიით და გეგმიური შეკეთების პროგრამით. • კომპანიას, როგორც სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის შემადგენელი ნაწილს, მოეთხოვება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება. აუდიტო-რად შეირჩევა დიდი ოთხეულის წევრი. კომპანიას ასევე სისტემატიურად აკონტროლ-ებს ბანკის შიდა აუდიტისა და საგადასახადო დეპარტამენტები. ზედამხედველობას ირიბად ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რადგან კომპანია არის საქართველოს ეროვ-ნული ბანკის მიერ რეგულირებული „საქართვ-ელოს ბანკის“ 100%–იან მფლობელობაში.
ძირითადი პერსონალის რისკი - კომპანია დამოკიდებულია მის ძირითად თანამშრომლებსა და კვალიფიციურ პერსონალზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანი თანამშრომლის მიერ ორგანიზაციის დატოვებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მუშაობაზე, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც. კომპანიის ძირითადი და გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლები არიან აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი და უფროსი იურისტი.	კომპანიას აქვს კარგად დოკუმენტირებული, სტანდარტიზებული პროცესები და პროცე-დურები. ის გამყარებულია სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფით, რაც მინიმუმამდე ამცირებს ადამიანური ჩარევის ფაქტორს. ამასთანავე, შრომის ანაზღაურების სისტემა, კადრების გადამზადება, პრემირების სისტემა და სხვა სარგო ისეა აწყობილი, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კადრების ლოიალობა და არ მოხდეს პროგნოზირებად მომავალში მისი ძირითადი ხელმძღვანელი კადრების გადინება.

მენეჯმენტი და თანამშრომლები

მიმოხილვა

კომპანიის მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება (**„პარტნიორთა საერთო კრება“**). პარტნიორთა საერთო კრება ნიშნავს კომპანიის დირექტორს (მთავარ აღმასრულებელ პირს), რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ყოველდღიურ საქმიანობაზე და რომელსაც აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

პარტნიორთა საერთო კრება

პარტნიორთა საერთო კრება კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა. საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების თანახმად ის უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად შემდეგ თემებზე:

- წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- კაპიტალის გაზრდა;
- კომპანიის შერწყმა, დაყოფა ან გარდაქმნა სხვა იურიდიულ პირად;
- წლიური ანგარიშების დამტკიცება;
- დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;
- დირექტორის ანგარიშების დამტკიცება;
- უძრავი ქონების შეძენა, გაყიდვა ან ვალდებულებით დატვირთვა;
- აქციების/წილის შეძენა და გაყიდვა კომპანიებში და მათი ლიკვიდაცია;
- ინვესტიციების განხორციელება (გარდა კომპანიის მიერ მიმდიანრე ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორცილებული ინვესტიციებისა), რომელიც კომპანიის წინა წლის საბალანსო ღირებულების 10%–ს აღემატება;
- ისეთი კრედიტების აღება, რომლის ოდენობა აღემადება პარტნიორების მიერ განსაზღვრულ ლიმიტს ან ისეთი კრედიტების გაცემა, რომლის სცილდება კომპანიის ჩვეულ საქმიანობას;
- სხვა საკითხები, რომლებიც კანონით და წესდებით საერთო კრების კომპეტენციას მიეკუთვნება.

წესდების თანახმად, პარტნიორთა საერთო კრება შეიძლება მოწვეული იყოს საჭიროებისამებრ, მაგრამ მინიმუმ ყოველ კვარტალში ერთხელ. პარტნიორებმა, რომლებიც ფლობენ კომპანიის წილის მინიმუმ 5%–ს, შეიძლება მოსთხოვოს დირექტორს საერთო კრების მოწვევა (ამჟამად ერთი პარტნიორი – სს „საქართველოს ბანკი“ ფლობს წილის 100%–ს). დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს საერთო კრება თუ ეს კომპანიის ინტერესებშია, ან თუ მოსალოდნელია, რომ კომპანიამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

საერთო კრება გადაწყვეტლებაუნარიანია თუ მას ესწრებიან წილის 50%–ზე მეტის მფლობელი პარტნიორები. საერთო კრებებზე გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა გადაწყვეტილებებისა წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც საერთო კრებაზე ხმათა მინიმუმ 2/3 ესაჭიროება. წესდების თანახმად, ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობაც სცილდება კომპანიის ჩვეულ საქმიანობას, უნდა დაამტკიცოს კომპანიის ყველა პარტნიორის მონაწილეობით შემდგარმა საერთო კრებამ.

დირექტორი

კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე. დირექტორი განუსაზღვრელი ვადით ინიშნება პარტნიორთა საერთო კრების მიერ და ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე. დირექტორს არ შეუძლია განახორციელოს ისეთ საქმიანობა, რაც კომპანიის საქმიანობის მსგავსია ან მონაწილეობა მიიღოს დირექტორის ან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით სხვა კომპანიაში საერთო კრების წინასწარი თანხმობის გარეშე.

დირექტორის პასუხისმგებლობის სფეროში შედის შემდეგი:

- კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელება;
- წლიურ ანგარიშების მომზადება;
- კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკის შესაბამის კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- საერთო კრებისადმი სისტემატიური ანგარიშგება შემდეგ საკითხებზე: კომპანიის მიმდინარე საქმიანობა, ბიზნეს პოლიტიკა და სამომავლო პერსპექტივები.

ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანიის მენეჯმენტი ამჟამად მოიცავს დირექტორს/მთავარ აღმასრულებელ პირს და ქვემოთ ჩამოთვლილ სხვა ხელმძღვანელ პირებს:

სახელი, გვარი	დაკავებული თანამდებობა	საკონტრაქტო პირობები/ხელახალი დანიშვნა
თინათინ გოზეჯიშვილი	დირექტორი	დანიშნულია ერთი წლით, კონტრაქტის ავტომატური განახლებით
ნატო მელიწკაური	მთავარი ფინანსური ოფიცერი (CFO)	დანიშნულია უვადოდ
თეიმურაზ გაბრიაძე	მთავარი იურისტი	დანიშნულია უვადოდ

დირექტორი: ქ–ნი თინათინ გოზეჯიშვილი

თინათინ გოზეჯიშვილი კომპანიის დირექტორად დაინიშნა 2008 წლის აპრილს. მანამდე მან მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღო ფინანსური მომსახურების სფეროში: „საქართველოს ბანკში“ და ქვეყნის ოთხ სხვა მსხვილ ბანკში იმსახურა 12 წლის განმავლობაში. მისი გამოცდილება საბანკო სექტორში მოიცავდა ფუნქციებს კორპორატიულ საბანკო, კერძო საბანკო, ფინანსურ და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარამენტებში. მას ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს ევროპის მართვის სკოლიდან (ESM) ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. მას ასევე გავლილი აქვს სპეციალიზირებული განათლება ლიზინგის საკითხებში და მართვაში.

სხვა ხელმძღვანელი პირები

ფინანსური დირექტორი: ქ–ნი ნატო მელიწკაური

ნატო მელიწკაური კომპანიის ფინანსური დირექტორია 2008 წლიდან. კომპანიაში მას ასევე უმუშავია მთავარი ბუღალტრის რანგში 2004-2008 წლებში. 2004 წელს კომპანიაში მუშაობის დაწყებამდე ნატო მელიწკაური 1 წლის განმავლობაში მუშაობდა აუდიტის სფეროში, ხოლო მანამდე 6 წლის განმავლობაში იყო სამშენებლო კომპანიის მთავარი ბუღალტერი. მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ბაკალავრის ხარისხი აქვს მიღებული ფინანსებსა და საბანკო საქმეში. მას აგრეთვე გავლილი აქვს რამდენიმე სპეციალიზირებული კურსი საგადასახადო კოდექსის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ფინანსური მართვის სფეროებში.

მთავარი იურისტი: ბ–ნი თეიმურაზ გაბრიაძე

თეიმურაზ გაბრიაძე 2013 წლიდან არის კომპანიის მთავარი იურისტი. მას გააჩნია როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება. ჯამში მისი სამუშაო გამოცდილება 7 წელს ითვლის ამ სფეროში. მას ბაკალავრის ხარისხი აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამართლის სფეროში, ხოლო მაგისტრის ხარისხი – გერმანიის სპეიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივესტიტეტიდან სამართლისა და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში.

თანამშრომლები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა 15 მუდმივი თანამშრომელი. წინამდებარე პროსპექტუსის თარიღისათვის კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა არის 18.

კომპანია დიდი ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. კომპანიის თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა გაირაონ კურსები სპეციალიზირებულ ცენტრებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კომპანიას მოეთხოვება მოახდინოს თანამშრომელთა დარიცხული ანაზღაურებიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება 20%-ის ოდენობით.

შრომის ანაზღაურება და სამსახურეობრივი სარგო

კომპანიის თანამშრომლების შრომის ანაზღაურება იყოფა ფიქსირებულ ხელფასად და წლიური მუშაობის მიხედვით გამოთვლილ პრემიად. საერთო ჯამში, კონკურენტებთან შედარებით კომპანია ძალზედ კონკურენტულ შრომის ანაზღაურებისა და სამსახურეობრივი სარგოს პირობებს სთავაზობს თავის თანამშრომლებს.

პრემირების სისტემა: ლიზინგის მენეჯერები პრემიებს იღებენ რაოდენობრივი ფორმულის მიხედვით. კერძოდ, პრემიის ოდენობა გამოითვლება შემდეგი მაჩვენებლების საფუძველზე: პორტფელის ზომა, შემოსავლებისა და საკომისიოს ოდენობა, პორტფელის ხარისხი (ვადაგადაცილებების დონე). სხვა თანამშრომლების პრემიები გამოითვლება ხარისხობრივი მიდგომის საფუძველზე. პრემიების შესახებ გადაწყვეტილებას კომპანიის გენერალური დირექტორი იღებს პარტნიორთან შეთანხმებით. გარკვეულ თანამშრომელთა პრემიის ნაწილი ექვემდებარება გადავადებას, კერძოდ: პრემიის 25% (უფროსი მენეჯერების და ზოგიერთი სხვა თანამშრომლებისათვის) და 35% (დირექტორისათვის) განთავსებული უნდა იქნეს 1 წლიან ვადიან დეპოზიტზე ან გამოყენებული იქნეს „საქართველოს ბანკის ჰოლდინგის“ (Bank of Georgia Holdings Plc.) ან სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის სხვა წევრების ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების შესაძენად. ამგვარი ფასიანი ქაღალდების გასხვისების ვადისთვის შესაძლოა დაწესებული იქნეს გარკვეული შეზღუდვები.

სამსახურეობრივი სარგებელი:

- ყველა თანამშრომელი კომპანიის მიერ დაზღვეულია და დამსაქმებელი ამ მიზნით თითოეულ პირზე 20 ლარის ხარჯს გასწევს ყოველთვიურად;
- ყველა თანამშრომელი ჩართულია საპენსიო სისტემაში და კომპანია თითოეულ თანამშრომელს უხდის მთლიანი ხელფასის 1%–ს საპენსიო ფონდში;
- დაოჯახების, შვილის შეძენის, ავადმყოფობის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თანამშრომელი იღებს 500 ლარს,
- კოლექტივის პროფესიული განვითარების მიზნით კადრების გადამზადება ხორციელდება და ამ მიზნით დაახლოებით 600 ლარი იხარჯება ყოველწლიურად თითო თანამშრომელზე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ხელფასების ჯამური რაოდენობა და სხვა სამსახურებრივი სარგო 2012 და 2013 წლების განმავლობაში:

	2012 წელი	
	ლარში *(აუდირებული)*	*აშშ დოლარებში* *(არა აუდირებული)*
შრომის ანაზღაურება და სამსახურეობრივი სარგო...............	543,212	329,020

	2013 წელი	
	ლარში (აუდირებული)	*აშშ დოლარებში (არა აუდირებული)*
შრომის ანაზღაურება და სამსახურეობრივი სარგო	588,579	353,926

სამართლებრივი დავები

წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის დირექტორი ან უფროსი ხელმძღვანელი პირი მინიმუმ ბოლო ხუთი წლის მანძილზე:

- არ ყოფილა ნასამართლევი თაღლითური საქმიანობასთვის;
- არ ყოფილა რომელიმე კომპანიის აღმასრულებელი თანამდებობაზე უფროსი ხელმძღვანელი პირის ან ადმინისტრაციული მართვის რგოლის ან სამეთვალყურეო საბჭო წევრის სახით ამგვარი კომპანიის გაკოტრების, აქტივების მიღების ან ლიკვიდაციის საქმის წარმოებისას;
- არ მოქცეულა რაიმე ოფიციალური ბრალდების და/ან სანქციის ქვეშ სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს (მათ შორის დანიშნული პროფესიული ორგანოს) მხრიდან და არც ოდესმე ყოფილა დისკვალიფიცირებული სასამართლოს მიერ რომელიმე კომპანიის ადმინისტრაციული, ხელმძღვანელი ან საზედამხედველო საბჭოს თანამდებობის დაკავებიდან ან კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული მართვის ან საქმიანობის ფარგლებში.

გარიგებები აქციონერებისა და დაკავშირებული პირების მონაწილეობით

აქციონერები

სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ 204378869) არის კომპანიის 100% წილის მფლობელი პარტნიორი.

გარიგებები დაკავშირებული პირების მონაწილეობით

საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში კომპანია წარსულშიც და ამჟამადაც მონაწილეობს ოპერაციებში დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარეები სხვა პირთა შორის მოიცავს შემდეგ პირებს: აქციონერებს/პარტნიორებს, ყველა ხელმძღვანელ პირს, აფილირებულ კომპანიებს და ამგვარი აფილირებული კომპანიების ზოგიერთ აქციონერს. მხარე ასევე მიიჩნევა დაკავშირებულად, თუ მას შეუძლია გააკონტროლოს სხვა მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები საერთო კონტროლს ექვემდებარებიან.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია ხდება „ანგარიშვალდებული საწარმო“ ფასიანი ქაღალდების კანონის მიზნებისათვის. ფასიანი ქაღალდების კანონი აწესებს სხვადასხვა თანხმობის მოპოვებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ დადებული გარიგებებისათვის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ორგანოების წევრებთან ან ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელ აქციონერთან, რომლებიც ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის შესაბამისად მიიჩნევიან დაინტერესებულ პირებად. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მიხედვით, სავალდებულოა რომ სამეთვალყურეო საბჭომ ან პარტნიორთა საერთო კრებამ (კომპეტენციის შესაბამისად) დაამტკიცოს გარიგება დაინტერესებულ პირებთან. თუ გარიგების ღირებულება აღემატებს კომპანიის აქტივების 10%-ს ამგარი გარიგება უნდა დამტკიცდეს საერთო კრების მიერ. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება ტრანზაქციებზე, რომლებიც დადებულია კომპანიასა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს შორის ან კომპანიასა და 100% წილის მფლობელ პარტნიორს შორის. შესაბამისად, ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანიის საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს ყველა გარიგება დაინტერესებულ პირებთან, გარდა გარიგებებისა მისი 100% წილის მფლობელ პარტნიორ - სს „საქართველოს ბანკთან“. კომპანია აპირებს ყველა დაკავშირებულ პირთან ოპერაციების საბაზრო პირობებით და ფასებით განხორციელებას.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების მოცულობები, საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი, დაკავშირებული მხარეების ხარჯები და შემოსავლები მითითებულ პერიოდებში ლარებში.

	2013		2012	
	დამფუძნებელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	დამფუძნე-ბელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	2,660,651	-
მთლიანი მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	*2,162*
გაუფასურების რეზერვის გამოკლება 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	*(39)*
წმინდა მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	2,123
ლიზინგიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები	-	39	-	4,219
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო აქტივებიდან	168,766	-	153,098	-
საკომისიო შემოსავლები	-	13,671	-	3,515
გარანტიებიდან მიღებული შემოსავლები	1,009,233		2,660,651	-
საიჯარო ხარჯი	12,002	8,860	13,121	-

საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხები 1 იანვრის მდგომარეობით	*59,713,314*	*-*	*53,908,443*	*-*
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	*9,542,914*	*-*	*12,285,496*	*-*
წლის განმავლობაში გასტუმრებული სესხები	*(51,795,444)*	*-*	*(6,480,625)*	*-*
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გადასახდელი თანხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,460,784	-	59,713,314	-
საკრედიტო ინსტიტუტებისადმი გაწეული საპროცენტო ხარჯები	3,720,405	-	4,815,088	-
მომწოდებლებისადმი მართებული თანხა 1 იანვრის მდგომარეობით	*-*	*299,082*	*-*	*156,008*
წლის განმავლობაში წარმოქმნილი	*-*	*655,644*	*-*	*795,158*
წლის განმავლობაში გასტუმრებული	*-*	*(747,523)*	*-*	*(652,084)*
მომწოდებლებისადმი მართებული თანხა 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	207,203	-	299,082

შენიშვნა: საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები მოიცავს „საქართველოს ბანკის ჰოლდინგის“ (Bank of Georgia Holdings Plc.) *ჯგუფის წევრებს.*

წყარო: კომპანიის მონაცემები

ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი, განთავსების აგენტი, ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი და რეგისტრატორი წარმოადგენენ დაკავშირებულ პირებს. ამასთანავე, ზემოაღნიშნული დაკავშირებული პირების მმართველი ორგანოების (დირექტორატის/სამეთვალყურეო საბჭოს) წევრები შესაძლოა წარმოადგენდნენ მმართველი ორგანოების წევრებს სხვა პირებში. მიუხედავად იმისა, რომ დაკავშირებულ პირებთან ობლიგაციების ამ ემისიასთან დაკავშირებით გარიგებების დამტკიცებისას/დადებისას, შესაბამისი პირები (და მათი მმართველი ორგანოების წევრები) ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში) და ყველა გარიგება დადებულია საბაზრო პირობებით იმგვარად, რომ ჯგუფის რომელიმე წევრისათვის არ მოხდეს არასაბაზრო, შეღავათიანი პირობების დაწესება, აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოადგენდეს დამატებით რისკ ფაქტორს.

<u>ობლიგაციების გამოშვების პირობები</u>

კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების მიერ 2014 წლის 15 აგვისტოს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჯამური 10,000,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე არაუმეტეს 8.75 პროცენტიანი ობლიგაციების გამოშვების შესახებ. ობლიგაციების დაფარვის ვადად განისაზღვრა 2017 წლის 22 სექტემბერი. ობლიგაციების პირობები და „ობლიგაციონერთა" უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე პროსპექტით, მათ შორის, წინამდებარე „*ობლიგაციების გამოშვების პირობებით*" (შემდგომში - **„ობლიგაციების გამოშვების პირობები"** ან **„პირობები"**) და ემიტენტსა და შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორებს", როგორც ობლიგაციონერების წარმომადგენელს (**„ობლიგაციონერების წარმომადგენელი"**) შორის ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ 2014 წლის 18 აგვისტოს ხელშეკრულებით (შემდგომში **„ხელშეკრულება"**). გარდა პროსპექტის სხვა თავებში (მათ შორის, „*შეთავაზების ძირითად პირობებში*") აღწერილი ობლიგაციების გამოშვების პირობებისა, მოცემულ თავში - „*ობლიგაციების გამოშვების პირობები*" - ასევე აღწერილია გარკვეული დამატებითი პირობები, რაც ასევე ასახულია „ხელშეკრულებაში".

ზემოაღნიშნული „ხელშეკრულება" ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის გასაცნობად "ობლიგაციონერების წარმომადგენლის" ოფისში: შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები", საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28, და ემიტენტის ოფისში: საქართველო, თბილისი 0179, ტატიშვილის ქ. N3/5, სამუშაო საათების განმავლობაში. წინამდებარე პროსპექტის (მათ შორის, „*პირობების*") გარდა, „ობლიგაციონერებს" (ამ ტერმინის ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობით) და ობლიგაციების "ნომინალურ მფლობელებს" (თუ და როდესაც ეს გათვალისწინებულია პროსპექტით, მათ შორის „პირობებით") უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობათ ასევე „ხელშეკრულების" საფუძველზე და იგულისხმება, რომ „ობლიგაციონერები" (და პროსპექტით, მათ შორის, „პირობებით" გათვალისწინებულ შემთხვევაში, ობლიგაციების "ნომინალურ მფლობელები") ექვემდებარებიან „ხელშეკრულების" შესაბამის პირობებს და ამგვარი პირობები ვრცელდება და მოქმედებს მათთან მიმართებაში. ობლიგაცი(ებ)ის შეძენით თითოეული „ობლიგაციონერი" თანხმობას აცხადებს, რომ წინამდებარე „პირობების" მე-5 პუნქტი და „ხელშეკრულების" მე-6 მუხლით გათვალისწინებული დათქმები („დათქმები") და მათი შესრულებიდან, არაჯეროვანი შესრულებიდან ან შეუსრულებლობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები მის სასარგებლოდ გავცრელდება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" „პირობების" 4(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად ანიჭებს მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილებას. შესაბამისად, არც „ობლიგაციონერი" და არც „ნომინალური მფლობელი" არ არის უფლებამოსილი, „დათქმების" დარღვევის შემთხვევაში, უშუალოდ თვითონ იმოქმედოს ემიტენტის წინააღმდეგ. „დათქმების" დარღვევასთან დაკავშირებით ემიტენტის წინააღმდეგ მოქმედების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს", გარდა „პირობების" მე–12 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

ობლიგაციები გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი.

საკუთრების უფლება ობლიგაციებზე დასტურება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში (**„ფასიანი ქაღალდების რეესტრი"**), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს ემიტენტი „*შეთავაზების ძირითად პირობებში*" მითითებული რეგისტრატორის მეშვეობით ემიტენტსა და „რეგისტრატორს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და/ან (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომელსაც აწარმოებს ობლიგაციების ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი". „ფასიანი ქაღალდების რეესტრი" და (ii) პუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში მოიხსენიება როგორც „რეესტრი".

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

ობლიგაციების შეთავაზებას ემიტენტის სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს განთავსების აგენტი. საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, ობლიგაციებით დაინტერესების

მიზნით, განთავსების აგენტს ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დააგზავნონ დამტკიცებული პროსპექტი პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ემიტენტი მოახდენს ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ემიტენტი გამოაქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, მიაწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ზმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ ასლს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) დადგინდა ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი, დამტკიცებულ წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფარგლებში და აისახა საბოლოო პროსპექტში. ამასთან, წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებდა მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ განთავსების აგენტი განაცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას ობლიგაციებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და ობლიგაციების ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების დასრულების შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა (**„ხელმომწერი ინვესტორები“**) განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, ექნება გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებულნი არიან შესაბამისი ოდენობის ობლიგაციების შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას განთავსების აგენტთან. ამავე ანგარიშზე მოხდება „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ შესყიდული ობლიგაციების მიწოდება ემიტენტის მიერ „გამოშვებისა და განთავსების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, განთავსების აგენტს შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ხელმომწერ ინვესტორს“ ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად განთავსების აგენტთან გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს ემიტენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განთავსების აგენტთან. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციების მიწოდება

„ხელმომწერი ინვესტორისათვის“ მოხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

ემიტენტი ან/და განთავსების აგენტი უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით, დაადგინოს შეღავათები ვადებზე ან პირობებზე პოტენციური ინვესტორებისათვის (მათ შორის, „ხელმომწერი ინვესტორებისათვის“).

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს სხვა “ნომინალურ მფლობელთან” გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან “რეგისტრატორში” ჩანაწერის სახით.

(ბ) **საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა**

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (საჯარო შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“) ემიტენტი გადაწყვეტს შეცვალოს ობლიგაციების შესახებ არსებითი ინფორმაცია, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების ოდენობა, ფასი, შეთავაზების ვადა და სხვა, იგი მიმართავს შემდეგ პროცედურას:

(i) წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს პროსპექტში შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;

(ii) აქვეყნებს შეტყობინებას ემიტენტის ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით, სადაც ასევე მიუთითებს დეტალებს შეცვლილი ინფორმაციის შესახებ; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და ახორციელებს შეთავაზებას მითითებულ თარიღამდე ობლიგაციების გაყიდვაზე ყველა ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე;

(iii) განუსაზღვრავს ინვესტორებს არანაკლებ 10 დღის ვადას გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც უფლებამოსილია განახორციელოს შეცვლილი საჯარო შეთავაზება.

თუ პროსპექტში შესწორება შედის ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, ობლიგაციების შემძენ ინვესტორებს უფლება ეძლევათ უარი განაცხადონ შესყიდულ ობლიგაციებზე და მოითხოვონ მათი დაუყოვნებლივ განაღდება ნომინალურ ღირებულებისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამის ფასად. ინვესტორები (“ობლიგაციონერები“), რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ობლიგაციებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ პროსპექტში მითითებული სხვა არაარსებითი ინფორმაცია საჯარო შეთავაზების პროცესში შეიცვალა, ემიტენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ ახალი ინფორმაციის (ცვლილების) ამსახველი დოკუმენტი, ვიდრე მოცემულ ცვლილებას პროსპექტში შეიტანდეს ეროვნული ბანკის წესებით დადგენილი პროცედურის მიხედვით.

(გ) **ობლიგაციების გასხვისება**

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ობლიგაცი(ებ)ზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“. ობლიგაციების განთავსების შემდგომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 ოქტომბრისა, ემიტენტი მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

3. სტატუსი

ობლიგაციები წარმოადგენს ემიტენტის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. ობლიგაციებს ექნებათ იდენტური სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. ობლიგაციებთან დაკავშირებული და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ემიტენტისადმი მოთხოვნები ყოველთვის იქნება ემიტენტის სხვა დანარჩენი

არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნების თანაბარი გადახდევინების ნაწილში („პირობების“ 5(ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებით), გარდა იმგვარი მოთხოვნებისა, რომელთაც კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების შესაბამისად გააჩიათ უპირატესობა.

4. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დანიშვნა

(ა) ობლიგაციების შეძენით (პირველადი განთავსებისას, ან მეორად ბაზარზე შეძენისას) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ ობლიგაციებთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რაც რეგულირდება წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტით და „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით, თავის წარმომადგენლად ნიშნავს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომელსაც ენიჭება (რაიმე წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, თუ ამგვარი თანხმობის მიღება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული „პირობებით“, „ხელშეკრულებით“ ან/და კანონმდებლობით) თითოეული „ობლიგაციონერისა“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ სახელით მოქმედების უფლებამოსილება ამ „ობლიგაციონერებისა“ და/ან „ნომინალური მფლობელების“ მფლობელობაში არსებულ ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი საქმის წარმოებისას.

(ბ) თითოეულმა „ობლიგაციონერმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერი ისეთი დოკუმენტაცია, მათ შორის, წერილობითი მინდობილობა („ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით), რომელიც ამ უკანასკნელს აუცილებლად მიაჩნია „პირობებით“ და/ან „ხელშეკრულებით“ დაკისრებული უფლებებისა და/ან ვალდებულებების შესასრულებლად და „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად პროსპექტისა (მათ შორის, „პირობების“) და „ხელშეკრულების“ შესაბამისად. „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ არ გააჩნია ვალდებულება წარმოადგინოს ის „ობლიგაციონერი“, რომელიც (ან რომლის „ნომინალური მფლობელიც“) არ შეასრულებს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

(გ) „ობლიგაციონერი“ (ან მისი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელი“) უფლებამოსილია პირდაპირ (უშუალოდ) იმოქმედოს ემიტენტის წინააღმდეგ ემიტენტის მიერ „პირობების“ 7(ა) ქვე-პუნქტის (და ასევე „ხელშეკრულების“ 2.2 პუნქტის) შესაბამისად ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულების და/ან „პირობების“ 8(ა)(ii) ქვე-პუნქტის (და ასევე „ხელშეკრულების“ 2.2 პუნქტის) შესაბამისად პროცენტის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ან „პირობების“ მე-12 პუნქტის შესაბამისად.

5. დათქმები

(ა) **შეზღუდვა აქტივების განკარგვაზე**: ობლიგაციების განაღდებამდე ემტიტენტმა არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ მოახდინონ მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე “უზრუნველყოფის ღონისძიების” (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფებისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აკრძალვა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ემიტენტის ვალდებულებებს ამავდროულად (ან მანამდე) გააჩნიათ ამგვარი სხვა „ვალდებულების“ თანაბარი / იდენტური უზრუნველყოფები, ან სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი „ობლიგაციონერების წრმოამდგენლისათვის“ მისაღები ან „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ მოწონებული სხვა უზრუნველყოფის საშუალებებით და პირობებით.

(ბ) **საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა**:

(i) ემიტენტმა უნდა მიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „მნიშვნელოვანი შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვე-პუნქტით („*შერწყმა*“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(ii) ემიტენტმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა ობლიგაციებითა და „ხელშეკრულებით" ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებასათვის და საქართველოში ობლიგაციებისა და „ხელშეკრულების" ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) **შერწყმა**: „ობლიგაციონერების წარმომადგენლის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ემიტენტმა არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი" ან ქონების მიმღები (შემდგომში **„სამართალმემკვიდრე"**) არის კვლავ ემიტენტი, ან თუ ამგვარი „პირი" არ არის ემიტენტი, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე" ცალსახად გადაიკისრებს ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე ყველა უფლებას და ვალდებულებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის" მისაღები ფორმითა და პირობებით,

(ბ) „სამართალმემკვიდრე" (თუ ის არ არის ემიტენტი) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს ემიტენტის უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა" ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა" არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს არსებითად საზიანო შედეგს.

(დ) **გასხვისება**: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი დათქმაა გათვალისწინებული წინამდებარე „პირობებში", და „პირობების" 5(გ) პუნქტის („შერწყმა") და 5(ე) პუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები") დებულებების შეუზღუდავად, ემიტენტი არც თავად და არც რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის" საშუალებით არ გაყიდის, გაასხვისებს, იჯარით გასცემს ან სხვაგვარად განკარგავს მისი აქტივებს ან შემოსავლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით ემიტენტის ან მისი „შვილობილის" გარდა სხვა რომელიმე „პირზე". აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც

(დ.1) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით" და საბაზრო პირობებით; და

(დ.2) ნებისმიერი იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, როდესაც ხდება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის" „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის" კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების ან შემოსავლების 10 პროცენტზე მეტის გასხვისება, გასხვისებამდე ემიტენტი ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის" წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორცილდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით".

წინამდებარე პუნქტი 5(დ) არ შეეხება (i) ტრანზაქციებს ემიტენტსა და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს" შორის, (ii) ნებისმიერი იმ აქტივის ან ქონების (მათ შორის ფულის და ფასიანი ქაღალდების) ნებისმიერ გადაცემას, იჯარას, გასხვისებას ან სხვა ფორმით განკარგვას, რომელიც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას", (iii) მისი სასაქონლო მარაგებიდან ქონების ლიზინგით გაცემა, გაყიდვა ან სხვაგვარი განკარგვა ჩვეულებრივი სალიზინგო საქმიანობის პროცესში, ან (iv) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით

გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და „ნებადართული უზრუნველყოფის“ განმარტების (ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად დატვირთული აქტივებისა და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 25 პროცენტს.

(ე) **აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები**

(i) არც ემიტენტი და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განახორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“), მათ შორის, „ჯგუფის“ შიდა სესხების გაცემას/მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) არ არის ნაკლებად ხელსაყრელი ემიტენტისთვის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებითა“ და პირობებით განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არიან ემიტენტთან ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(ii) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ჯგუფის მთლიანი აქტივების 5 პროცენტს, ემიტენტმა აღნიშნული ტრანზაქციის განხორციელებამდე „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ ტრანზაქცია განხორცილდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და პირობებით.

(iii) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (i) და (ii) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) ემიტენტსა და მის 100%-იან „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც ემიტენტთან სხვაგვარად ასოცირებულნი არ არიან;

(დ) ემიტენტის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან ემიტენტისათვის სალიზინგო საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება, რომელიც მიღებულია საბაზრო პირობებით; და

(ე) ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულება „აფილირებულ პირებთან“, რომელიც დადებულია ემიტენტის სალიზინგო საქმიანობის ან აქტივების დასაზღვევად საბაზრო პირობებით.

(ვ) **გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები**: ემიტენტმა და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ (შემოსავალზე, მოგებაზე, ქონებაზე და ა.შ.), იმ პირობით, რომ ემიტენტს ან მისი „მნიშვნელოვან შვილობილს“ ამ პროსპექტის მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების“ გადაუხდელობაზე, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული სამართლებრივი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადექვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი „გადასახადების“ თანხა, სხვა დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავსი მოთხოვნებთან ერთად არ აღემატება 500,000 აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს).

(ზ) **„აკრძალული გადახდები“**: ემიტენტმა არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ არ) (ზ.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან

მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით), გარდა ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვგვაგვარად მოახდინოს საკუთარი სააქციო კაპიტალის ან აქციების შეძენა, სუბორდინირებული სესხის დაბრუნების ვადამდე (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ, ემიტენტის „შვილობილი კომპანიისათვის“. ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია პუნქტებით (ზ.1) ან (ზ.2) მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:

(i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“;

(ii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და 2013 წლის 31 დეკემბრის შემდგომ განხორციელებულ ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

(ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50 პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2013 წლის 31 დეკემბერს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და

(ბ) ემიტენტის მიერ 2013 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში ემიტენტის ნებისმიერი „ვალდებულების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(თ) **„ვალდებულება“**: ემიტენტი არ დაუშვებს, რომ რომელიმე მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დაიკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ანს სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „ვალდებულებაზე“, გარდა:

(i) ემიტენტისადმი ან მისი 100%-იანი „შვილობილისადმი“ არსებული ნებისმიერი „ვალდებულებისა“; და

(ii) ნებისმიერი „ვალდებულებისა“, რომელიც წარმოიქმნება ნებისმიერი „შვილობილის“ საქმიანობის დაფინანსების მიზნით, იმ პირობით, რომ ამ (ii) ქვეპუნქტით ნებადართული „ვალდებულების“ საერთო ძირი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 20 პროცენტს.

(ი) **ფინანსური ინფორმაცია**:

(i) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას ფინანსური წლის დასრულებიდან 120 დღის ვადაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს და ემიტენტის ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ფინანსური წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი „აუდიტორის“ ანგარიშთან ერთად, რომელიც მომზადებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

(ii) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 60 დღის ვადაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს და ემიტენტის ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ექვსი თვის არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი, რომელიც მომზადებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

(iii) თუ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, გაუჩნდება გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მას შეუძლია ემიტენტისაგან მოითხოვოს, და ემიტენტი ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ თაობაზე ამგვარი ინფორმაცია შეიძლება ასევე წერილობითი სახით იქნეს მოთხოვნილი ობლიგაციების საერთო მოცულობის 25%-ზე მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ (პირდაპირ ან

„ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) და ასეთ შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, და იმ „ობლიგაციონერებს“ და „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარმოადგინეს ამგვარი წერილობითი მოთხოვნა. წერილობით მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(კ) **დაზღვევა**: ემიტენტი უზრუნველყოფს თავისი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ ქონების დაზღვევას ემიტენტისა და შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ შეხედულებით კარგი რეპუტაციის მქონე მზღვეველებთან დაზიანებისა და განადგურების რისკისაგან იმ ფარგლებში, რომელშიც ჩვეულებრივ ახდენენ დაზღვევას მსგავსი ქონებისა და მდგომარეობის მქონე კომპანიები საქართველოში.

(ლ) **კანონთან შესაბამისობა**: ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

(მ) **საქმიანობის ცვლილება**: ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „გამოშვების და განთავსების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

6. საპროცენტო სარგებელი

ობლიგაციას ერიცხება საპროცენტო სარგებელი „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ „*შეთავაზების ძირითად პირობებში*“ (იხ. გვ. 1) მითითებული ფარგლებში. ამასთან, საბოლოო საპროცენტო სარგებლის დადგენა მოხდება პროსპექტის ამ თავის („*ობლიგაციების გამოშვების პირობების*“) მე-2 მუხლის (ა) პუნქტში („*ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა*“) მითითებული წესით, რაც აისახება საბოლოო პროსპექტში. დარიცხული საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება წელიწადში ორჯერ ყოველი წლის 22 სექტემბერსა და 22 მარტს (შემდგომში „პროცენტის გადახდის თარიღი“). პირველი გადახდა მოხდება 2015 წლის 22 მარტს. ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება მათი დაფარვის / გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარი ობლიგაციაზე გადასახდელი თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ პროცენტის დათვლა ხდება ერთ სრულ წელიწადზე ნაკლები პერიოდისთვის, ან „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე.

პერიოდი ობლიგაციების „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

(ა) **საბოლოო განაღდება**: თუ ობლიგაციები მანამდე არ იქნა განაღდებული, გამოსყიდული ან გაუქმებული, ობლიგაციების განაღდება მოხდება 2017 წლის 22 სექტემბერს ძირი თანხის (ნომინალის) გადახდით. დაუშვებელია ობლიგაციების განაღდება ემიტენტის შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია პროსპექტში (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) **გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით**: ემიტენტის შეხედულებით, ობლიგაციების ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის

დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ზ.1) შეტყობინების გაგზავნამდე ემიტენტი დაარწმუნებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომ მას უწევს, ან მოუწევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ზ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(გ) **შეძენა**: ემიტენტს და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ ობლიგაციები ნებისმიერ ფასად საფონდო ბაზარზე ან სხვაგვარად. ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ საკუთრებაში არსებული ამგვარი ობლიგაციები არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღებიან მხედველობაში „პირობების“ 11.(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენის მიზნით.

8. გადახდები

(ა) **ანგარიშსწორება:**

(i) ობლიგაციების ძირითადი თანისა და პროცენტის გადახდა მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე, 18.00 სთ-ის მდგომარეობით („სააღრიცხვო თარიღი“) „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარებში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველჰყონ „რეგისტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც ემიტენტი, „რეგისტრატორი“ და არც „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველჰყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელ აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის აშშ დოლარში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, ემიტენტი ვალდებულია ასეთი ნაკლული თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(iv) ემიტენტის ან/და „რეგისტრატორის“ მოთხოვნით, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამის გადახდის თარიღამდე ობლიგაციებით მეორადი ვაჭრობა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) **აგენტების დანიშვნა**: „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“, “განთავსების აგენტი” და „რეგისტრატორი“, ისევე როგორც მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და პროსპექტის ბოლოს. „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“, “განთავსების აგენტი” და “რეგისტრატორი” წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ემიტენტის აგენტებს და ამ პროსპექტის და შეთავაზების მიზნებისათვის, არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ემიტენტი იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ თანხმობით შეცვალოს ან შეწყვიტოს „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტთან“, “განთავსების აგენტთან” ან/და „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება, და

დანიშნოს დამატებითი ან სხვა „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“, “განთავსების აგენტი” და „რეგისტრატორი“. ამასთან ემიტენტს ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს (i) „ანგარიშსწორების და ძირითადი გადამხდელი აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დასტურით.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ ემიტენტის ვებ-გვერდზე ამ ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) **გაანგარიშება და გადახდა**: ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის“ მიერ. ამასთან, „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას ემიტენტისათვის. „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დრით ადრე და ეცნობება ემიტენტს. ემიტენტი ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე ერთი სამუშაო დღით ადრე „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები აშშ დოლარებში და მისცეს დავალება „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, ემიტენტის ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ობლიგაციებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარი თანხების არ არსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ემიტენტს და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“.

(დ) **ფისკალური კანონმდებლობა**: ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) **გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:** „ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

ემიტენტის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ. თუ ემიტენტი ერთპიროვნულად გადაწყვეტს, რომ ნებისმიერი საპროცენტო სარგებლის გადახდაზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი, იგი არ მოახდენს შესაბამისი გადასახადის დაკავებას და შესაბამისი „ობლიგაციონერები“ სრულად ისარგებლებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათ(ებ)ით და გადასახდელ თანხებს მიიღებენ სრული ოდენობით – გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების გარეშე.

10. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგება და გრძელდება ნებისმირი ქვემოთმოყვანილი შემთხვევა (**„დეფოლტის შემთხვევები“**), „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია ერთპიროვნულად, ხოლო “სპეციალური გადაწყვეტილების” არსებობის შემთხვევაში (და იმ პირობით, რომ „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ჯეროვნად არის დაცული შესაძლო პასუხისმგებლობისგან) კი ვალდებულია, ემიტენტისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს ემიტენტისაგან ობლიგაციების დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) **გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა**: ემიტენტი ვერ შეძლებს ობლიგაციების ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან ობლიგაციებიდან ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან ხუთი დღის ვადაში; ან

(ბ) **სხვა ვალდებულების დარღვევა**: ემიტენტი არ/ვერ ასრულებს პროსპექტით ან „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 10(ა) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოსაზრებით (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ ემიტენტისათვის გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) **ჯვარედინი დეფოლტი**: (i) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) დათქმულ ვადამდე გადასახდელი ვალდებულების ნებისმიერი შეუსრულებლობის მიზეზით, ან (ii) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულება“ არ შესრულდება დათქმულ დროში, ან წინასწარ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, ან (iii) ემიტენტი ან რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ ვერ იხდის ნებისმიერ სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულებას“ დათქმულ დროში, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ „პირობების“ ამ მე-10(გ) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ამგვარი შეუსრულებელი „ვალდებულებ(ებ)ის“ ჯამური მოცულობა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება 500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში; ან

(დ) **გადახდისუუნარობა:**

(i) რომელიმე შემდეგი შემთხვევის დადგომა: (i) ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ სალიკვიდაციო პროცესის ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება; ან (ii) ნებისმიერი „პირის“ მიერ ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ წინააღმდეგ გადახდისუუნარობის პროცესის წამოწყება, თუკი ამგვარი მოთხოვნაზე ამ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში; ან (iii) ემიტენტსა და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკებების დაწყება ემიტენტის ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან (iv) ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის წამოწყება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე;

(ii) ემიტენტი ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვან შვილობილი“ არ იხდის ან ზოგადად არ შესწევს უნარი გადაიხადოს ვადამოსული ვალები დროულად; ან

(iii) ემიტენტის აქციონერები/პარტნიორები დაამტკიცებენ ემიტენტის ლიკვიდაციის ან ემიტენტის დაშლის რაიმე გეგმას; ან

(ე) **შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები**: ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება 500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ამგვარი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს (ა) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, (ბ) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სააქციო კაპიტალის სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20 პროცენტის ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) **აღსრულება**: ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მიერ მათი მფლობელობაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) **უფლებამოსილება და თანხმობები**: არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან გარემოება (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობა, განკარგულება, მოწონება, ავტორიზაცია, გამონაკლისის დაშვება, რეგისტრაცია, ლიცენზია, ბრძანება, ჩანაწერი, რეგისტრაცია ან სხვა უფლებამოსილება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) ემიტენტმა კანონიერად შეძლოს, თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, და ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე გადახდის ვალდებულებების, ამ „პირობების" მე-5 პუნქტიდან („დათქმები") გამომდინარე ვალდებულებების, და ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) ობლიგაციები, პროსპექტი და ხელშეკრულება დასაშვებ იქნას საქართველოს სასამართლოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) **ნამდვილობა და უკანონობა**: ემიტენტი სადაოდ ხდის ობლიგაციების, პროსპექტის, ან „ხელშეკრულების" ნამდვილობას, ან უარყოფს ობლიგაციებიდან, პროსპექტიდან ან „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე რომელიმე ვალდებულებას, ან ემიტენტის მიერ ობლიგაციების, პროსპექტის ან „ხელშეკრულების" ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

ემიტენტმა „ხელშეკრულებით" იკისრა ვალდებულება, რომ შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" „დეფოლტის შემთხვევის" დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად" (**„პოტენციური დეფოლტის შემთხვევა"**).

ემიტენტმა „ხელშეკრულებით" ასევე იკისრა ვალდებულება მასზედ, რომ წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან" 14 დღის განმავლობაში და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის" მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 14 დღის ვადაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში **„დადასტურების თარიღი"**) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა" ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა", და „დეფოლტის შემთხვევას" ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას" ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის" შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის" არ არსებობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების" დადების თარიღის შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის" ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის" არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

11. „ობლიგაციონერების" კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

(ა) **„ობლიგაციონერების" კრებები**: „ხელშეკრულება" შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების" კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების" ინტერესზე, მათ შორის პროსპექტისა და „ხელშეკრულების" შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით მიღებული გადაწყვეტილების (**„სპეციალური გადაწყვეტილება"**) თაობაზე წინამდებარე „პირობებში" ან „ხელშეკრულების" დებულებებში ცვლილებების და დამატებების შეტანაზე თანხმობის მიცემის მიზნით. ხსენებული კრებები შეიძლება მოწვეული იქნეს იმ „ობლიგაციონერების" (და/ან მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების") მიერ, რომლებიც ფლობენ განთავსებული ობლიგაციების არანაკლებ 10 პროცენტს მაინც. „სპეციალური გადაწყვეტილების" მისაღებად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმი შედგება თუკი კრებას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის განთავსებული ობლიგაციების ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების" შემთხვევაში – თუკი მას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის განთავსებული ობლიგაციების 25 პროცენტზე მეტს, ან ნებისმიერი მომდევნო "განმეორებითი კრების" შემთხვევაში – თუკი მას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც იმ მომენტისთვის არიან განთავსებული ობლიგაციების მფლობელები ან წარმოადგენენ მათ, მიუხედავად მათ მფლობელობაში არსებული ან წარმოდგენილი ობლიგაციების რაოდენობისა. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ამგვარი კრების მიერ განსახილველი საკითხი, სხვა თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: (i) ობლიგაციების ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდის ნებისმიერი დადგენილი თარიღის შეცვლა, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი თანხების დაანგარიშების მეთოდის ცვლილება, (iii) ობლიგაციების ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის ოდენობის ცვლილება, (iv) თანხმობის განცხადება ემიტენტის ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში

ობლიგაციების გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (v) ობლიგაციებთან დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით), (vi) „ობლიგაციონერების" კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების" მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება, (vii) „ხელშეკრულების" მარეგულირებელი სამართლის შეცვლა ან (viii) ქვემოთ აღნიშნული 12(ზ) ქვეპუნქტის (ცვლილება და უფლებაზე უარის თქმა) ფარგლებში მინიჭებული უფლების შენარჩუნებით, წინამდებარე „პირობებით" გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის" განმარტების ცვლილება. ასეთ გამონაკლის შემთხვევებში, ქვორუმის არსებობისათვის აუცილებელია კრებას დაესწროს ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ განთავსებული ობლიგაციების არანაკლებ ორ მესამედს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების" შემთხვევაში – არანაკლებ ერთ მესამედს. სათანადო წესით მიღებული ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება" სავალდებულო იქნება შესასრულებლად „ობლიგაციონერებისათვის" (მიუხედავად იმისა ისინი ესწრებოდნენ თუ არა იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული).

იმ „ობლიგაციონერების" (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ განთავსებული ობლიგაციების 75%-ს ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას". ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის" მიერ.

(ზ) **ხელშეკრულების ცვლილება და უფლებაზე უარის თქმა**: „ობლიგაციონერების წარმომადგენელი" უფლებამოსილია „ობლიგაციონერების" თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს ემიტენტს: (i) წინამდებარე „პირობებში" ან „ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ფორმალური, უმნიშვნელო ან ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანაზე ან გამოვლენილი აშკარა შეცდომის შესწორებაზე, (ii) ნებისმიერ სხვა ცვლილებაზე (გარდა პროსპექტში და „ხელშეკრულებაში" მითითებული შემთხვევებისა, ან იმ ცვლილებებისა, რომელთა განხორციელება დაუშვებელია შესაბამისი კანონმდელობით) ან წინამდებარე „პირობების" ნებისმიერი დებულების იმ დარღვევიდან ან შესაძლო დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე უარის თქმაზე, რაც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის" აზრით არ არის არსებითი „ობლიგაციონერთა" ინტერესების დასაცავად. ნებისმიერი ასეთი ცვლილება, უფლებამოსილება ან უფლებაზე უარის თქმა ვრცელდება „ობლიგაციონერებზე". „ობლიგაციონერების წარმომადგენლის" მოთხოვნით, ამგვარი ცვლილება შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს" „პირობების" მე-14 პუნქტის შესაბამისად.

(გ) **„ობლიგაციონერების წარმომადგენლის" უფლებამოსილება**: საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი" უნდა ითვალისწინებდეს „ობლიგაციონერთა", როგორც კლასის, და არა ცალკეულად ინდივიდუალური „ობლიგაციონერის" ინტერესებს. შესაბამისად, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი" არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს და არც რომელიმე „ობლიგაციონერი" ან ნომინალური მფლობელია უფლებამოსილი წაუყენოს ემიტენტს რაიმე სახის მოთხოვნა ან პრეტენზია „ობლიგაციონერების წარმომადგენლის" მიერ მისი ფუნქციების შესრულების შედეგად ინდივიდუალური „ობლიგაციონერისათვის" დამდგარი საგადასახადო ვალდებულებების ანაზღაურების ან გადახდის თაობაზე.

12. აღსრულება

ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც დადგება ობლიგაციების გადახდის ვადა, "ობლიგაციონერების წარმომადგენელი" უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და დამატებითი შეტყობინების გარეშე მიმართოს ნებისმიერ ზომას ემიტენტის წინააღმდეგ, რასაც იგი მიიჩნევს მიზანშეწონილად ობლიგაციებისა და „ხელშეკრულების" პირობების შესრულების მიზნით. ამასთან, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი" არ არის ვალდებული განახორციელოს ამგვარი ქმედებები, თუ (ა) აღნიშნულ საკითხზე მას არ მიუღია შესაბამისი მითითება „სპეციალური გადაწყვეტილების" ან/და იმ „ობლიგაციონერთა" ან/და „ნომინალურ მფლობელთა" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც ფლობენ მთლიანი განთავსებული ობლიგაციების ერთ მეოთხედს ან მეტს; და (ბ) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის" მიერ არ არის მიღებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მისთვის მისაღები ფორმით ან/და მისთვის წინასწარ არ არის გადახდილი შესაძლო ხარჯები. არცერთი „ობლიგაციონერი" ან „ნომინალური მფლობელი" არ არის უფლებამოსილი უშუალოდ განახორციელოს რაიმე სახის ქმედება ემიტენტის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი „ობლიგაციონერების წარმომადგენელი", რომელიც ვალდებულია იმოქმედოს, არ განახორციელებს საჭირო ქმედებას გონივრულ ვადაში და ეს უმოქმედობა გრძელდება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ნებისმიერი „ობლიგაციონერი" უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან სხვა „ობლიგაციონერებთან" ერთად მიმართოს

სასამართლოს, თუკი (i) შესაბამისი გადასახდელის გადახდის ვადიდან გასულია 3 (სამი) თვე ან მეტი, (ii) გადასახდელი თანხა არ არის გადახდილი ემიტენტის მიერ სრული ოდენობით, და (iii) არანაირი ქმედება არ არის განხორციელებული „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ ნებისმიერი მიზეზით.

13. ობლიგაციონერების წარმომადგენლის დაცვა

“ხელშეკრულება” შეიცავს პირობებს “ობლიგაციონერების წარმომადგენლის” დაცვის და მისი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების თაობაზე.

“ობლიგაციონერების წარმომადგენელი” უფლებამოსილია, “ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე ვალდებულების წარმოშობის გარეშე, დაეყრდნოს ნებისმიერი ბუღალტერის, ფინანსური მრჩევლის, ფინანსური დაწესებულების და სხვა ექსპერტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, დადასტურებებს, ცნობებს ან რჩევებს, მიუხედავად იმისა, მომზადებულია თუ არა ამგვარი ანგარიში, დადასტურება, სერტიფიკატი თუ რჩევა კონკრეტულად მისთვის, ან შეზღუდულია თუ არა მათი პასუხისმგებლობის მოცულობა აღნიშნულთან დაკავშირებით (თავად შესაბამისი დოკუმენტის პირობით, „ობლიგაციონერების წარმომადგენელთან“ დადებული ხელშეკრულებით, ან სხვაგვარად) ფულადი ზღვარის დაწესებით, გამოყენებული მეთოდოლოგიის, თუ სხვა დათქმების მითითებით.

14. შეტყობინებები

„ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ „ობლიგაციონერებისადმი“ შეტყობინებები კეთდება ფართო ტირაჟის მქონე ქართულ გაზეთში გამოქვეყნებით (ამგვარი გაზეთი შეირჩევა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ერთპიროვნული დისკრეციით) და გაეგზავნება ემიტენტსა და „რეგისტრატორს“. ემიტენტის მიერ “ობლიგაციონერებისათვის“ შეტყობინებები კეთდება ფართო ტირაჟის მქონე გაზეთში (რომელზე თანხმობას განაცხადებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“) გამოქვეყნების გზით, ან/და ემიტენტის ვებ-გვერდზე, და ეგზავნებათ „ობლიგაციონერების წარმომადგენელსა“ და „რეგისტრატორს“. თუ მიზანშეწონილად ჩათვლიან, ემიტენტმა და/ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლებმა“ შესაძლოა „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ შეტყობინებები დაუგზავნონ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ მითითებულ მისამართებზე. ამასთან, შეტყობინება „განმეორებითი კრების“ მოწვევის თაობაზე აუცილებელი წესით უნდა იქნას გაგზავნილი „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ იმ მისამართებზე, რაც მითითებულია „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“. შეტყობინების გამოქვეყნების შემთხვევაში (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე), ასეთი შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გამოქვეყნების დღეს, ხოლო თუ შეტყობინება რამდენჯერმე ქვეყნდება – მისი პირველი გამოქვეყნების დღეს.

15. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე “პირობებში” გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

"**განმეორებითი კრება**" არის “ობლიგაციონერთა“ განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი.

"**აფილირებული პირი**" რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული მასთან, რომელიც აკონტროლებს ან კონტროლდება პირდაპირ ან ირიბად ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“ დირექტორი ან ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, ამ კონკრეტული „პირის“ ან (ა) პუნქტში მითითებული ნებისმიერი სხვა „პირის“ ნებისმიერ „შვილობილში“.

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს ობლიგაციების რეგისტრირებულ მესაკუთრეს (როგორც ეს განმარტებულია „ფასიანი ქაღალდების კანონით“).

"**სამუშაო დღე**" არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

"**სამართლიანი საბაზრო ღირებულება**" ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის. „ობლიგაციონერების წარმომადგენელი" უფლებამოსილია დაეყრდნოს ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო ღირებულების" შესახებ „დამოუკიდებელ შემფასებლის" ანგარიშს, დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე.

"**ჯგუფი**" გულისხმობს ემიტენტს და მის „შვილობილებს" ერთობლიობაში.

"**კონტროლი**", წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს ემიტენტის მართვის, პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას, სააქციო კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად.

"**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**" („IFRS")არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

"**ფისკალური პერიოდი**" არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც ემიტენტს მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად, რაც „აუდიტორების" მიერ არის აუდირებული ან მიმოხილული.

"**ვალდებულება**" ნებისმიერი „პირის" მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):

(ა) ამ „პირის" მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას,

(ბ) ამ „პირის" ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან,

(გ) ამ „პირის" ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეული ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით,

(დ) ამ „პირის" ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით,

(ე) სხვა „პირების" ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის" აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით", მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი" აღნიშნული სხვა „პირების" ვალდებულებებს,

(ვ) სხვა"პირების" ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის" მიერ, არაუმეტეს ამ „პირის" მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით,

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას,

(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებიმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან, და

(ი) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

"**დამოუკიდებელი შემფასებელი**" არის „აუდიტორული კომპანია“ ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა ემიტენტის მიერ და დამტკიცებულ იქნება „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს ემიტენტთან „აფილირებული პირი“.

"**გამოშვების და განთავსების თარიღი**" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების გამოშვება და განთავსება, როგორც ეს მოცემულია პროსპექტის თავში - „შეთავაზების ძირითადი პირობები“.

"**მნიშვნელოვანი შვილობილი**" არის ემიტენტის ნებისმიერი „შვილობილი“:

(ა) რომლის შემოსავლები უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ შეადგენდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლების 5%-ზე მეტს, ან რომელიც უკანასკნელი „ფისკალური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მთლიანი აქტივებიდან 5%-ზე მეტს (უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ემიტენტის კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით); ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება ემიტენტის იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“.

"**ნომინალური მფლობელი**" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს “ფასიანი ქაღალდების კანონით” განსაზღვრული მნიშვნელობით.

"**ნებადართული უზრუნველყოფა**" არის:

(ა) „გამოშვებისა და განთავსების თარიღისთვის“ არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(ბ) „შვილობილის“ მიერ ემიტენტის, ან ემიტენტის სრულ საკუთრებაში მყოფი „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(გ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ემიტენტთან ან მის „შვილობილთან“, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა ემიტენტის „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოქმნილა ამგვარი შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ ვრცელდება ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შეძენილი „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);

(დ) ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ შეძენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შეძენასთან დაკავშირებით, და არ ვრცელდება რაიმე სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, შეძენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);

(ე) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გაიცემა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის, ან მხოლოდ ამ ქონების შეძენის და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების შეძენის ფასის, შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ან/და ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ ოდენობას;

(ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბალანსის ურთიერთ გაქვითვის მიზნით;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც გაიცემა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან, ან

აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივებისა და შემოსავლების ჯამური ღირებულება, (i) რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება" და (ii) რომლებიც, „პირობების" 5(დ) ქვეპუნქტის („გასხვისება") შესაბამისად, შესაძლოა წარმოადგენდეს სექიურითიზაციის, ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსების ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსების საგანს, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის" „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის" კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 25 პროცენტს;

(თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება", არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათი ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის" შესაბამისად;

(ი) „უზრუნველყოფის ღონისძიება", რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;

(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება", რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის ღონისძიება";

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება", რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (კ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით" უზრუნველყოფილი „ვალდებულების" ჯამური ძირი თანხა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, არ აღემატება 2,000,000 აშშ დოლარს ან უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის" „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული „ჯგუფის" მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 5 პროცენტს, რომელიც უფრო მეტია.

"**პირი**" არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

"**რეპო ოპერაცია**" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ–გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

"**აკრძალულ გადახდას**" აქვს „პირობების" 5(ზ) პუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა;

"**ფასიანი ქაღალდების კანონი**" ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „ფასინი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

"**უზრუნველყოფის ღონისძიება**" ნიშნავს ნებისმიერ გირაოს, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღა ან სხვა სახის უზრუნველყოფას (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამრთლებრივ უზრუნველყოფას);

"**შვილობილი**" ნებისმიერ "პირთან" (შემდგომში **„პირველი პირი"**) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე „პირს" (შემდგომში **„მეორე პირი"**) (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება „პირველი პირის" მიერ, ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი" პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს;

"გადასახადი" ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი წარმოშობილი (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.

16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) **მარეგულირებელი სამართალი**: პროსპექტი და ობლიგაციები, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია**: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია პროსპექტთან ან ობლიგაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და ობლიგაციების გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

<u>ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში</u>

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ამომწურავ შეფასებას ობლოგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხებისა. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩევლებთან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციების მფლობელებისათვის (მიუხედავად იმისა, ისინი არიან ფიზიკური თუ იურიდიული, რეზიდენტი თუ არა–რეზიდენტი პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადი დაბეგვრას 5 (ხუთ) პროცენტიანი განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში. რაც შეეხება საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებს და არარეზიდენტი პირების მუდმივ დაწესებულებებს, ისინი უფლებამოსილნი არიან ჩაითვალონ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხა

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის (მიუხედავად იმისა ისინი არიან ფიზიკური თუ იურიდიული, რეზიდენტი თუ არა–რეზიდენტი პირები) ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებია და ამ ფასიანი ქაღალდის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღემატება 25%–ს (შემდგომში „გამონაკლისი თავისუფალი მიმოქცევიდან"). თუმცა, ამ გამონაკლისის პრაქტიკული ხელმისაწვდომობა არ არის შემოწმებული და შესაბამისად არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება მოხდება დროულად ან საერთოდ იქნება თუ არა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოს მიერ ამგვარი გამონაკლისის მინიჭება შესაძლებელია ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული ან შემდგომში იქნეს გაუქმებული თუ ვერ დაკმაყოფილდება 25 პროცენტიანი თავისუფალი მიმოქცევის მოთხოვნა.

ისეთი ობლიგაციების მფლობელებისათვის გადახდილი პროცენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იმ ქვეყნებში, რომელთაც უფრო ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი გააჩნიათ და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულნი არიან ოფშორულ იურისდიქციებად, დაიბეგრებიან 15 პროცენტიანი განაკვეთით.

საქართველოში მიღებული საპროცენტო შემოსავლის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი ობლიგაციის მფლობელის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

ზოგადი მიმოხილვა: ობლიგაციების გასხვისების დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება და შემოსავალი არ იბეგრება თუ მას თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი ეხება. თუმცა, ამ გამონაკლისის პრაქტიკული ხელმისაწვდომობა არ არის შემოწმებული და შესაბამისად არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება მოხდება დროულად ან საერთოდ იქნება თუ არა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოს მიერ ამგვარი გამონაკლისის მინიჭება შესაძლებელია ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული ან შემდგომში იქნეს გაუქმებული თუ ვერ დაკმაყოფილდება 25 პროცენტიანი თავისუფალი მიმოქცევის მოთხოვნა.

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ ვრცელდება, შეიძლება წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულები:

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ გავრცელდება, არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება 15 პროცენტიანი გადასახადის განაკვეთით იბეგრება (საგადასახადო ბაზა გამოითვლება ნებადართული გამოქვითვების შემდეგ), რომელიც გამოითვლება საწყის ფასსა და შემდგომ სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობიდან. თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ ვრცელდება, არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტიანი განაკვეთით (საგადასახადო ბაზა გამოითვლება ნებადართული გამოქვითვების შემდეგ), რომელიც გამოითვლება საწყის ფასსა და შემდგომ სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობიდან. თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკური საქმიანობისთვის.

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ ვრცელდება, საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება ობლიგაციების გასხვისებისას გადაიხადოს მოგების გადასახადი (15%-იანი განაკვეთით). მოგების საგადასახადო ბაზა გამოითვლება შეძენისა და სარეალიზაციო ფასებს შორის სხვაობიდან.

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ გამოიყენება, საქართველოში მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება ობლიგაციების გასხვისებისას გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთით). საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ბაზა გამოითვლება შეძენისა და სარეალიზაციო ფასებს შორის სხვაობიდან. თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკური საქმიანობისთვის.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

ზოგადი ინფორმაცია

1. სავარაუდოდ, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვება და საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციების ლისტინგი მოხდება 2014 წლის 31 ოქტომბრამდე.

2. კომპანიამ მოიპოვა ყველა საჭირო დასტური, თანხმობა და უფლებამოსილება საქართველოში ობლიგაციების გამოშვებასთან და მიმოქცევასთან დაკავშირებით. ობლიგაციების გამოშვება ნებადართულია ემიტენტის პარტნიორის 2014 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით.

3. 2013 წლის 31 დეკემბრიდან კომპანიის ფინანსურ ან სავაჭრო პოზიციას არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება და კომპანიას არ მიუღია რაიმე სახის მნიშვნელოვანი საზიანო/უარყოფითი ეფექტი.

4. გასული 12 თვის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია რაიმე ისეთ სამთავრობო, სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმის წარმოებას (მათ შორის კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით მოსალოდნელს ან განზრახულს კომპანიის წინააღმდეგ), რასაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონოდა კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე ან რენტაბელობაზე.

5. შემდეგი დოკუმენტების ასლები ხელმისაწვდომი იქნება გასაცნობად სამუშაო საათებში (უქმეებისა და დღესასწაულების გამოკლებით) წინამდებარე პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან 12 თვის განმავლობაში კომპანიის მისამართზე:

   (ა) წინადებარე პროსპექტის ასლი ნებისმიერ კორექტირებულ ვარიანტთან და ნებისმიერ შემოდგომ პროსპექტებთან ერთად,

   (ბ) ხელშეკრულება დადებული კომპანიასა და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შორის,

   (გ) კომპანიის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის ანგარიშები, რაც წარმოდგენილი წინამდებარე პროსპექტის დანართში,

6. „იუაი საქართველომ“ თანხმობა განაცხადა მათი ანგარიშის წინამდებარე პროსპექტის დანართში ჩართვაზე.

ემიტენტის, განთავსების აგენტის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის, რეგისტრატორისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ემიტენტი

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“
საქართველო, თბილისი 0179,
ტატიშვილის ქ. N3/5

განთავსების აგენტი

სს „გალტ ენდ თაგარტი“
საქართველო, თბილისი 0179,
ჭავჭავაძის გამზ. N7

ობლიგაციონერების წარმომადგენელი

შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“
საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28

ანგარიშსწორების და ძირითადი გადამხდელი აგენტი

სს „საქართველოს ბანკი“
საქართველო, თბილისი 0160,
გაგარინის ქ. N29ა

რეგისტრატორი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
საქართველო, თბილისი 0179
მოსაშვილის ქ. #11, მე-7 სართ.

აუდიტორი

შპს „იუაი საქართველო“ (EY Georgia)
საქართველო, თბილისი 0105, კოტე აფხაზის ქ. #44

ემიტენტის იურიდიული მრჩეველი

DLA Piper საქართველო
საქართველო, თბილისი 0179,
მელიქიშვილის გამზ. N10

ხელმოწერილია შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ სახელით:

ხელმომწერი

სახელი, გვარი: *თინათინ გობეჯიშვილი*

თანამდებობა: *დირექტორი*

ხელმოწერა: *[ხელმოწერა]*

თარიღი: *19.09.2014*

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმომწერი

სახელი, გვარი: *ირაკლი კირტავა*

თანამდებობა: *გენერალური დირექტორი*

ხელმოწერა: *[ხელმოწერა]*

თარიღი: *19.09.2014*